პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—46.

სამშაბათი, 2 ნოემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 250 (1795)

დ ღ ი უ რ ი

- უნგრეთის პრემიერი ბეტლენი აპირებს პარლამენტის დათხოვნას
- პოლონეთის სეიმის სესიის გახსნა გადადებულია 8 ნოემბრისათვის.
- გომინდანის კონფერენციამ განიხილა მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები.
- ტოკიოში გაიხსნა მეცნიერთა ყრილობა.
- საკოსა და ვანცეტის საქმესთან დაკავშირებით პარიზის მუშებმა გამართეს მიტინგი

საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენცია

მეექვსე დღე

(პირდაპირი მავთულით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

პირველი ნოემბერი—კონფერენციის საყურადღებო დღეა. დილით ადრიან ყველა დელეგატი უკვე თავმოყრილი არიან. სტუმრები—ჩვეულებრივზე მეტია. ელიან ამხ. სტალინის მოხსენებას შინა-პარტიული მდგომარეობისა და ოპოზიციური ბლოკის შესახებ. ამხ. სტალინის გამოსვლას მხურვალე ოვაციებით ხვდებიან. კონფერენცია ფეხზე ამდგარი მიესალმება მას.

ამხ. სტალინი, როგორც ეს აღიარა მის შემდეგ გამოსულმა ამხ. კამენევმა, აკეთებს შესანიშნავ დასაბუთებულ მოხსენებას, რომელშიც ის ჯამს უკეთებს განვლილ შინაპარტიულ ბრძოლას და ნათლათ სახავს პარტიის მორიგ ამოცანებს.

პირველი საკითხი, რომელსაც ეხება ამხ. სტალინი,—ეს არის საკითხი ოპოზიციური ბლოკის შექმნისა, მისი განვითარების ეტაპებისა და მისი დაშლის შესახებ. ჯერ კიდევ მე-14 ყრილობაზე,—ამბობს ამხ. სტალინი,—ამხ. ზინოვიევმა მისცა ნიშანი ყველა ოპოზიციურ მიმდინარეობათა გაერთიანებისაკენ. ასეთ მოწოდებას არ შეეძლია გამოხმაურება არ ეპოვა ტროცკისტებს შორის, რომლებიც წინედაც ჯგუფების თავისუფლების ნიადაგზე იდგენ.

პირველი სერიოზული ნაბიჯი, რომლითაც აღინიშნა ოპოზიციური ბლოკის ჩამოყალიბება, გადაიდგა ცეკას აპრილის პლენუმზე, სადაც ორივე ეს ჯგუფი შეთანხმდა სამეურნეო საკითხების გარშემო; თუმცა იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ბლოკი მაინც ჩამოყალიბდა. მეორე ეტაპია—ივლისის პლენუმი, როცა შეკრულ იქნა ბლოკი ყოველგვარი პირობის გარეშე ურთიერთ დათმობის ნიადაგზე. ბლოკის სრული ჩამოყალიბება პარტიის წინააღმდეგ—ეს არის მესამე ეტაპი, სექტემბერში, როცა ბლოკის ლიდერებმა დაისვენეს და მოიკრიფეს რა ძალღონე აგარაკებზე, პირდაპირი იერიში მიიტანეს და აშკარად მოწოდებით მიმართეს რაიონებსა და უჯრედებს.

შეტევის შედეგები ცნობილია: მოსკოვში და ლენინგრადში, როგორც სამრეწველო, ისე არა სამრეწველო ცენტრებში პარტიულმა მასებმა ოპოზიციის გაუწიეს წინააღმდეგობა. ის დამარცხდა. ამის შემდეგ იწყება ფრონტის შეცვლა. 4 ოქტომბერს ოპოზიციამ განაცხადა, რომ დროა ბოლო მოეღოს შინა-პარტიულ უთანხმოებას.

მეოთხე ეტაპს წარმოადგენს ოპოზიციის ლიდერების განცხადება, რასაც ჩვეულებრივ უწოდებენ კაპიტულიაციას. მე,—ამბობს ამხ. სტალინი.—არ შეუდგები განცხადების დაფასებას, მაგრამ ის მოწმობს არა გამარჯვებაზე, არამედ ოპოზიციონური ბლოკის დამარცხებაზე.

ამხ. სტალინი არ ეხება მოლაპარაკების მთელ ისტორიას, არამედ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირველად ოპოზიცია დაჟინებით განაგრძობდა თავის წინანდელ პრინციპიალურ პოზიციებზე დგომას, მაგრამ შემდეგ ის იძულებული გახდა ნაწილობრივ უარეყო, გამიჯნულიყო ზოგიერთ იდეურ პოზიციებისაგან.

დეე ეხლა თვითონ გამოაკეთონ ის საქმე, რომელიც წაახდინეს,—ამბობს ამხ. სტალინი. ამხ. ზინოვიევი აღნიშნავს, რომ ჩვენ არ გვაქვს საბუთი ბრალი დავსდოთ მათ ბლოკის შექმნაში, ვინაიდან ილიჩი აკი არ იყო პარტიაში ბლოკის შექმნის წინააღმდეგი. ილიჩი მომხრე იყო ისეთი ბლოკის, რომელიც ჯერ ერთი პრინციპიალურია და მეორე მხრით, ამტკიცებს პარტიას მენშევიკებისა და მერყევ ელემენტების წინააღმდეგ.

იყო ერთი ბლოკი,—აგვისტოსი, ანტიპარტიული ბლოკი, რომლის წინააღმდეგაც ლენინი იბრძოდა 4 წელიწადი და იყო კიდევ მეორე ბლოკი, ლენინელების და პლეხანოვის მიმდევრების, რომელიც პარტიას იცავდა. ასეთ ბლოკებს ჩვენ ვცნობთ, ვინაიდან ისინი აძლიერებენ პარტიის ბრძოლის უნარს. მაგრამ ოპოზიციონური ბლოკი არ შეიცავს პრინციპიალობის იოტსაც კი და ის მიმართულია პარტიის წინააღმდეგ. ის არყევდა და დეზორგანიზაცია შეჰქონდა პარტიაში. ოპოზიციონურ ბლოკს არაფერი საერთო არა აქვს იმ ბლოკთან, რომელიც ლენინმა შეკრა პლეხანოვთან ტროცკის, პოტრესოვის, მარტოვის და ალექსინსკის წინააღმდეგ. აი რატომ არ შეეძლო ოპოზიციონურ ბლოკს არსებობა და დაიწყო დაშლა.

უკანასკნელი ეტაპი ხასიათდება ბლოკის თანდათანობითი დაშლით და მისი შემადგენელი ნაწილების ჩამოცილებით. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან უპრინციპო და ოპორტიუნისტული ბლოკს დიდი ხნით ჩვენს პარტიაში არსებობა არ შეეძლო. ბლოკი დიდი რიხით ჩამოყალიბდა, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგებს მიაღწია. არითმეტიკული ანგარიშით პლიუსი გამოვიდა, მაგრამ ყოველგვარი შეკრება ალგებრაში პლიუსს არ იძლევა. და აი, ალგებრის მხრივ ოპოზიცია სუსტი გამოდგა. შეკრეს რა ბლოკი, ამით ზინოვიევსა და ტროცკის ჯგუფებმა ხერხემალი გამოაცალეს თავის თავს და ამრიგად გამოვიდა უხერხემალო ძალთა შეკრება. ასეთ უარყოფით ძალების შეკრებიდან გამოვიდა მინუსი.

როგორია ოპოზიციის პერსპექტივები? ისინი აცხადებენ, რომ რჩებიან თავიანთ ძველ პოზიციებზე. თუ ეს ასეა, ისინი მაშასადამე დაელოდებიან უკეთეს დროს, იმისათვის, რომ შემოიკრიბონ ძალები და კვლავ გაილაშქრონ პარტიის წინააღმდეგ. აქედან პარტიისათვის შემდეგი ამოცანა გამომდინარეობს: მთქნარების დრო არ არის, საჭიროა მკაცრი იდეური და მამხილებელი ბრძოლის წარმოება, იმისათვის, რომ ოპოზიცია იძულებული შეიქნეს უარი სთქვას თავის შეცდარ დებულებებზე.

ამხ. სტალინი გადადის მეორე საკითხზე ოპოზიციონური ბლოკის პრინციპიალური შეცდომებიდან—საკითხზე ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და პერსპექტივების შესახებ. ძირითადი საკითხი არის: შესაძლებელია თუ არა სოციალიზმის შენება ერთ ქვეყანაში. ეს საკითხი არ არის ახალი: ის განხილულ იქნა მე-14 პარტკონფერენციაზედაც, 1925 წლის აპრილში.

50-60-იან წლებში, როცა ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი კანონი კაპიტალიზმის არათანაზომიერი განვითარებისა, ენგელსი „კომუნიზმის პრინციპებში" ამბობს, რომ კომუნისტური რევოლიუცია იქნება არა მარტო ნაციონალური, არამედ ერთდროული მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანაში. მაშინ ეს დებულება სწორი იყო, ხოლო ამჟამად ის კარგავს თავს სისწორეს. ამხ. ლენინი ბრმად არ მისდევდა მარქსიზმს, და ამაშია ლენინის სიდიადე. გამოდის რა მარქსიდან, ლენინი ანვითარებს შემდეგ აზრს და აძლევს მსოფლიოს ახალ დებულებას, შეფარდებულს ახალ გარემოებასთან.

საკითხს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ლენინი შეუდგა 1915 წელს და მოგვცა ნათელი და გარკვეული პასუხი იმაზე, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება რამდენიმე და ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში.

თავის ერთ-ერთ საუკეთესო თხზულებაში—„იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპი", ლენინმა აღმოაჩინა კაპიტალიზმის არათანაზომიერი განვითარების კანონი—აქედან საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობისა. ლენინი მაშინ ეკამათებოდა ტროცკის და ყველა იმ სოციალ-დემოკრატებს, რომლებმაც ვერ შეიგნეს, რომ მოძველდა მარქსიზმის წინანდელი დებულება და შეუძლებელია მასზე დამყარება. ტროცკი, ვითომც პასუხის სახით ლენინის ამ აზრზე, ამბობს, რომ თუმცა შეიძლება რევოლიუციის დაწყება ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ თუ არ მოხდება მსოფლიო რევოლიუცია, მაშინ უიმედოა ფიქრი, თითქოს სოციალისტური რუსეთი შესძლებდეს მთელი კაპიტალისტური ევროპის წინააღმდეგ გამკლავებას.

ეს—ორი, ერთი მეორის საწინააღმდეგო თვალსაზრისია. ლენინს შესაძლებლად მიაჩნია სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში—ეს საკითხის ძირითადი დაყენებაა, ხოლო ტროცკი—სულ წინააღმდეგი თვალსაზრისისაა.

შეიძლება დავიწყოთ რევოლიუცია მაგრამ თუ ევროპა არ გვიპასუხებს, მაშინ ბოჩქებში უნდა მივიმალოთო.

ტროცკის ეს ძველი პოლიტიკა სულ გრძელდებოდა. 1921 წელში ლენინი აყენებს საკითხს სოციალისტური მეურნეობისათვის საძირკვლის ჩაყრის შესახებ და მხედველობაში აქვს გლეხობასთან ერთად სოციალისტური ეკონომიკისათვის საძირკვლის ამოშენება. ამაზე პასუხის სახით, 1922 წლის იანვარში ტროცკის წიგნი, „1905 წელი" წინასიტყვაობაში სწერს, რომ გამარჯვებული პროლეტარიატი აუცილებლივ შეეჯახება არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ გლეხობის ფართო მასებსაც, და თუ ეს წინააღმდეგობანი გადაწყდება მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო რევოლიუციის ასპარეზზე.

1922 წელს მოსკოვის საბჭოს პლენუმზე ლენინი ამბობდა, რომ სოციალიზმი არ არის მომავლის საკითხი, რომ ჩვენ სოციალიზმს ვატარებთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, და გამოსთქვამდა რწმენას, რომ „ნეპის რუსეთიდან მივიღებთ სოციალისტურ რუსეთსო". თითქოს ამაზე საპასუხოდ, ტროცკი სწერს ბოლოსიტყვაობაში „ზავის პროგრამისათვის", სადაც ამტკიცებს, რომ ჩვენ ჯერ არა ვართ დაახლოებული სოციალისტური საზოგადოების წყობასთან და, რომ სოციალისტური მეურნეობის ნამდვილი ამაღლება შესაძლებელი გახდება მხოლოდ ევროპაში რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ.

დაბოლოს, ლენინის უკანასკნელი შენიშვნები კოოპერაციისა და სუხანოვზე, სადაც ის ლაპარაკობს, ჯერ ერთი, რომ ჩვენ გვაქვს ყველაფერი საჭირო და საკმარისი სრული სოციალისტური საზოგადოების ასაგებად, და მეორე, რომ რუსეთის ტეხნიკური და ეკონომიური ჩამორჩენილობა არ წარმოადგენს დაუძლეველ ზღუდეს სოციალიზმის გასამარჯვებლად ერთ ქვეყანაში.

ამნაირად, ამ საკითხში ჩვენ გვაქვს ორი ხაზი. ლენინი დადებითად უპასუხებს: დიაღ, ჩვენ ვერ შევსძლებთ. ტროცკი უპასუხებს: „ჩვენ ვერ შევსძლებთ".

ჩვენი რევოლიუცია არა მარტო პროლეტარულია, არამედ სოციალისტურიც. ის არა თუ იწვევს დასავლეთ-ევროპის რევოლიუციას, არამედ სძლევს კაპიტალისტურ დამოკიდებულებას ქვეყნის შიგნით. მაგრამ შეიძლება თუ არა ჩვენს გამარჯვებას საბოლოო გამარჯვება უწოდოთ? არა. იმიტომ, რომ ჩვენ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვცხოვრობთ. საბოლოო გამარჯვების განმტკიცების სრულ გარანტიას, ინტერვენციისა და რესტავრაციისაგან გარანტიას წარმოადგენს პროლეტარიატის გამარჯვება ყველგან. უკიდურეს შემთხვევაში, მთელ რიგ გადამწყვეტ ქვეყნებში მაინც.

რას ნიშნავს სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში? ეს ნიშნავს სოციალიზმის შენებისა და აშენების შესაძლებლობის, შიგნით კაპიტალისტური ელემენტების დაძლევით.

რას ნიშნავს საბოლოო გამარჯვება? ეს ნიშნავს გარანტიას ინტერვენციისა და რესტავრაციისაგან, რისთვისაც საჭიროა ყველა ქვეყნების პროლეტარიატის ძალა.

პირველ ამოცანას ჩვენ საკუთარი ძალით გადავწყვეტთ. მეორე ამოცანას კი შეთანხმებული ძალით. სწორედ ასევე გადაიჭრა ეს საკითხი მე14 პარტკონფერენციის რეზოლიუციაში (ძალიან გასაკვირია, მაგრამ ამხ. ზინოვიევის მოხსენებით). მაგრამ შემდეგში ამხ. ზინოვიევმა და კამენევმა გადაუხვიეს ამ დებულებას და მთლიანად გადავიდენ ტროცკიზმის მხარეზე.

ამხ. სტალინი გადადის ახალი ოპოზიციის პოზიციების განხილვაზე: დავა საკითხზე ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ აღიძრა პოლიტბიუროში მე-14 პარტკონფერენციის გახსნის წინ, როცა ამხ. ზინოვიევი და კამენევი ამბობდენ, რომ სოციალიზმის აშენებას ჩვენ ვერ შევსძლებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო. მაგრამ შემდეგ ისინი იძულებული გახდენ უკან დაეხიათ და მე-14 პარტკონფერენციაზე იცავდენ რეზოლიუციას. მე-14 პარტყრილობის წინ მოსკოვის კომიტეტის დოკუმენტში ეს გარემოება მოხსენებულია, მაგრამ ზინოვიევმა და კამენევმა მას პასუხი არ გასცეს, ალბათ ჩუმათ გადასწყვიტეს, რომ ბრალდება შეეფერება სინამდვილეს. ეს არის ოპოზიციის შეხედულებათა განვითარების პირველი სტადია.

მესამე სტადის წარმოადგენს ამხ. ზინოვიევის წიგნი „ლენინიზმი", რომელიც გამოვიდა სექტემბერში კონფერენციის შემდეგ. ამ წიგნში ის ახდენს კონფერენციის დადგენილების გადასინჯვას. ეს არის ზინოვიევის დაშორება მე-14 კონფერენციის პოზიციიდან.

მესამე სტადია ამხ. ზინოვიევის გამოსვლა მე-14 პარტყრილობაზე, სადაც ის აკრიტიკებს ცეკას უმრავლესობის შეხედულებებს და უწოდებს მათ ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებით შემოფარგლულ შეხედულებებს.

შეეხო რა ამხ. ტროცკის, სმილგას და აგრეთვე რადეკს, რომლებიც ლიბერალური ხითხითით იმეორებდა, რომ სოციალიზმის აშენება ერთ მაზრაში შეუძლებელია, ამხ. სტალინი აცხადებს, რომ ტროცკიზმი არის სოციალ-დემოკრატიული გადახრა. ახალი ოპოზიცია გადავიდა ტროცკიზმის მხარეზე; მაშასადამე ოპოზიციონური ბლოკის პოზიცია არის ამ სოციალ-დემოკრატიული გადახრის დემონსტრაცია.

როგორია ბლოკის პერსპექტივები? არსებობს ორი გზა. ერთი გზა—რევოლიუცია გაჭიანურდა, პარტია და ხელისუფლება გადაგვარდა, უმჯობესი ელემენტები, მათი აზრით, შორდებიან პარტიას და აწყობენ წმინდა პროლეტარულ პარტიას. ეს ოსოვსკის ორი პარტიის თეორიაა. მეორე გზა არის ზე-ადამიანურ ნახტომებისა და გმირულ სწრაფვათა პოლიტიკა. ესაა ულტრა-მემარცხენე „პუტჩიზმის" პოლიტიკა.

გადადის რა კონკრეტიულ პრაქტიკულ საკითხებზე, რომლებიც ჰყოფენ პარტიასა და ოპოზიციონურ ბლოკს, ამხ. სტალინი ეხება ინდუსტრიალიზაციისა და გლეხობის საკითხებს. არის ინდუსტრიალიზაციის ორი გზა: სოციალისტური და კაპიტალისტური, ოპოზიცია სწორედ კაპიტალისტურ გზაზე სდგება, რომელიც მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობის შორის განხეთქილებას იწვევს და აღარიბებს გლეხობის ძირითად მასებს.

პარტაპარატისა და პარტიულ რეჟიმის საკითხში ოპოზიცია ილაშქრებს აპარატის წინააღმდეგ და დემაგოგიას ეწევა მის მიმართ. ეს გალაშქრება პარტიული აპარატისა და რეჟიმის წინააღმდეგ არის იმ ბურჟუაზიული გარემოცვის ანარეკლი, რომელიც მიმართულია პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში.

ამაში მდგომარეობს ოპოზიციის ძირითადი შეცდომა. ამბობენ, რომ არ არის საჭირო თეზისებში ლაპარაკი სოციალ-დემოკრატ. გადახრის შესახებ, კი, მაგრამ ყრილობა ხომ ლაპარაკობდა ანარქო-სინდიკალისტურ გადახრაზე. მეცამეტე ყრილობამ გადასწყვიტა, რომ ტროცკის აქვს წვრილ-ბურჟუაზიული გადახრა. ჩვენ კი ეხლა გადავდგამთ ნაბიჯს წინ და ჩამოვაყალიბებთ ამ გადახრას უფრო სწორად, როგორც სოციალ-დემოკრატიულ გადახრას, ამბობს ამხანაგი სტალინი.

რომლის მოსწრებულმა სიტყვამ დარბაზში საერთო სიცილი და მოწონება გამოიწვია.

ამხ. სტალინი აკეთებს დასკვნებს და ამბობს, რომ შინა-პარტიულმა ბრძოლამ ოპოზიციონური ბლოკის დამარცხებამდე მოგვიყვანა, რომელმაც უარი სთქვა ფრაქციულ მუშაობაზე და გაიმიჯნა ზოგიერთ თავის იდეურ შეხედულებებისაგან. ეს არის პირველი ნაბიჯი, ეს ძალიან კარგია, მაგრამ საკმარისი მაინც არ არის. ნამდვილი მთლიანობისათვის საჭიროა შემდეგი ნაბიჯიც—ისინი უნდა ვაიძულოთ უარი სთქვან „პარაქენცულ" შეხედულებებზე.

ამიტომ პირველი დასკვნაა:—გაგრძელებულ უნდა იქნეს შემდეგშიაც იდეური ბრძოლა ლენინიზმისათვის; მეორე დასკვნა: ნაკლები ლაპარაკი და მეტი შემოქმედებითი საქმიანობა სოციალისტური აღმშენებლობის დარგში; მესამე დასკვნა: პარტია შეკავშირებულია სოციალისტურ მშენებლობის ნიადაგზე ცეკას გარშემო. კონფერენციამ უნდა ჩამოაყალიბოს ეს შეკავშირება თეზისების ერთსულოვნათ მიღებით.

მე არ მეპარება ეჭვი, რომ კონფერენცია ამ იმედებს განახორციელებს, ათავებს ამხ. სტალინი მოხსენებას. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ტაშით აცილებს მას.

ამხ. სტალინის შემდეგ გამოვიდა ამხ. კამენევი, რომელმაც ილაპარაკა დაახლოვებით ორი საათი, მაგრამ ძლიერ მკრთალად.

საღამოს სხდომაზე გამოვიდენ ამხ. იაროსლავსკი, ლარინი და ტროცკი. უკანასკნელის გამოსვლა გაგრძელდა აგრეთვე ორი საათი.

ხვალინდელ სხდომაზე გაგრძელდება კამათი, რომელიც დაიწყება ამხ. ზინოვიევის სიტყვით.

მიხ. კახიანი.

დილის 5 საათი.
მოსკოვი, 2 ნოემბერი.

პროფესიონალურ კავშირების მუშაობის შედეგები და მორიგი ამოცანები

ამხ. ტომსკის მოხსენება 29 ოქტომბრის დილის სხდომაზე

პროფკავშირების წევრთა რიცხვის ზრდა

ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ მთელი რიგი ჩემი თეზისებისა უდავოდ წარმოადგენს იმის განმეორებას და განმარტებას, რაც უკვე ითქვა ჩვენი პარტიის უკანასკნელ ყრილობაზე, და ამიტომ მე პირდაპირ გადავალ ჩემი მოხსენების დასკვნითი ნაწილზე. აქ მე ჩემს თავს მივცემ ნებას მოვიყვანო რამდენიმე დამახასიათებელი ციფრები.

მუშა-მოსამსახურეთა ზრდა გასულ წელს ასეთი იყო: 1925 წლის 1-ლ აპრილისათვის ყველა წარმოება-დაწესებულებებში, შრომის კოლექტივებში გაერთიანებულ ცალკე მომუშავეთა გამოკლებით, ითვლებოდა 6.095.800 კაცი. 1926 წლის 1-ლ აპრილისათვის ეს რიცხვი გაიზარდა 7.700.000-დე. მაშასადამე ერთი წლის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი გაიზარდა 27,5 პროც.

იმავე დროის განმავლობაში პროფკავშირის წევრთა რიცხვის ზრდა ასეთი იყო: 1925 წლის 1-ლ აპრილისათვის პროფკავშირის წევრი ითვლებოდა 6.950.400 კაცი, 1926 წლის 1-ლ აპრილისათვის კი—8.768.200, მაშასადამე ზრდა გამოიხატა 26 პროც-ში. თეზისებში გამოქვეყნებულ ციფრებთან დაკავშირებით, მე აქ რამდენჯერმე მომცეს შეკითხვა—რით აიხსნება, რომ პროფკავშირების წევრთა რიცხვი სჭარბობს წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვსო. ეს მოვლენა სულ უბრალოდ აიხსნება: წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა აღრიცხვაზე აყვანილი არ არიან ნარდი მუშები, შინ მომუშავენი და, აგრეთვე, უმუშევრები და პროლეტარული სტუდენტობა, თუმცა ისინი ჩვენი კავშირების წევრები არიან.

პროფკავშირების სოციალური შემადგენლობა

როგორ, რომელ ჯგუფების ხარჯზე ხდებოდა პროფკავშირის წევრთა რიცხვის ზრდა? ეს—საკმაოდ დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხია იმიტომ, რომ იმ დეკლარაციაში, რომელიც ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს ცეკას წინა პლენუმზე, და რომელიც, დადგენილების თანახმად, კონფერენციის წევრებს დაურიგდებათ, ჩვენ ვკითხულობთ: „სახელმწიფო მრეწველობაში მომუშავე მუშების რიცხვი ტრანსპორტის მუშებთან ერთად, 3 მილიონზე ნაკლებია. საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა მოსამსახურეთა რიცხვიც იმავე უდრის, თუ მეტი არა. მარტო შეთანაზრება მოწმობს ბიუროკრატიის დიდ პოლიტიკურ და სამეურნეო როლს.

ოპოზიცია მდგომარეობას ისე ასურათებდა, რომ იზრდება საბჭოთა მოსამსახურეების რიცხვით, იზრდება ბიუროკრატიული აპარატი, იზრდება არაპროლეტარული ფენა და მოსამსახურეთა რიცხვი მუშების რიცხვზე, თუ მეტი არა. ნაკლები არ არისო. აქედან გამომდინარეობს მთელი ცალკე კონცეპცია, მთელი რიგი სოციალური და პოლიტიკური დასკვნებისა.

ციფრები აქარწყლებენ ამ კონცეპციას: წმინდა ინდუსტრიალური ჯგუფი გაიზარდა—23,7 პროცენტით, სასოფ. - სამეურნეო—79,9 პროცენტით, სატრანსპორტო ჯგუფი—23,7 პროც., მოსამსახურეთა ჯგუფი—19,4 პროცენტით.

როგორც ვხედავთ ოპოზიციის მიერ მოცემული სურათი არ შეეფერება სინამდვილეს. ზრდის მეტესი პროცენტი მოდიოდა ნარდ მომუშავეების, სამშენებლო მუშების და მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ხარჯზე. ინდუსტრიალური ჯგუფი მოსამსახურეთა ჯგუფზე მეტად იზრდებოდა.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ სამრეწველო და ტრანსპორტის მუშების რიცხვი 3 მილიონზე ნაკლებია, ხოლო მოსამსახურეთა—ამაზე ნაკლებიო. ციფრები აბათილებენ ამ მტკიცებას. ოპოზიცია ამტკიცებს: „სრულიად აშკარაა, რომ სახელმწიფო და სახელმწიფო აპარატი თავისი შემადგენლობით და ცხოვრების დონით უმეტესად ბურჟუაზიული, წვრილ-ბურჟუაზიულია და პროლეტარიატსა და ღარიბებს გლეხობას იზიდავს. ერთი მხრივ, უკვე მომაგრებულ ინტელიგენციისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, მოიჯარადრისა, ვაჭრისა, კულაკისა და ახალ ბურჟუასაკენ. გავარკვიოთ ოპოზიციის ეს მტკიცება: შეიძლება თუ არა „მოიჯარადრისა, ვაჭრისა და კულაკისაკენ" არაინდუსტრიალური ჯგუფის, კერძოდ საბჭოთა მოსამსახურეების მიზიდვა, რომელთაც 1918 წლის ტრადიციები უდგებიან, როცა ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი და საბჭოთა დაწესებულებანი იბერებოდა დეკლასიურ ბურჟუაზიით, რომელსაც ყველაფერი წართმეული ჰქონდა და სხვ.? რას წარმოადგენს ამჟამად საბჭოთა აპარატი? 9 წელიწადი გავიდა, ახალგაზრდობის მასა შეიჭრა საბჭოთა მოსამსახურეების მასაში—ჯერ ეს ერთი. მეორე—ჩვენ, მარქსისტები, როცა ვარკვევთ ამა თუ იმ ფენის, ამა თუ იმ ჯგუფის სოციალურ მიმზიდველობას, უნდა ვიღებდეთ რომელიმე ეკონომიურ კრიტერიას, და არა მარტო იმას, მუშაობენ თუ არა ისინი საბჭოთა დაწესებულებებში, ასეთ კრიტერიად შეიძლება იყოს სამუშაო ხელფასი. რანაირი ხელფასი აქვს ამ ჯგუფს? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ 30 მან. ნაკლები ჯამაგირის მქონენი თავისი ცხოვრების დონით უახლოვდებიან კულაკებს და მოიჯარადრეებს? ვფიქრობ, რომ არა. რამდენია საბჭოთა მოსამსახურე, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირში გაერთიანებული, რომელიც 30 მან. ნაკლებს და 80 მან. მეტს იღებს? საბჭოთა კავშირის ქალაქებში, საბჭოთა მოსამსახურე, რომელიც 80 მან. ნაკლებს ღებულობს მთელი საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის 73 პროცენტს შეადგენს. 80 მან. მეტი მიმღები—26 პროცენტი და პროცენტის რამდენიმე მეათედი. სოფლად კავშირის წევრთა რიცხვი, რომლებიც 80 მანეთამდე, ღებულობენ, შეადგენს 90,5 პროც., აი სწორედ ეს ჯგუფია, რომელზედაც შეუმოწმებლად, უანგარიშოთ, დაუფიქრებლათ აგებს მთელი სოციალ-პოლიტიკური თეორია.

ეხლა მე ამ საკითხს განვიხილავ მეორე მხრიდან: რამდენია კავშირში საბჭოთა მოსამსახურე, რომელიც უპირატეს მდგომარეობაშია ე. ი. მუშაობს ზოგი 6 საათს და ზოგი 8 საათს? თურმე 8 საათის სამუშაო დღის მქონეთა რიცხვი ამ კავშირში, რომლითაც ჩვენ გვაშინებდენ როგორც საფრთხობელათი, დაახლოვებით 44 პროცენტს უდრის. ოპოზიცია კი არაინდუსტრიალურ კავშირებს მიუდგა ზერელედ და უსწოროდ. არ არის სწორი შედარების ციფრები და ამიტომ ყველა დასკვნებიც ყალბია.

ძირითადი საკავშირო ორგანიზაციები

გადავხედოთ ახლა რა მდგომარეობაშია საკავშირო ორგანიზაციების ქსელის განვითარება, რადგან ქვედა საკავშირო ორგანიზაციების გაფართოება ამტკიცებს მუშათა ფართო მასების კავშირებში ჩაბმას, მუშათა აქტივობის ზრდის ხარისხს, ქვედა საკავშირო ორგანიზაციები—სააქტივო სკოლებია, საორგანიზაციო მუშაობის შემსწავლელი სკოლები.

1925 წლის განმავლობაში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების რიცხვი 50.000-დან გაიზარდა 56.000-დე. კომიტეტის წევრთა რიცხვი 153.000-დან გაიზარდა 226.000-დე, სამქრო დელეგატთა რიცხვი 200.000 გაიზარდა 800.000-დე. კომისიებში იყო: წინად 226.000, ხოლო ახლა—642.000 წევრი. სულ ქვედა საკავშირო მუშაობაში ჩაბმულია 1.733.000 კაცი. მე ვფიქრობ, რომ, მიუხედავად მთელ რიგ ნაკლოვანებებისა პროფკავშირულ მუშაობაში, აი სწორედ ეს ელემენტარული მუშაობა, რომლითაც ჩვენ შევასწავლეთ და მოვამზადეთ აქტიური მუშაობისათვის და ჩავაბით საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში დაახლოვებით 2 მილიონი კაცი, მოწმობს იმას, რომ ამ დარგში პარტია და პროფკავშირები დიდ მუშაობას ასრულებენ. ხომ არ ფერხდება მუშაობა ქვედა აპარატში?

გამოვაქვეყნებ მხოლოდ იმ ციფრებს, რომლებსაც ვერც ერთი თქვენთაგანი ვერ შეედავება. ქვედა პროფორგანოების ხელახალი გადარჩევის შემდეგ (საკავშ. კომ. პარტ. (ბ) მე-XIV ყრილობის შემდეგ) ჩვენ მივიღეთ საკმაოდ განახლებული ქვედა საკავშირო აქტივი მუშათა ფართო დემოკრატიის ნიადაგზე. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების შემადგენლობა 50 პროცენტზე მეტი განახლდა ახალი მუშაკებით.

ამ უკანასკნელ დროს მუშათა საერთო აქტივობა გაიზარდა უდავოდ და ყოველ ეჭვს გარეშე. დამახასიათებელი მოვლენა ის არის, რომ საერთო კრებებზე, კონფერენციებზე და სადელეგატო კრებებზე სხვადასხვა საკითხებზე გამოსულთა პროცენტი, სხდომებზე, თათბირებზე და კონფერენციებზე მონაწილეთა პროცენტი გაიზარდა, დაახლოვებით, 25 პროც.

გაძლიერდა და გამოჯანსაღდა კავშირების ფინანსიური მდგომარეობაც. ადგილობრივი კავშირების ანარიცხები თავიანთ ცეკაში მათ მიერ კავშირის წევრებისაგან აკრეფილ საწევრო გადასახადისაგან, 1925 წლის პირველ ნახევარში შეადგენდა 4.492.892 მან., ხოლო 1926 წელს—6.327.754, ზრდა უდრის თითქმის 41 პროცენტს.

კავშირების ფინანსები

უმჯობესდება საფინანსო ანგარიშების ჩაბარება და ფინანსების მოწყობა ზევიდან ქვევით. ამასთან შეფარდებით პროპორციულად მცირდება გაფლანგვის შემთხვევებიც, მაგრამ პარტიამ უნდა იცოდეს ერთ მეტად მძიმე მოვლენის შესახებ. ეს ის, რომ გამფლანგველთა რიცხვში ურევია პარტიის წევრთა და კომკავშირელთა საკმაოდ დიდი პროცენტი—12 პროც. პარტიამ ამ მოვლენას გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს. საჭიროა დაუყონებლივ უსასტიკესი ზომების მიღება ამ მახინჯ მოვლენის წინააღმდეგ, რადგან პარტიის წევრებმაც კი, მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებმა, ჩირქი მოსცხეს პარტიას ასეთი დაუშვებელი მოვლენებით.

მუშა-ქალთა პროცენტი ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებში გადიდდა, მაგრამ არა ისე, როგორც საჭიროა, აი რატომ ვთვლი მე საჭიროდ, რომ პროფკავშირების წინაშე დაისვას ამოცანა მუშა-ქალთა უფრო მეტი პროცენტის დაწინაურებისა.



ამხ. ტომსკი.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა

კულტურულ მუშაობაში ჩვენ ვამჩნევთ ე. წ. წითელი კუთხეების არაჩვეულებრივ ზრდას და საკლუბო მუშაობის ნაკლებ გაცხოველებას. ამ [illegible] საკლუბო მუშაობის შემდეგ განვითარებას აფერხებს საკლუბო შენობათა ნაკლებობა და ამ საკლუბო შენობათა დატვირთვა ყოველგვარი სხდომებით, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ საკლუბო მუშაობასთან, მაგრამ რომლების წინააღმდეგაც ვერაფერი ვერ მოგვეხერხებია, თუ [illegible] ქალაქში 200 კაცზე მოდის ერთი დარბაზი, სადაც იმართება პარტიული კონფერენციები, ყოველგვარი კრებები, გამოდის ისე, რომ კლუბი 6 დღეს უნდება სხვადასხვა კრებებს და თათბირებს, და მხოლოდ კვირაში ერთ დღეს შეუძლია იმუშაოს, როგორც კლუბმა. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საბინაო მშენებლობის გეგმაში შეტანილ იქნას საკლუბო მშენებლობაც, იფიქრებ, რა დროს კლუბიაო? მაგრამ მუშები მარტო საცხოვრებელ ბინებს კი არ მოითხოვენ, არამედ კლუბებსაც.

იზრდება მთელი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, მაგრამ განსაკუთრებით დიდი მიღწევები გვაქვს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში. 1923 წელში, წითელ პროფინტერნის სესიაზე, სადაც მე გამოვედი მოხსენებით რუსეთის პროფკავშირების მდგომარეობის შესახებ, მე მოვიყვანე ციფრები: „1921 წლის დასაწყისისათვის ჩვენ გვქონდა ისეთი კავშირები, როგორიც, მაგალითად სახალხო კვების კავშირი, სადაც გვყავდა წერა-კითხვის უცოდინართა 65 პროც., კომუნალურ მუშაკთა კავშირი—წერა-კითხვის უცოდინართა 50 პროც., ხის დამმუშავებელთა კავშირი—50 პროც., სასოფლო-სამეურნეო მუშათა—80 პროც., მემაღაროეთ შორის, რომელნიც ჩვენს მშვენებას და სიამაყეს წარმოადგენენ, გვყავდა 50 პროც. წერა-კითხვის უცოდინარი". რა გავაკეთეთ ჩვენ ამ ხნის განმავლობაში? მელითონეებს 1926 წლის 1-ლი აპრილისათვის დარჩათ 2 პროც. წ.-კ. უცოდინარი, ქიმიკოსთა—6 პროც., სასოფლო-სამეურნეო მუშებს (ყველაზე უვიცი კავშირი)—1926 წლის 1-ლ იანვრისათვის დარჩათ 18 პროც. წ.-კ. უცოდინარი, მშენებელთ—მხოლოდ 5 პროც., ხის დამმუშავებელთ 6.5 პროც., მეტყევეთ—4 პროც., ტრანსპორტელებს—10 პროც., კომუნალური მეურნეობის მუშებს—4 პროც., წყალზე მომუშავეთ—4 პროც. მემაღაროები აქ არ იძლევიან ციფრებს. მაგრამ სამაგიეროდ ისინი ასე ამბობენ: „ჩვენში დასრულდა წ.-კ. უცოდინარობაო".

მხოლოდ ნარდმომუშავეთ შორის [illegible] წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმე, მათი შრომის პირობების მიზეზით, აქ საჭიროა განმეორებითი სწავლება, რადგან სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ, ნარდი მომუშავე თავს ანებებს კითხვას და სწავლას, რის გამოც ის კვლავ უსწავლელი რჩება.

მე ვფიქრობ, რომ ამ მიღწევებით პარტიას და პროფკავშირებს შეუძლიათ ერთად იამაყონ ვის წინაშეც არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა იყოს ეს.

ჩვენი ნაკლოვანებანი

მე არ მინდოდა ბევრი დრო დამეკარგა ჩვენს ნაკლოვანებათა აღნიშვნაზე; ჩამოვთვლი მხოლოდ უმთავრეს მათგანს. მეთოთხმეტე ყრილობის წინ ჩვენ გვქონდა სურათი, ე. წ. „სამკუთხედი", სადაც მუშებს ერთსულოვნად და შეუზღუდავად უპირისპირდებოდენ დირექტორი, ფაბქარხკომი და კომუჯრედის მდივანი. ჩვენ ეხლა ვხედავთ, რომ ეს სამეურნეო გადახრა—ყველა შემთხვევებში და ყველგან სამეურნეო მუშაკისათვის მხარის დაჭერა—მაშინ, როცა ის მართალია და მაშინაც კი, როცა ის მართალი არ არის,—პროფკავშირების მიერ აღმოფხვრილია ძირეულად. მაგრამ, სამაგიეროთ, ისინი სხვა პოზიციებზე გადავიდენ, და იჩენენ არა ნაკლებ ცუდ და მავნე გადახრას. დოკუმენტალურად ამის დამტკიცება შეიძლება მთელ რიგ შემთხვევებით, მთელ რიგ წარმოებებსა და მთელ რიგ პროფკავშირებში. ისინი უკვე ყველა შემთხვევებში აღარ იცავენ სამეურნეო მუშაკს და განზე დგებიან მაშინ, როცა ხდება აშკარად გაუმართლებელი მოვლენა, როცა მუშები აყენებენ აბსოლიუტურად სამართლიან მოთხოვნილებებს. სამეურნეო მუშაკისათვის აქტიურ მხარის დაჭერიდან ყველგან და ყოველთვის, ისინი გადავიდენ უკიდურეს პასიურობაზე მნიშვნელოვან საკითხებში.

მეორე ნაკლი—ეს არის ნაკლები ყურადღების მიქცევა მუშათა ცხოვრების წვრილმანებზე. აქ, რასაკვირველია, ერთნაირად დამნაშავენი არიან როგორც პროფკავშირის, ისე სამეურნეო მუშაკნიც. მაგრამ პროფკავშირებს უფრო მეტი ბრალი მიუძღვით. წვრილმანებს, რომელსაც იმ ხალხისათვის, რომლებიც გართული არიან დიდი პოლიტიკით, ძალიან სხვადასხვა სხდომებზე და მიჩვეული არიან ჩვეულებრივ დიდი გეგმების განხილვას, ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, აი ამ წვრილმანებს მუშებისათვის ხშირად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ. და ამ ნიადაგზე ჩვენ ვამჩნევთ მუშების უკმაყოფილებას. რა მიზეზით? აი, მაგალითად, მუშებს ურიგებდენ პირსახოცებს, თითოს თითოეულზე, ხოლო ეხლა, მომჭირნეობის რეჟიმის ნიადაგზე, ურიგებენ თითო პირსახოცს სამ მუშაზე, თითქოს არაფერია. ძველ დროს მუშები ასეთ უმნიშვნელო რამეს ყურადღებასაც არ მიაქცევდენ, მაგრამ ეხლა ის უმნიშვნელო რამე უკვე დიდი საკითხია. ეხლა მუშა თავის სახელმწიფოში ფაქტიურად მბრძანებელია, ის უკვე ის მუშა აღარ არის, რომელიც ჩვენ, ძველ მუშებს, გვახსოვს ძველ ფაბრიკაში მეფის დროს.

უკანასკნელ წლებში მუშა სულ სხვანაირი გახდა. ის ძალიან მგრძნობიარე გახდა, ის სოციალიზმის მშენებლად გრძნობს თავის თავს და ამიტომ ყველა დარგში, ყველა წვრილმანებში უდიდეს, მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს. რა საჩივრებს ვღებულობთ? იმსთანას, როგორც, მე მგონია, თავში აზრად არ გაგივლიათ. მე მრავალი საჩივარი მაქვს მუშებისაგან და საკმაოდ სერიოზული საჩივრებიც, რომლებიც აღნიშნავენ იმას, თუ როგორ ეკიდებიან მუშები ასეთ გულგრილობას". ეს გვიჩვენებს იმას, რომ მუშები იწყებენ დიდი მოთხოვნილების წაყენებას სამეურნეო მუშ. და პროფმოღვაწეთა მიმართ, ეს დიდი პლიუსია მაჩვენებელია მუშების განვითარებაში, ეს ამტკიცებს იმას, რომ მუშები მდგომარეობის ბატონ-პატრონებად გრძნობენ თავს. ყოველგვარ უყურადღებობას, ყოველგვარ დაუდევრობას მუშები უაღრესი სისასტიკით ებრძვიან. წინად კი ასეთ მოვლენებზე ბევრად არ შეიწუხებდენ თავს.

მე აღარ შევჩერდები თეზისზე, რომელშიც ლაპარაკია მომჭირნეობის რეჟიმის დამახინჯებაზე, რადგან ეს დამახინჯება თქვენ ყველამ კარგად იცით. ზოგიერთი ამხანაგები კერძო საუბარში ამბობდენ: „მართალია იყო შემთხვევები მომჭირნეობის რეჟიმის დამახინჯებისა, მაგრამ დღეს ამას უკვე ადგილი აღარა აქვს. ეს წარსული საქმეაო". ჩვენ არ შეგვიძლია მშენებლობის წარმოება მხოლოდ დღევანდელი დღის ფაქტებზე. ჩვენ უნდა ავიღოთ უფრო ხანგრძლივი პერიოდის ფაქტები და ჯამი გაუკეთოთ მათ, მე დიდი მოხარული ვიქნები, თუ ვინმე დაამტკიცებს, რომ ჩვენ აღარ გვაქვს მომჭირნეობის რეჟიმის დამახინჯება, მაგრამ როცა უკვე დაიწყო მე-15 პარტკონფერენცია, მე მივიღე ცნობები, რომ ერთ საფეიქრო ფაბრიკაში, მომჭირნეობის რეჟიმის გამო, ქარხნის მმართველობამ უარი განაცხადა მუშათა საერთო ბინების გათბობაზე. მუშები ამბობენ: „მაშ, როგორ იქნება; ჩვენ რა ეხლა გავიყინოთ?" მათ უპასუხებენ: „რა ჩვენი საქმეა, ჩვენ არ გვაძლევენ და ჩვენც არ მოგცემთ თქვენო". მე ვფიქრობ, რომ დროა პარტიამ, საბჭოთა მუშაკებმა სამეურნეო და პროფმუშაკებმა ბოლო მოუღოთ ასეთ სიმახინჯეს. მისი მოთმენა შეუძლებელია.

სამეურნეო თათბირები

თათბირების მუშაობის შინაარსი

გადავდივარ პუნქტზე, რომელიც უაღრესი მნიშვნელობის მქონედ მიმაჩნია—ეს პუნქტი შეეხება საწარმოო თათბირებს. მე ამ პუნქტს მნიშვნელოვნად ვთვლი იმიტომ, რომ ამ საკითხზე შემჩნეულია პატარაოდენი უთანხმოება ჩვენს შორის.

განსაკუთრებით მძიმეა ჩემთვის ეს უთანხმოება მთელ რიგ ძველ სამეურნეო მუშაკებთან,

ჩვენი უთანხმოება გამოიწვია ნაკვეთმა საკონტროლო კომისიების შესახებ. რა რიგადაც არ უნდა ვწუხდე ამით, მე მაინც დაბეჯითებით მოვითხოვ ამ პუნქტის შესრულებას. მე არ დავიწყებ ლაპარაკს საწარმოო თათბირების მნიშვნელობაზე, რადგან მათი მნიშვნელობა და სარგებლიანობა უდავოდ დამტკიცებულია ყველასათვის, მაგრამ საწარმოო თათბირების მუშაობას მაინც ჯამი უნდა გაუკეთოთ, ოპოზიციის სიტყვებში და ცალკე დოკუმენტებში ყველგან გვესმის ის, რომ საწარმოო თათბირები ილუპებიან და იშლებიან, ამიტომ საჭიროა მათი გამოცოცხლება და სხვ. ჩვენ შევუდექით ამ საკითხის განხილვას და რა დავინახეთ სინამდვილეში? ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავათ ყველა ამ სიტყვებისა და ამ განცხადებებისა, საწარმოო თათბირები მაინც კარგად მუშაობენ. საწარმოო თათბირებმა უკვე გამოიყვანეს ათასობით მომუშავე სამბრძანებლო პოსტებზე—ოსტატები, ბრიგადირები და სხვ. როცა დავა საწარმოო თათბირების გარშემო ჯერ კიდევ პირველ სტადიაში იყო, მე მისაყვედურეს, რომ თითქოს საკმაოდ არ ვაფასებ საწარმოო თათბირების როლს და მსურდეს ამ უკანასკნელის შემოფარგვლა მხოლოდ წვრილმანი საკითხების გარჩევითო. ეს იყო ორი წლის წინად, როცა მე ვადექი იმ თვალსაზრისს, რომ უნაყოფოა საწარმოო თათბირებზე მუშების წინაშე ისეთი საკითხების დასმა როგორიც არის მსოფლიო მეურნეობისა და ქიმიური მრეწველობის მდგომარეობა იმ დროს, როცა ჩვენი ცხვირის წინ დაცხაპებულ ჭერიდან წყალი დაგვდის თავზე. ეს ძალიან კარგი და ჭკუის სასწავლებელი საკითხებია, მაგრამ სხვა მხრიდან უნდა დავიწყოთ, დავიწყოთ იქიდან, რომ მუშა ეზოში გავლის დროს არ იღლობოდეს ნაგავში, დავიწყოთ იქიდან, რომ ათასობით მუშა გვერდს არ უვლიდეს ეზოში დაყრილ უვარგის რკინის ნაჭრების გროვას, მიხვეულ-მოხვეული გზებით არ მიდიოდენ ერთი სახელოსნოდან მეორეში; როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ თავიდან ავიცილოთ ჩვენი ელემენტარული მტკივანი ადგილები, თორემ იმართება საწარმოო თათბირები, სადაც ლაპარაკია მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებზე, ფორდიზმზე და შრომის რაციონალიზაციაზე, ხოლოგამოსვლისას ფეხს იკრავენ რკინის ნაჭრებზე, მე ვფიქრობ, რომ საწარმოო თათბირების პრაქტიკაზე მთლიანად და სავსებით დადასტურდა ჩემი ხაზის სისწორე. მცირედიდან უნდა დავიწყოთ და მაშინ შეგვეძლება დიდის გაკეთება.

ამ თეზისის ჩამოყალიბების მხრივ არის ერთი გამოთქმა, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ ძირითადათ დასრულდა ეს წვრილმანი პერიოდი. მე თანხმა ვარ ამ თეზისების ყოველმხრივ შერბილებაზე, მაგრამ არ მგონია, რომ ყოველგან იყოს აღკვეთილი ეს წვრილმანები.

ამას წინად ერთ საწარმოო კონფერენციაზე ლაპარაკობდენ, რომ ქურჭელში ბევრი უვარგისიაო, იმიტომ, რომ როცა მოაქვთ ეს ქურჭელი, გოდორს ძირი ვარდება, ქურჭელი ძირს იძნევა და იმტვრევაო, მე ამ კონფერენციაზე დავინახე, რომ ჩივიან არა მარტო იმაზე, რომ ქურჭელი იმტვრევა უვარგისი გოდრების მიზეზით, არამედ იმაზეც, რომ როცა ამ გოდრებს ახვევენ ხოლმე ზევით, იმის მაგიერ, რომ აჰყვეს, ის დაბლა ეცემა, უამრავი წვრილმანია, მათ [illegible]. უნდა ითქვას მაინც, რომ ეხლა ცოტა სხვანაირი პერიოდია. ეხლა საჭიროა საწარმოო თათბირები ავიყვანოთ უფრო მაღალ საფეხურზე გადავიყვანოთ ისინი უფრო საერთო ხასიათის საკითხებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოო თათბირები მსოფლიო მნიშვნელობის სამეურნეო საკითხებსაც უნდა შეეხონ, ისინი უნდა ეხებოდენ ისეთ საერთო ხასიათის საკითხებსაც, როგორიც არის ბრძოლა უვარგის ნაწარმოებთან, წარმოების მდგომარეობა, ნედლეულის საკითხი და მუშაობის გაუმჯობესების საშუალებანი. მთელი რიგი საწარმოო თათბირებისა ფაქტიურად უკვე ატარებს ასეთ მიდგომას საკითხებისადმი.

ეს გეგმა მიტომ არის წარმოდგენილი, რომ საწარმოო თათბირები არ გადაიქცეს, როგორც ზოგ ადგილებში გადაქცეულან, „ნოვგოროდის ვეჩე"-დ, სადაც ერთი ერთზე ლაპარაკობდა, მეორე მეორეზე, ხოლო ყველა, ვისაც რაზედაც სურდა. სამუშაო გეგმა უნდა შემუშავდეს, მაგრამ საქმიანად. ჩვენში გეგმის საქმე ჩვეულებრივად ასეთია: რახან არის გეგმა, კრიტიკს ნუ დაბძრავ მის წინააღმდეგ. მე მოუწოდებ კონფერენციას წინააღმდეგობა გაუწიოს ამას, გეგმის ასე გაგებას, არ შევზღუდოთ მუშები საწარმოო თათბირებზე საარსებო სადღეისო საკითხების განსახილველად წამოყენებაში. არც ერთმა საწარმოო თათბირმა, არც ერთმა მისმა ხელმძღვანელმა ამაზე უარი არ უნდა უთხრან მათ.

მუშათა გამომგონებლობა

მე არ შევეხები მთელ რიგ საკითხებს და არც [illegible] მათ თეზისებში, რადგან არ მინდოდა გამედიდებინა მოხსენება, მაგრამ მინდა ვილაპარაკო გამომგონებლებზე. მე [illegible] ცირკულიარი, რომელიც უკანასკნელ პლენუმზე, 8 დღის ადრე განსვენებულ ფელიქსის გარდაცვალებამდე, ჩვენს მიერ შეთანხმებული და ხელმოწერილი იყო. ეს ცირკულიარი საწარმოო თათბირებს აძლევს მთელ რიგ სწორ დირექტივებს. აქ სამეურნეო მუშაკთა მხრივ გაისმა ხმა, რომ მე ჩემს თეზისებში ვაწყენინე სამეურნეო მუშაკთ, მიუხედავათ მათ მხრივ კარგი დამოკიდებულებისა საწარმოო თათბირებთან. განა შეიძლება აქ წყენაზე ლაპარაკი? მე ვამბობდი, რომ არიან სამეურნეო მუშაკნი, რომელნიც დაუდევრად ეკიდებიან საწარმოო თათბირებს.

ასეთი სამეურნეო მუშაკნი არიან, აქ ვერაფერს ვერ იზამ. სამეურნეო მუშაკთა 8 პროცენტიც რომ დაუდევრად ეპყრობოდეს საწარმოო თათბირებს, მაინც საჭიროა მასზე რამეს თქმა. ამ მხრივ უმჯობესია გადავამლაშოთ, ვიდრე ნაკლები ვსთქვათ. რომ ასეთი რამ შემჩნეულია საწარმოო თათბირების მიმართ, რომელსაც დღესაც აქა-იქ აქვს ადგილი,—ეს ფაქტია, ფაქტი მეტად [illegible]. ფსიქოლოგიურად შეიძლება ეს ფაქტი ავხსნათ, ნაწილობრივ გავამართლოთ კიდეც, მაგრამ მაინც საჭიროა ამ მოვლენების ძირ-ბუდიანად აღმოფხვრა. საიდან გამომდინარეობს ეს დაუდევარი მოპყრობა, აი საიდან: „მე, დირექტორს, ძალიან კარგად მესმის საქმე, ყველაფერი ვიცი, ჩემდამი რწმუნებული წარმოების ყველა წვრილმანი მესმის და აი, შემდეგ, თქვენ დამიწყებთ სწავლას თუ როგორ ვმართო წარმოება და როგორ უხელმძღვანელო მას". ტეხნიკური პერსონალისა და ინჟინრების მხრივაც შემჩნეულია ასეთი დაუდევარი მოპყრობა. თუ თქვენ ოდესმე შეგხვედრიათ გულახდილი საუბარი ჩვენს ტეხნიკოსებსა და ინჟინრებთან და შეხებიხართ საკითხს, რომ დასავლეთ ევროპაში ტეხნიკის მდგომარეობა საუკეთესოა, თქვენ, ალბად, შენიშნავდით, თუ რა ნერვიულობას იწვევდა ეს მათში. „რას მელაპარაკებით ევროპაზე. ჩვენ მათზე ნაკლებ არ ვიცით საქმის დაყენება, თანხები რომ გვქონდეს, ჩვენს საქმეს ისეთივე დონეზე დავაყენებდით, როგორც ევროპაში". აქ იმალება შური დასავლეთელ ტეხნიკებსა და ინჟინრების მიმართ. შური კი შეიძლება უფრო აშკარა და იმ დროს, როცა თავს იყრიან ნახევრად უსწავლელი, ხელის მოწერის გაჭირვებით მცოდნე ხალხი და დაიწყებენ მსჯელობას, თუ როგორ დააყენონ წარმოება, და წამოაყენებენ გამოგონებებს. „ბიჭებო, ამბობენ, რა გამომგონებლები არიან". ეს კილო რომ არის—ფაქტია და ეს კილო არ შეიძლება არ ჩავთვალოთ, დაუდევრობად. შეიძლება ეს პირდაპირ საწყენი იყოს, მაგრამ რას ვიზამთ? ეხლა მუშა-გამომგონებლები იფიქრებენ, თითქოს ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობდეთ ამ გამომგონებლების ჩასაკლავად. მოვიყვან ერთ პატარა მაგალითს. ერთ-ერთ ქარხანაში ასეთი წესი არსებობდა: ჩარხი ამზადებს განსაზღვრულ ნივთს, დამზადებული ნივთი და ლითონის მონაჭრები იყრება ერთ და იგივე ყუთში. შემდეგ ეს ნივთი გადადიოდა მეორე ჩარხზე, ქალებთან, რომლებიც საქონელს წონით ღებულობდენ და მიღებულ წონითვე აბარებდენ. ხოლო ამ წონაში და, აგრეთვე შეფასებაში შედიოდა როგორც დამზადებული ნივთი, ისე ლითონის ჩამონაჭრები. მუშა-გამომგონებელმა დაინახა მუშაობის ძველი წესის მოუხერხებლობა, როცა დამზადებული ნივთი მის ჩამონაჭრებთან ერთად ერთ უჯრაში იყრებოდა, და მოაწყო ისეთი მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც დამზადებული ნივთი ერთ ყუთში იყრებოდა, ხოლო მისი ჩამონაჭრები მეორეში. და რა გგონიათ, მუშა-ქალებს, რომლებიც შემდეგ მანიპულიაციას აკეთებდენ, დაუტოვეს ჩაბარებას ძველი წონა. წარმოიდგინეთ ეხლა ამ გამომგონებლის მდგომარეობა, როცა მას დაესხა ათობით მუშა-ქალი და ეუბნება: „შენ რა, ჩვენს კისერზე იღებ გამომგონებლობასო?!". ცხადია, რომ მუშამ დაიწყევლა თავ-ბედი და ხელი აიღო მთლად გამომგონებლობაზე.

გეგმიანი მუშაობა

გადავდივარ საწარმოო თათბირების შემდეგ მუშაობის ხასიათზე, თუ არ დავობენ, რომ ლოზუნგი: „საწარმოო თათბირებო, დაიწყეთ თქვენი მუშაობა წვრილმანებიდან და მუშაობის პროცესში ადით უფრო სერიოზულ და უფრო რთულ საკითხებამდეო"—რომ ეს ლოზუნგი სწორია, მაშინ არ შეიძლება დავა იმის წინააღმდეგაც, რომ საწარმოო თათბირების მუშაობაში შეტანილ უნდა იქნას ერთგვარი გეგმიანობა. თუ ესეც არ იწვევს დავას, მაშინ არ შეიძლება დავობა იმაზე, რომ საწარმოო თათბირების გეგმიანი მუშაობისათვის, მათ მუშაობაში მუშების მოზიდვის დროს, საჭიროა მათი თანდათანი ამაღლება შემდეგი საფეხურებით: დაზგის ინტერესებიდან მთელ სამქროს ინტერესამდე, მთელი ქარხნის, მთელი ტრესტის ინტერესებამდე. აი გზა, რომლითაც უნდა მიდიოდეს მუშების საწარმოო აღზრდა.

საკონტროლო კომისიები

ვერ გამოვედავებით, აგრეთვე, თეზისებში გატარებულ აზრს საკონტროლო კომისიების შესახებ. ამბობენ: „აი, ახალი მარყუჟი უნდათ გადაგვინასკვონ კისერზე, ისედაც გარშემო კონტროლია და ახლა კიდევ ახალი კონტროლის შემოღება უნდათო"! მგონი, ასეა. ამ კომისიას არავითარი ადმინისტრატიული უფლებები არა აქვს. ის მხოლოდ ისე გადახედავს საქმის ნამდვილ მდგომარეობას საწარმოო კომისიის სხდომაზე დირექტორის მიერ მოხსენების გაკეთებამდე. დირექტორი ლაპარაკობს: „აი რა ნაირად მაქვს მე საქმე დაყენებული", ხოლო კომისია კი ამბობს: „ჩვენ გამოვარკვიეთ ესა და ეს"-ო. მაგრამ, როცა ზოგჯერ სამეურნეო მუშაკნი ეჭიდებიან თავის უფლებებს და არ უნდათ შეაკვეცინონ ის. მეღვიძება სურვილი მოვიყვანო ზოგიერთი მაგალითი. ამას წინად მოსკოვში გაიმართა საწარმოო კონფერენცია და მისმა მონაწილეებმა შემოიტანეს მთელი რიგი წინადადებებისა. ამ საწარმოო კონფერენციაზე ისხდენ წარმოებათა დირექტორები; ტრესტების ყველა ჩინოსნებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ შემოტანილი წინადადებებისათვის; მიღებულ წინადადებების წინააღმდეგ არც ერთსაც არ მიუცია ხმა. ამის შემდეგ კონფერენციას უფლება აქვს თვითეულ მის მონაწილის მოსთხოვოს პასუხი, რადგანაც თუ სამეურნეო მუშაკს საწინააღმდეგო არაფერი უთქ-

„მემარჯვენე პლატფორმის დამარცხება"

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

შლიაპნიკოვის და მედვედევის განცხადება უმნიშვნელო მოვლენა როდია ჩვენს პარტიაში. ის ნიშნავს ახალ ნაბიჯს ავადმყოფურ წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრათა ლიკვიდაციისაკენ საკავშირო კომპარტიაში (ბ). იმ გამარჯვების შემდეგ, რომელიც ლენინის პარტიამ ტროცკისა და ზინოვიევის ოპოზიციაზე მოიპოვა, ის ერთხელ კიდევ იმარჯვებს. პარტია საბოლოოთ ამარცხებს მედვედევის და შლიაპნიკოვის პლატფორმას. „ექვსის" „ორგანიზაციული" კაპიტულიაციის შემდეგ ხდება „ორის" პოლიტიკური კაპიტულიაცია. შლიაპნიკოვი და მედვედევი მთელი პარტიის წინაშე აცხადებენ პოლიტიკური შეცდომები ჩავიდინეთო და უარს ამბობენ თავიანთ პრინციპიალურ დებულებებზე.

შლიაპნიკოვი და მედვედევი აცხადებენ, რომ ეთანხმებიან პარტიის ლენინურ მთლიანობის პრინციპს. თავიანთ ფრაქციულ ჯგუფს ისინი შლიან. ისინი პირობას სდებენ, რომ უსიტყვოთ დაემორჩილებიან პარტიის, ყრილობების, ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ყველა გადაწყვეტილებათ.

შლიაპნიკოვი და მედვედევი აღიარებენ, რომ მედვედევის ცნობილი „წერილი" შეიცავს მთელ რიგს ტლანქ, შეცდარი შეხედულებებისას, რომელნიც ეწინააღმდეგებიან „ლენინიზმსა და კომინტერნის პრინციპებს". თავიანთი წერილ—პლატფორმის უმთავრეს ნაწილს შლიაპნიკოვი და მედვედიევი ახლა „ღრმათ შეცდარს" უწოდებენ.

შლიაპნიკოვი და მედვედიევი ქადაგობდნენ, რომ კომუნისტები ხელ-ახლა უნდა დაბრუნდნენ სოციალისტურ პარტიებშიო. ყვითელი სოციალისტები, საზღვარ-გარეთელი მენშევიკები, „ჩვენი" აბრამოვიჩები და დანები ამისთვის შლიაპნიკოვსა და მედვედიევს ნამდვილს „სოციალისტებს" უწოდებდნენ და ამბობდნენ ბაქოს პლატფორმა ზედმიწევნით „იმეორებს ჩვენს (ე. ი. სოციალ-გამყიდველთა) კრიტიკას ბოლშევიზმისასო". დღეს კი შლიაპნიკოვი და მედვედიევი სოციალ-დემოკრატ ბელადებს მუშათა კლასის გამყიდველებსა და ბურჟუაზიის აგენტებს ეძახიან.

შლიაპნიკოვმა და მედვედიევმა ისროლეს სამარცხვინო „მოარული" ფრაზა „წვრილ-ბურჟუაზიული შინაყმების" შესახებ. მათ საბჭოთა კავშირის ყველა მტრების ტაშის ცემა დაიმსახურეს ღრიანცელით რუსეთის ოქროზე. ახლა ისინი ამასაც „უხეშ შეცდომათ" სთვლიან თავიანთ მხრივ.

შლიაპნიკოვი და მედვედიევი ლიკვიდატორულ პოზიციაზე იდგნენ პროფინტერნის საკითხში. ახლა შლიაპნიკოვი და მედვედიევი „პარტიული რეზოლიუციების ნიადაგზე" სდგებიან პროფინტერნის საკითხში.

შლიაპნიკოვმა უღირსად მკაცრი კილო იხმარა, როცა თავს დაესხა მედვედიევის წერილი—პლატფორმის ლიკვიდატორული შინაარსის მამხილებელთ. ახლა შლიაპნიკოვი და მედვედიევი სცნობენ, ჩვენმა „პლატფორმამ საბუთი მისცა ბრალდებებისათვის, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ (ე. ი. შლიაპნიკოვისა და მედვედიევის წინააღმდეგ) წამოაყენეს „პრავდის" და ბოლშევიკის" ფურცლებზეო". ამით ისინი აღიარებენ, რომ მართალი იყო პარტია, როცა ხმა აღიმაღლა მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ ჩვენს პარტიაში.

რასაკვირველია, შლიაპნიკოვისა და მედვედიევის „მუშურ-ოპოზიციურ" გადახრას არ ჰქონია და არც მომავალში ექნება რაიმე სერიოზული მნიშვნელობა საკავშირო კომპარტიის რაზმებში. ამის და მიუხედავათ „ორის" განცხადება უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტია. მთელს პარტიას შეუძლია კმაყოფილებით მიიღოს შლიაპნიკოვისა და მედვედიევის განცხადება. „ორის" განცხადება მათ იდეურ კაპიტულიაციას ნიშნავს პარტიის წინაშე. ეს განცხადება ლენინის იდეების და საკავშირო კომპარტიის მთლიანობის პრინციპის გამარჯვებაა.

ეს განცხადება აბათილებს პროლეტარული დიქტატურის მტრების ერთად ერთ დარჩენილ ნუგეშს, რომ ტროცკი-ზინოვიევის ჯგუფის კაპიტულიაციის შემდეგ „რჩება" და თავის „ოპოზიციურ უმწიკვლობას" ინარჩუნებს შლიაპნიკოვ-მედვედიევის ჯგუფი. საბჭოთა კავშირის მტრები კომპარტიის გახრწნის მისიას „მუშათა ოპოზიციის" ბელადებს აკისრებდნენ. ახლა მემარჯვენე პლატფორმა საბოლოოდ გაიბზარა. ლენინიზმმა ამ შემთხვევაშიც გაიმარჯვა. „ექვსის" განცხადება შემოვიდა მის შემდეგ, რაც მეხუთმეტე კონფერენციამ ერთხმათ რეზოლიუციები მიიღო. ამხ. ბუხარინისა, რიკოვისა და ტომსკის მოხსენებების შესახებ, შემოვიდა კიდევ „ორის" განცხადება, შლიაპნიკოვისა და მედვედიევის უარი მათ უხეშ წვრილ-ბურჟუაზიულ შეცდომებზე.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

ვამს, მაშასადამე წინადადება მიღებულია მაგრამ ვთქვათ, რომ იყო ისეთი წინადადება, რომელიც მიღებულ იქნა: უნდა აშენდეს ახალი ქარხანა და კონფერენციაზე დამსწრე სამეურნეო მუშაკნი უნდა გამოსულიყვნენ და ეთქვათ: ჩემგან ხომ არაა დამოკიდებული ქარხნის აგება. „ამისთვის არის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, არის სახელმწიფო საგეგმო კომისია, მათი საქმეა ეს და მათგანაა დამოკიდებული ეს საქმე“-ო, მაგრამ ერთი კრინტიც კი არ დაძრულა სამეურნეო მუშაკთა მხრიდან. ისხდენ და ყურს უგდებდენ. ამის შემდეგ, წინადადებების 100 პროცენტით მიღების შემდეგ, ცხოვრებაში გაატარეს 40 პროც., ტარდება—20 პროც., ხოლო დანარჩენი კი აღარ ტარდება.

შეეკითხეთ სამეურნეო მუშაკთ: „წინედ სად იყავით თქვენ?“. ამნაირად მუშებს ეკარგებათ რწმენა სამეურნეო მუშაკების საქმიანობაში, სერიოზულობაში და სურვილში აუხსნან რაა შეცდომა და რაა ჭეშმარიტება. ეს არის არასერიოზული მოპყრობა. აქ არის შიში, რომ ვინმე შეკვეცს სამეურნეო მუშაკის უფლებებს. ამ უკანასკნელ ხანში მე არ ვიცი საბჭოთა კავშირის ფაბრიკა-ქარხნებში ისეთი შემთხვევა, რომ სამეურნეო მუშაკის უფლებები შეეკვეცოთ პროფკავშირებსა ანდა მუშებს. სამაგიეროთ არის სხვა შემთხვევები.

როცა საკონტროლო კომისიამ დასრულა თავისი ფუნქციები—ის იშლება, აღარ არის ალარავითარი საკონტროლო კომისია შემდეგ შემთხვევამდე, როცა საწარმოო თათბირი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტთან ერთად საჭიროდ დაინახავს ახალი საკონტროლო კომისიის დანიშვნას განსაზღვრულ ფუნქციების გამოსარკვევად, ამასთან შეიძლება მასზე დავალება იყოს ან ნაწარმოო თათბირების საშუალებით, ჩააბით ისინი ნავითარეთ მუშათა მასების თვითმოქმედება საწარმოო თათბირების საშუალებით, ჩააბით ისინი ყველა სამეურნეო საკითხების კურსში. საწარმოო თათბირები არიან მუშათა მასების საწარმოო ინიციატივის გამომხატველნი, თუ ეს მართალია, მაშინ ნუ შეგვეშინდება სათანადო საორგანიზაციო ფორმების ჩამოყალიბებისა, რომლებიც საჭიროა მათი ორგანიზაციული სახის ჩამოსაყალიბებლათ, მათი საშუალებით მუშათა მასების სამეურნეო ინიციატივის მაქსიმალურად გამოსაყენებლად, თუ ისურვებთ, მოგიტანენ ყოველგვარ რეზოლიუციების სქელ დასტას, სადაც ყველაფერი სიტყვით ნათქვამია, მაგრამ ფორმა ვერ მოუნახეს. ეს ხომ შეიძლება, ამბობენ, ცუდი იყოსო, მე ამის წინააღმდეგ არ ვდავობ, მაგრამ ხომ შეიძლება მოხდეს, რომ ლოდინდა გადაიქცეს პაპად. თუ ცუდი იქნება, მაშინ თავს ვიმართლებთ, ეს ცდის სახით იყოო. მაშინ თქვენთან ერთად შევიყრებით და ვიტყვით: აი, გვინდოდა კარგი გაგვეკეთებია, გამოგვივიდა კი ცუდი. რახან ასეა, მაშინ საყვედურს ამისათვის ჩვენ არავინ გვეტყვის და არ შეგვიფიცავს ვინმეს წინაშე, რომ ყველაფერი მიღებული უშეცდომოა. მაშ რატომ უნდა გვეშინოდეს ცდებისა. მაშ მოდით და ცდა 10 წარმოებაში მოვახდინოთ, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პუნქტში, რომელიც წინასწარ არ სწყვეტს საკონტროლო კომისიის კონსტრუქციას, წინასწარ არ სწყვეტს მისი მოვალეობისა და უფლებების ფარგლებს, წინასწარ არ სწყვეტს მისი საქმიანობის მეთოდის ფორმას და საზღვარს, დავა თვით პრინციპის წინააღმდეგ სწორი არ არის. ამხანაგებს, რომლებიც ფიქრობენ ამის წინააღმდეგ გამოდავებას, სერიოზულად ვერ შეუთვისებიათ საწარმოო თათბირების როლი, რადგან ჩვენ ისინი ჩამოვაყალიბეთ ჩვენი პარტიის მე-XIV ყრილობაზე.

დაწინაურების საკითხი

მე მინდა ერთი ორი სიტყვით შევეხო დაწინაურების საკითხს. ამ წლების განმავლობაში ჩვენ საწარმოო თათბირების საშუალებით საპასუხისმგებლო ადგილებზე დავაწინაურეთ ათასობით მუშა და მუშა-ქალი.

დაწინაურების სისტემამ, მთელ რიგ შემთხვევებში გამოაშკარავა რა თავისი ნაკლულოვანებები,—როგორც ხაზმა, როგორც წესმა მთლიანად და სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. მაგრამ არის ისეთი დეფექტები, რომელიც ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ, დაწინაურებულთ შორის არ შედიან კვალიფიციური მუშები. მართალია თუ არა ეს? მართალია. რატომ? იმიტომ, რომ ადგილი, რომელზედაც მას აწინაურებენ, მცირე ხელფასს იძლევა, ვიდრე ადგილი დაზგასთან, სადაც ის მუშაობდა.

მეორე—ეს არის უყურადღებობა დამაწინაურებელ ორგანიზაციების მხრივ განსაკუთრებით პროფკავშირების მხრივ, ჩემთან კერძო საუბარში მომყავდათ მაგალითი, რომ არის ისეთი შემთხვევები, როცა დაწინაურებულნი, დირექტორზე ნაკლებ ადგილზე არ თანხმდებიან, ეს დაწინაურებული მუშაკი ცუდია. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში უკუღმა ხდება, დაწინაურებულ მუშაკს აწინაურებენ და პირველად აძლევენ სამეურნეო გამგის მოადგილის ადგილს. ის მუშაობს. შემდეგ ამბობენ, რომ მას არა აქვს საკმარისი გამოცდილება, რომ ის მოუმზადებელია ამ მუშაობისათვის და რომ ის უნდა დავაქვეითოთ, რომ ჯერ დაბალ ადგილებზე იმუშაოს და შემდეგ დავაწინაუროთ, გადაჰყავთ სამასალო საწყობის გამგის მოადგილედ. ის მუშაობს და ცდილობს თავი გამოიჩინოს. გამგე ამბობს: „მართალია კარგი მუშაკია, მაგრამ არ შეიძლება მასზე სრულიად დანდობა, რამდენიმე წლის შემდეგ მისგან კარგი მუშაკი დადგება, მაგრამ დღეს ჯერ-ჯერობით ვერ დავენდობით. მოდით დავნიშნოთ ის პირადი შემადგენლობის მაგიდის გამგედ“. ნიშნავენ. მუშაობს. „კარგი ბიჭია, ამბობენ, მაგრამ აკლია სწავლა, აქ საჭიროა ცოდნა. მოდი დავაყენოთ ის შიკრიკების და დამლაგებლების გამგედ“, არ ღირს ყველა ამ საფეხურების ჩამოთვლა, მაგრამ დასასრულ ის იქცევა უფროს დარაჯად. ვინ არის ამაში დამნაშავე? ამაში დამნაშავეა, უმთავრესად დამაწინაურებელი ორგანიზაცია—პროფკავშირი. არ კმარა კაცის დაწინაურება და მისი ჩაგდება გაუცნობელ საქმეში. საჭიროა მოვეხმაროთ მას. ამაზე უნდა დაფიქრდენ პარტია და პროფკავშირები.

სამუშაო ხელფასი

ცოტა განმარტოებულად დგას საკითხი სამუშაო ხელფასის შესახებ, ჩვენი პოლიტიკის შესახებ სამუშაო ხელფასის დარგში, რომელსაც მე არ შემიძლია არ შევეხო. ამხანაგები ოპოზიციიდან პოლიტბიუროში თეზისების განხილვის დროს მეუბნებოდენ მე იმის შესახებ, რომ ჩემი თეზისები რომ არ შეიცავდეს მათ მაგინებელ მომენტებს, მაშინ ისინი დამშვიდებული სინიდისით მისცემდენ ხმას.

კერძოთ აქ სუთი მაგინებელი მომენტებია საკითხში სამუშაო ხელფასის შესახებ. მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ საკითხს სამუშაო ხელფასის შესახებ, სამუშაო ხელფასი—ეს ისეთი მომენტია, რომლის გარემოც ადგილია დემაგოგიის გაჩაღება, ძალიან ადვილია უპასუხისმგებლო გამოსვლების მოწყობა და რომელიც ამიტომ წარმოადგენს ერთ ყველაზე საშიშ და ყველაზე მწვავე საკითხს. რატომ? იმიტომ, რომ არ არის არც ერთი მუშა, რომელიც კმაყოფილდებოდეს იმ სამუშაო ხელფასით, რომელიც აქვს და არ სურდეს მეტის მიღება. საკითხი სამუშაო ხელფასის შესახებ, სანამ არსებობს სამუშაო ხელფასი, როგორც დაქირავებული შრომის ანაზღაურებელი სისტემა, მუდამ მწვავე საკითხი იქნება; აქ საჭიროა, განსაკუთრებით პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, გარკვეულობა და მკაფიობა პარტიისაგან, უდიდესი გარკვეულობა და ყველა შეცდომებისა და უპასუხისმგებლო გამოსვლების ახსნა-განმარტება. მე ვიგონებ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმს, როცა განვიცადეთ ჩვენ აპრილის დასაწყისში, როცა პლენუმი იკრიბებოდა ქონელზე ფასების უეცრად გაზრდას.

შემდეგი მძიმე თვე იყო მაისი. რა იქნებოდა შემდეგ, ჩვენ აპრილშივე ვიცოდით. ჩვენ ვხედავდით სიძვირის ზრდას. ეს ესმოდა და იცოდა ყოველმა მუშამ. ამ დროს შემოტანილ იქნა კამენევის შესწორება: „სამუშაო ხელფასის პოლიტიკა უახლოეს ნახევარ წელში აგებულ უნდა იქნეს არა ნომინალურ, არამედ რეალური სამუშაო ხელფასის ყოველ პირობის გარეშე შენარჩუნების პრინციპზე. მატერიალურ პირობების შექმნა და უწინარეს ყოვლისა შრომის ნაყოფიერების აწევა სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის სრულიად საკმარისად უზრუნველმყოფს რეალურ სამუშაო ხელფასის სიმტკიცეს იმდენად, რამდენად მთლიანად და სავსებით ისხება და ძლიერდება მტკიცე ვალიუტა“.

რამ შეუშალა ხელი ცეკას აპრილში მიეღო შესწორება რეალურ სამუშაო ხელფასის დაცვის შესახებ და ეთქვა, რომ ნომინალური სამუშაო ხელფასის შენარჩუნება უზრუნველმყოფს რეალური სამუშაო ხელფასის სიმტკიცეს მაშინ, როცა არსებობს მტკიცე ვალიუტა. პირველი—ეს იქნებოდა ჩვენი ჩერვონეცის დაცემის აღიარება. სწორია თუ არა? მეორე—ეს იქნებოდა სამუშაო ხელფასის ჩერვონეცის ანგარიშით გაცემის სისტემიდან სამუშაო ხელფასის საქონლის ინდექსით გაცემის სისტემაზე გადასვლა. შეიძლება სხვა რამე იყოს? დიე, თუნდაც ერთმა პროფესიონალურმა ან სამეურნეო მუშაკმა სთქვას, რომ ეს სხვა რამეს გამოხატავდეს? ჩვენ უზრუნველვყოფთ უახლოეს ნახევარ წლისათვის რეალურ სამუშაო ხელფასის შენარჩუნებას—რას ნიშნავს ეს? ეს იქნებოდა გადასვლა საქონლის ინდექსზე და იმ დროისაკენ დაბრუნება, როცა ანგარიშობდენ და დავობდენ, თუ რა ღირს კარტოფილი ამა თუ იმ რაიონში, რა ინდექსით და სხ.

რას ნიშნავდა საქონლის ინდექსის შემოღება 1926 წლის აპრილში? ეს იქნებოდა არა მარტო ამჟამად ჩერვონეცის დაცემის აღიარება, არამედ მისი შემდეგში დაცემის აღიარებაც. სხვა არაფერს ნიშნავდა ეს. თუ გეტყვით: მე უზრუნველვყოფ უახლოეს ნახევარ წლისათვის რეალურ სამუშაო ხელფასის შენარჩუნებას ბაზარზე სიძვირის პირობებში, მოდი ვიანგარიშოთ როგორი იყო თქვენი რეალური სამუშაო ხელფასი აპრილში ან და 1-ლ იანვრისათვის, და როგორი უნდა ყოფილიყო ის მაისში. აი საქონლის ინდექსი, აი ჩერვონული მანეთები,—მოდით გავსინჯოთ. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს ჩერვონეცის გაკოტრების აღიარებას, აღიარებას არა მარტო იმისა, რომ ის შეირყა, ან შეჰქანდა. ამაზე ჩვენ შეიძლება დავა გვქონოდა ჯერ კიდევ აპრილში. არამედ იმის აღიარებაც, რომ ის დაიქანა და კვლავ განაგრძობს დაქანებას. საკმარისია ერთი ბიძგი და საქონლის ინდექსის შემოღება, რომ ჩერვონეცი დაექანოს იმიტომ, რომ საქონლის ინდექსის შემოღებას მოჰყვება ჩერვონულ მანეთების საერთო რიცხვის გადიდება, გამოიწვევს ემისიას და ფულის უამრავ ნიშნებს, ამასთან ერთად საქონლის რაოდენობის გადიდებას და სხ. ეს ნიშნავს იმის დანგრევას, რის შექმნაც ჩვენ ესოდენ ძვირად დაგვიჯდა. ჩვენ, პროფესიონალური მუშაკები, ბევრს ვოცნებობდით წინედ, ვიდრე საქონლის ინდექსის ანგარიშიდან გადავიდოდით ჩერვონულ ანგარიშზე. ჩვენ დიდხანს ვიხილავდით და ვარკვევდით ამ საკითხს, ეს ძალიან მძიმე მუშაობა იყო, მაგრამ, დაბოლოს, მუშებმა და პროფკავშირებმა დიდი ბრძოლის გზით და დიდი მსხვერპლის გაღებით თავი დააღწიეს საქონლის ინდექსს და გადავიდენ ჩერვონულ აღრიცხვაზე, მუშებმა ამით მოიგეს და ამოისუნთქეს თავისუფლად. ამის შემდეგ ასეთ ღონისძიებაზე გადასვლა, როგორსაც ოპოზიცია აყენებს, ანიავებს ყველა წარსულ მიღწევებს; ეს ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ჩერვონეცი ეცემა და განაგრძობს დაცემას, რადგან თუ წაბიძგეთ მას,—ის დაექანება. როგორ შეუძლიათ სახელმწიფოებრივ პირთ ცეკას წინაშე წამოაყენონ ასეთი წინადადება ესოდენ მძიმე მომენტში, როცა საქონელი განსაზღვრულად ძვირდებოდა? განა ეს არის სამუშაო ხელფასის გონიერი და ბრძენი პოლიტიკა? განა მუშა მადლობას გვეტყოდა, ჩერვონეცი რომ შეგვერყია, ჩვენ რომ მოვეპყრობოდით მას, როგორც 1919 წელს, როცა ფულის ნიშნებისათვის რამდენიმე ნოლის მომატებით მუშა ასის მაგიერ ათასს ღებულობდა. გადის თვე. კიდევ უმატებენ რამოდენიმე ნოლს, გამოდის მილიონი და ასე შემდეგ. მთელ რიგ ქარხნებში არის დოკუმენტები და ფაქტები, როცა მუშები სამუშაო ხელფასის მომატებისას კითხულობდენ: „ჩერვონეცს ხომ არ შეარყევს ეს. თუ შეარყევს, სჯობია დავიცადოთ“-ო.

მე ვამტკიცებ, რომ დაესწროთ რომელიმე საფაბრიკო-საქარხნო კრებას და დასვათ მუშების წინაშე საკითხი: მიღებულ იქნას თუ არა ისეთი ზომა, რომელიც საფრთხეს განუმზადებს ჩერვონეცის სიმტკიცეს, რომელიც მათემატიკური სისწორით გამოიწვევს ჩერვონეცის დაცემას, ე. ი. საქონლის ინდექსის სისტემაზე გადასვლას, მე ვამტკიცებ, რომ მუშები იტყვიან: „უმჯობესია მოვითმინოთ, მოვიცადოთ, მაგრამ ჩერვონეცის შერყევას არ დაუშვებთ“, ვინაიდან ამით მუშები დაზარალდებიან პირველ რიგში. მოიმატებს საქონლის რიცხვი საქონლის ინდექსზე გადასვლით? დიე სთქვან, თუ როგორ დაიცავს საქონლის ინდექსი რეალურ სამუშაო ხელფასს უახლოეს წლებში? ბევრი მუშათაგანი ასე ამბობდა: „გააუმჯობესე კოოპერაციის მუშაობა დღით-დღემდე, ვინაიდან კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესება მუშის რეალურ სამუშაო ხელფასის მომატებას ნიშნავს“. მაგრამ როგორ შეგიძლიათ, თქვენ ჩერვონეცის კურსის დაცემის აღიარებით უზრუნველყოთ რეალური სამუშაო ხელფასი? ეს სრულიად აბსურდული წინადადება პოლიტიკურადაც უპასუხისმგებლოა. აი, რატომ არ შემიძლია უარი ვსთქვა ამ მუხლის შერბილებაზე, თანდაც ამას მოჰყვეს ამ თეზისების ერთხმად მიღება. ჩვენ კარგად მოვიქეცით. როცა ჩვენ დავინახეთ, რომ მოსავლის პერსპექტივები ეხლა უკეთესია, ვიდრე ველოდით, რომ შრომის ნაყოფიერება იზრდება, როცა ჩვენ დავინახეთ, რომ ფასების ირგვლივ მოხდა ერთგვარი ხელსაყრელი გარდატეხა,—მაშინ ჩვენ თვითონ, ვიმსჯელეთ პროფკავშირში მომუშავე ამხანაგებთან და ცეკას პოლიტბიუროში შევიტანეთ საკითხი იმის შესახებ, რომ განვიხილოთ: რამდენი შეგვიძლია მოუმატოთ სამუშაო ხელფასის ფონდს. ჩვენ ამ საკითხს 2 თვიაზე მეტს ვიხილავდით. როგორ შეიძლება სხვაგვარად მიუდგეთ ასეთ დიდ საკითხებს, რომლებშიაც თუ შეცდომა მოხდება 10 პროცენტით, ეს გამოიწვევს 20 ან 15 მილ. მან. ზარალს და შეუძლია საგრძნობი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ბიუჯეტსა და მრეწველობას. ასეთი საკითხი სწყდება არა ცარიელი და უპასუხისმგებლო რეზოლიუციებით, არამედ საქმიანი მუშაობით, მისი ზედმიწევნითი შესწავლით. სწორი არ იყო ოპოზიციის ეს წინადადება. ასეთი წინადადებების წინააღმდეგ სასტიკად უნდა იბრძოლოს პარტიამ მომავალში. ასეთი წინადადება შეუძლებელია სხვაგვარად შეფასდეს, თუ არა როგორც დემაგოგიური.

აქ არ შეიძლება დაშვებულ იქნას არავითარი უპასუხისმგებლობა პარტიის წევრების მხრივ.

უმუშევრობა

შემდეგი მუხლი. მე მინდოდა შევხებოდი ჩვენს მტკივან საკითხს—ეს არის ჩვენი უმუშევრობის საკითხი.

ჩვენში აგრეთვე დიდ პოლიტიკურ განგაშს სტეხენ უმუშევრობის საკითხის ირგვლივ. მე მსურს მხოლოდ ჩამოვსთვალო ჩვენი უმუშევრობის ის თავისებური ნიშნები, რომელიც ანსხვავებს მას ყოველგვარი სხვა უმუშევრობისაგან. ჩვენში არის უმუშევრობა, მიუხედავად იმისა, რომ იზრდება მრეწველობა, და არა მცირდება, როგორც დასავლეთ ევროპაში. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებაში მყოფი მუშების რიცხვი ძალიან იზრდება, ჩვენში მატულობს უმუშევრობა. არა სპეციფიური ნიშნები: პირველი—მიწის ნაკლებობა, მეორე—სახეზონო უმუშევრობა (ჩვენ დასავლეთ ევროპიდან ძალიან ბევრი რამით განსხვავდებით. ინგლისში მაგალითად, აღმშენებელი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში, ჩვენში კი—მხოლოდ ზაფხულის თვეებში. მუშები, რომელნიც ასიათასობით აწყდებიან ქალაქს, გაცხოველებული აღმშენებლობის გამო, უმუშევრად ითვლებიან).

უმუშევართა რიცხვი ჩვენს პროფკავშირებში აღრიცხვაზე მეტია, ვიდრე შრომის ბირჟაზე, მაგრამ ესენი არიან სახეზონო მუშები, რომელნიც იმას შემდეგ, როცა იმუშავებენ ერთ წელიწადს, პროფკავშირების უმუშევართა წევრების რიცხვში ეწერებიან. ამის მიზეზია მიწის ნაკლებობა სოფლად, რომელიც ზედმეტ სამუშაო ხელს გვიგზავნის. აღრიცხვაზე მყოფი უმუშევრების შემადგენლობაში შედიან აგრეთვე: ქალები, რომლებსაც აღარ სურთ იყვნენ დიასახლისათ, იგი თავის სამუშაო ძალას აწვდის ბაზარს, იგი აცხადებს, რომ უკეთესია მე ვიმუშაო ფაბრიკაში, ვიდრე სამზარეულოში ვიტრიალო.

ასეთია ჩვენი უმუშევრობის ხასიათი. თუ ჩვენ უმუშევრების საერთო სურათიდან თავიდან ავიშორებთ ისეთ მოვლენას, როგორიცაა სახეზონო უმუშევრობა თუ გამოვრიცხავთ იმ ელემენტებს, რომლის შესახებაც მე ვამბობდი, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ კვალიფიციური მუშების უმუშევართა რიცხვი უმნიშვნელოა. თუ შეიძლება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კვალიფიციურ მუშათა მიერ სამუშაოს გაცდენის წინააღმდეგ ბრძოლაში შედეგებს ვერ ვაღწევთ, ეს აიხსნება სწორედ იმით, რომ არავინ არ ეტყვის უარს ადგილის მიცემაზე კარგ ხარატს და ზეინკალს სამუშაო გაცდენის გამო, მე ვიცი შემთხვევა, როცა მუშა მიდის სამუშაოზე და ამბობს: „მე ვიმუშავებ, ყველამ იცის, თუ როგორი მომუშავე ვარ, მაგრამ, უკაცრავად, არავითარ შენიშვნებს არ მივიღებ იმის გამო თუ მე სამუშაოს გავაცდენ“. რა უყოთ, კარგი მომუშავეა, ვერაფერს ვერ გავაწყობთ. ჩვენ გვაკლია კვალიფიციური მომუშავენი და სამრეწველო უმუშევრობა ჩვენში თითქმის არ არსებობს. ასეთი უმუშევრობა ჩვენში არ შორდება „სუბიექტიური უმუშევრობის“ ფარგლებს მუშების ხელახალი განაწილების სახით მრეწველობის შიგნით და სხვ., როცა ერთი ქარხნის მუშები მეორე ქარხანაში გადადიან, ეს მორმალური უმუშევრობაა. კვალიფიციური და მცოდნე მუშების თვის უმუშევრობა არ შორდება ისეთი უმუშევრობის ფარგლებს, რომელიც დასავლეთ ევროპისათვის სრულიად ნორმალური ციფრით —8 პროცენტით განისაზღვრება.

განსაკუთრებული სახით სდგას უმუშევრობის საკითხი ახალგაზრდობის შორის. უმუშევრობა ახალგაზრდობის შორის და უმთავრესად, უმუშევრობა მუშათა ბავშვების შორის სახიფათო ხასიათს იღებს; ივანოვო-ვოზნესენსკელებმა კარგად იციან, თუ როგორ მწვავედ სდგას საკითხი ყველა სამრეწველო წარმოებებში მოზარდი ახალგაზრდობის შესახებ, რომელთა გამოყენება მრეწველობაში შეუძლებელია და არც სხვაგან არის მათთვის სამუშაო.

მუშათა ახალგაზრდობის სოციალური აღზრდა

მე მგონია, რომ განსაკუთრებით მწვავედ სდგას ეს საკითხი ეხლა, როცა კიდევ არის უპატრონო ბავშვთა საკმაო რიცხვი, როცა ახალგაზრდობა, რომელიც გადის სკოლიდან, ფაბრიკაში თუ არ მოხვდა, რჩება ქუჩაში, როცა იგი რჩება მუშათა ზეგავლენის გარეშე. როგორ არის ჩვენი მუშაობა დაყენებული? პარტიული მუშაობა საწარმოო პრინციპის მიხედვით ფართოვდება. წარმოებებში; მუშების შორის კომკავშირიც მუშაობს საწარმოო პრინციპის მიხედვით, პროფკავშირებიც ასევე მუშაობენ, ახალგაზრდობა წარმოების გარეშე და სოფლად რჩება უყურადღებოთ, კლუბები მისთვის დახურულია და აქედან წარმოიშვის საშიში და სოციალურად—მავნე ელემენტების განსაზღვრული ნაწილი, აქედან წარმოიშვის ხულიგანთა ტალღა, რომლის შესახებ აქ უნდა ითქვას, რომ იგი გაზვიადებულია. მე უნდა ვსთქვა, რომ ძალიან აჭარბებენ, რომ ხულიგნობის ქვეშ გულისხმობენ: სიმღერა ქუჩაში, ქალების გაუპატიურება და დემონსტრაციაზე თავდასხმა. მაშინ რაღა არ არის ხულიგნობა?

აი, არსებობს გაზეთი „პრიზივ“, რომელიც გამოდის ვლადიმირის გუბერნიაში. მე თქვენ წაგიკითხავთ, ამხანაგებო, ერთ საინტერესო დოკუმენტს ამ გაზეთიდან იმის შესახებ, თუ როგორ გაიგო ხულიგნობის საკითხი ადმინისტრატორმა, რომელიც მოწოდებულია ხულიგნობასთან საბრძოლველად: „ხულიგნობასთან ბრძოლის მიზნით ვლადიმირის გუბერნიის საადმინისტრაციო განყოფილებამ შეიმუშავა სავალდებულო დადგენილებების პროექტი, რომლის მიხედვით აკრძალულია ხმაურობა, ყვირილი, სიმღერა და მუსიკა ქუჩებსა და კერძო სახლებში, საღამოს 10 საათის შემდეგ“.

აი, გაზეთი „რაბოჩი კრაი“. მასში ათავსებენ ბოროტმოქმედთა სურათებს. მე ვფიქრობ, რომ მეტი სახელი შეიძლება დაედოს კაცს დანაშაულისათვის, საქმისათვის. მაგრამ ბოროტმოქმედის სურათის ბეჭდვა, იმისათვის, რომ მან მოიპარა საზოგადო ფული ან სხვა რაიმე სისაძაგლე ჩაიდინა, ეს მე მგონია, რომ არ ვარგა. ჩვენ განსაკუთრებული ზომები უნდა მივიღოთ იმისთვის, რომ უპატრონო ბავშვებს მივსცეთ თავშესაფარი, ჩვენ მკაცრი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ ამ მოვლენას. ჩვენ ეხლა, პროლეტარიატის დიქტატურის 9 წლის თავზე უნდა საბოლოო აღმოფხვრათ ეს მოვლენა. ჩვენ თვით მუშათა კლუბები და კლუბების მუშაობა უნდა გავაფართოვოთ. ჩვენში ხშირად აჭარბებენ კულტმუშაობის საკითხში. ავიღოთ, მაგალითად, ფიზკულტურა. აიძულებენ ყველას იმოქმედოს ისე, როგორც ჩვენ გვინდა, როგორც ივენ მოვიფიქრეთ კაბინეტში. ესენი ხომ ცოცხალი ხალხია, და მათზე, როგორც კურდღლებზე ცდებს ახდენენ. ანგარიში უნდა გაუწიოთ რაც კარგია, მაგრამ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმასაც, რაც უნდა ამა თუ იმ პირს. კულტურა თანდათანობით უნდა ავსწიოთ, არა ერთბაშად, როგორც კულტურულ - განმანათლებელი მუშაობის ყველა დარგში, ისე აქაც საჭიროა დიდი წინსვლა. მე რამდენიმეჯერ მდებდენ ბრალს ოპორტუნიზმში იმის გამო, რომ მე ვამბობდი (ჰოი, საშინელებავ!) ცეკვის საჭიროების შესახებ კლუბებში. მეტად სათნოიანმა და ართოდოქსალურმა კომკავშირელმა ვაჟებმა და ქალებმა ასეთი ბარათი მომწერეს: „როგორ არ გრცხვენიათ, ამხანაგო ტომსკი, ასეთი რამის დაცვა, როგორიცაა ცეკვა?“ მე ვიცი, რომ სწორედ ეს სათნოიანი ახალგაზრდობა დადის მუშათა განაპირა ადგილებში რომელიღაც დარია და მარიამთან, ქირაობს იქ ოთახს, აფარებს ფანჯრებს ფარდებს, და იქ, სხვების დაუნახავად ისეთ ცეკვას აჩაღებს რომ ჭერს აყრუებს. მე ვფიქრობ, რომ უკეთესია მუშათა კლუბში იცეკვონ.

რა უკეთესია, კლასიური აღზრდის კულტურულ-განმანათლებელი პოლიტიკა თუ ცეკვა? რასაკვირველია, პოლიტიკური აღზრდა უკეთესია, მაგრამ განა შეიძლება მუშამ გაუძლოს იმას, რომ 8 საათის მუშაობის შემდეგ, დღიდან-დღემდე მას ლექციებით გამოუჭედონ ყურები? არ შეუძლია. ცალკე პირებს, რასაკვირველია, შეუძლიათ, მაგრამ ყოველივე ცოცხალის ჩარჩოებში მომწყვდევა შეუძლებელია. ომი უნდა გამოეცხადოს ცარიელ და მკვდარ იდეებს და მუშაობის ასეთ მეთოდებს.

თუ ჩვენ სწორედ მივუდგებით მუშაობას, შევძლებთ ბრძოლის გამოცხადებას ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ, შევებრძოლებით უმუშევრობას მუშა-ახალგაზრდებს შორის, ჩავაბამთ ამ ახალგაზრდობას საკლუბო მუშაობაში, დავაყენებთ საკლუბო მუშაობას ისე, რომ კლუბებში თვითეულმა ჰპოვოს თავისი ტემპერამენტის და თვისების შესადარი კმაყოფილება და კულტურული მუშაობა, —ჩვენი ამოცანა შესრულებული იქნება.

პარტია და პროფკავშირები

მე ეხლა მოკლეთ შევეხები საკითხს: პარტია და პროფკავშირები. ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ერთგვარი წარმატება და ერთგვარი გაუმჯობესება უმაღლეს პარტიულ ორგანოების და პროფკავშირების ურთიერთობაში. გუბერნიებში აქვს ადგილი ერთგვარ გაუმჯობესებებს, მაგრამ არა ყოველგან. სამწუხაროდ, მე უნდა აღვნიშნო, რომ გუბერნიებს იქით პარტიის მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებათა გატარება შორს არ წასულა. ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის დაბალ უჯრედების გადახალისება ამ მხრივ. ეს ამოცანა თეზისებში საკმაოდ მკაფიოდ არის აღნიშნული. მე ვფიქრობ, რომ ამას კონფერენცია უნდა დაეთანხმოს.

ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტი

უკანასკნელი საკითხი—საერთაშორისო საკითხია. ბუხარინის სიტყვის შემდეგ ვრცლად ამაზე არ შევჩერდები. ბუხარინის მოხსენებას მე მთლიანად და სავსებით ვეთანხმები. მე მინდა მხოლოდ გავამართლო ერთ-ერთი თეზისი, რომლის შესახებაც ამხანაგები ოპოზიციიდან ლაპარაკობდენ, რომ მე თითქოს მათ უშვერად ლანძღავდი, მაგრამ მათ ხომ ცუდი მეხსიერება აქვთ.

მე მინდა შევჩერდე თეზისზე ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ. რას მოითხოვდა ოპოზიცია? რაში მდგომარეობდა მათი წინადადება? გავსწყვიტოთ კავშირი ინგლის-რუსეთის კომიტეტთანო! რატომ? უნდა გავაკეთოთ რევოლიუციონური ჟესტი, რომ ყველამ გაიგოს და სხ. არ შეიძლება გამყიდველებთან ერთად ჯდომაო. მე ვლაპარაკობ, რომ ასეთ გზას ეხლანდელ პირობებში მივყევართ არა იქითკენ, საითაც ჩვენ უნდა მივმართოთ კომუნისტური პარტიის ყურადღება. ეს მივყევართ არა პროფკავშირებში მასების ჩაბმისკენ, არა პროფკავშირების საშუალებით ბრძოლისაკენ, არამედ მას მივყევართ პროფკავშირების გარეშე, ეს გზა ნიშნავს პროფკავშირებიდან გამოსვლის გამართლებას, პროფესიონალურ კავშირებისადმი დამოკიდებულებაში გულგრილობის განწყობილების და თეორიის გამართლებას. 1907 წელსაც არაფრად გვსიამოვნებდა გამყიდველებთან ერთად ჯდომა, როცა ჩვენ უმცირესობაში ვიყავით ყოველთვის, და როცა ჩემს გვერდით მენშევიკები და ესერები მსხდენ. ძალიან მსურდა იქიდან გამოქცევა. გრძნობა მიკარნახებდა: არ მინდა გამყიდველებთან ჯდომა. როგორც არ უნდა ასწიო ხელი, მაინც უმცირესობაში მოჰყვები; მაგრამ რას იზამ, სხვა გზით მასებთან ვერ მიხვალ. ჩვენი კომუნისტური პარტიის ლოზუნგი ასეთი უნდა იყოს: „პროფკავშირების საშუალებით მოიპოებ მასებს“. რა მეთოდით? იმ მეთოდით, რომლის შესახებაც ასე გარკვევით ლაპარაკობდა ბუხარინი და რომელზედაც მე ვილაპარაკე კომინტერნის გაფართოებულ პლენუმზე, სადაც ჩემს წინააღმდეგ არავის არაფერი უთქვამს; მე იქ ვსთქვი, რომ კომუნისტური პარტიების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რათა ისინი შეუდგენ პროფკავშირებთან დაახლოვებას. დასავლეთ-ევროპის კავშირებში ამხანაგები დღემდე კიდევ ლაპარაკობენ დაუესის გეგმაზე და სხვ. მასები კომუნისტებს ანდობს თავის პროფესიონალურ ინტერესების დაცვას, ხოლო როცა საქმე ეხება ყოველდღიურ ეკონომიურ ბრძოლას, ის სოციალ-დემოკრატებს ამჯობინებს. „თქვენ, ამხანაგო კომუნისტებო,—ლაპარაკობენ ისინი,—არჩევთ დაუესის გეგმას და სხვ., მაგრამ ამ სატარიფო ქსელის და კოლექტიური ხელშეკრულებების შესახებ თქვენ ნაკლებ ზრუნავთ, ამისათვის თქვენ არ გცალიათო“. უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტები პროფკავშირებს იპყრობენ მაშინ, როცა ისინი ყოველდღიურ მუშაობას ეწევიან, უკვირდებიან მას თავიდან ბოლომდე და ახერხებენ მასების ნდობის მოპოებას და დამსახურებას პრაქტიკული მუშაობით.

აი აქეთკენ უნდა მიისწრაფოდენ მოძმე კომუნისტური პარტიები. ამ დროს აყენებენ ლოზუნგს: „არ გვინდა გამყიდველებთან ერთად ჯდომაო“ და ლაპარაკობენ, რომ ეს რევოლიუციონური ჟესტია, რომელსაც მთელი მსოფლიოს მუშები გაიგონებენო“, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის პროფკავშირებიდან გამოსვლაზე ხაზის აღება.

დასკვნა

ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ როცა ჯამს უკეთებთ იმას, გავაკეთეთ თუ არა ყველაფერი და განვახორციელეთ თუ არა დირექტივები, რომელიც მე-14-ტე პარტყრილობამ მოგვცა პროფესიონალურ კავშირების დარგში, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ყველა დირექტივები ვერ არის განხორციელებული. გვაქვს თუ არა წარმატებები ამ მხრივ? წარმატებები გვაქვს. გვაქვს ნაკლულოვანებები? გვაქვს. დასკვნა: ამ ნაკლულოვანებებს შევებრძოლებით. ამ წლების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 9 წლის განმავლობაში ჩვენ შევქმენით მსოფლიოში ჯერ უჩვეულო ცენტრალიზაცია ქმნილი დარაზმული და ძლევამოსილი პროფესიონალ. მოძრაობა, რომელსაც მყავს დაახლოებით 2 მილ. ძირითადი აქტივი, შევსძელით ფართოდ გაგვევითარებია კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, შევქმენით მოძრაობა, რომელიც მთელი რევოლიუციის მანძილზე მიდიოდა პარტიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებით, მასთან ერთად ამტკიცებდა საბჭოთა ხელისუფლებას, მასთან ერთად დაიპყრო ის, მასთან ერთად ამყარებს სოციალიზმს და, მე დარწმუნებული ვარ, დაამყარებს! (მქუხარე ტაში).

კამათი ამხ. ტომსკის მოხსენების გარშემო

ამხ. უგლანოვი

მოსკოვი, 1 ნოემბერი. ამხ. უგლანოვი აღნიშნავს, რომ მე-XIV პარტყრილობის გადაწყვეტილებანი პროფესიონალური მოძრაობის დარგში წარმატებით იქნა გატარებული: გაუმჯობესდა კავშირების მასიური მუშაობა, პროფესიონალური ორგანიზაციებისა და ძირითადი კომიტეტების არჩევითი სისტემა არის რეგულიარული და ფართო. მე-XIV პარტყრილობის გადაწყვეტილებათა მთავარი ხაზი, რომელიც შეეხება პროფკავშირების ყოველდღიური მუშაობის ამოცანებს—კავშირის წევრების ეკონომიური ინტერესების დაცვას — აგრეთვე საკმაოდ შეითვისეს პროფმუშაკებმა და პარტიის წევრებმა. მასიურ მუშაობის ნაკლად ამხ. უგლანოვს მიაჩნია პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტების სუსტი კავშირი წარმოებებთან. ტეხნიკურ პერსონალთან სუსტი მუშაობის გამო ის ვერ იღებს აქტიურ მონაწილეობას საწარმოო თათბირებში, რაც შეეხება საწარმოო თათბირების მუშაობას, ამხ. უგლანოვი აღნიშნავს, რომ იგი უკვე ჩამოყალიბებულია, მაგრამ საჭიროა მისი წინ წაწევა. ეს განსაკუთრებით საჭიროა იმიტომ, რომ იმ სამეურნეო მშენებლობის ამოცანები, რომლებიც ამჟამად ჩვენს წინაშე დგას, ახალი სამეურნეო განვითარების ფაზისში შესვლის გამო შეიძლება განხორციელებული იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ მათი ცხოვრებაში გატარების დროს მონაწილეობას მიიღებს მთელი მუშათა კლასი.

ამხ. უგლანოვი წინააღმდეგია დროებითი საკონტროლო კომისიების შექმნის, რასაც ამხ. ტომსკი მოითხოვს. მას უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საწარმოო კომისიებს მიეცეთ პერიოდიულად ამა თუ იმ გამოკვლევის მოხდენის უფლება. ეს უფრო სწორი იქნება, ვინაიდან საწარმოო კომისიებში მონაწილეობას იღებენ ადმინისტრაციის, ტეხნიკური პერსონალის და სხვ. წარმომადგენლები.

ამხ. სემკოვი

ამხ. სემკოვი აღნიშნავს, რომ მთელ რიგ წარმოებებში საწარმოო თათბირები გაცილებით უფრო ცოტას მუშაობენ, ვიდრე საწარმოო კომისიები. იმ გარემოებას, რომ საწარმოო თათბირების მაგიერობას სწევენ საწარ. კომ. შეუძლია დაამახინჯოს სოციალისტურ მშენებლობაში სულ ახალი და ახალი მუშათა ფენების ჩაბმის ამოცანა.

სემკოვი ფიქრობს, რომ საწარმოო კომისიებს ჯერ კიდევ არ გამოურკვევიათ თავისი სახე და ფუნქციები და ამიტომ ნაადრევია ახალი საორგანიზაციო ფორმების ძიება დროებითი საკონტროლო კომისიების სახით. მუშაობის ერთ-ერთ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მიუხედავად მთელი რიგი პარტიული დადგენილებებისა ძალად გამოქვეყნებულ წესდებისა, ფაბკომების ფრაქციები ან არ არსებობენ სინამდვილეში ან და მეტად სუსტად იჩენენ ინიციატივას.

დასასრულ ამხ. სემკოვს საჭიროდ მიაჩნია, რომ ამხანაგები გაიმსჭვალონ მეტი პასუხისმგებლობით პარტიულ დირექტივების შესრულების დროს სამეურნეო და პროფესიონალურ დარგებში. (ამხ. სემკოვის გამოსვლის შემდეგ პარტკონფერენციის დილის სხდომა იხურება).

ამხ. ლოზოვსკი

ამხ. ლოზოვსკი, რომელიც საღამოს სხდომაზე გამართულ კამათში გამოვიდა, განაცხადა, რომ როგორც მსოფლიო ეკონომიკის დარგში გვაქვს ამჟამად მნიშვნელოვანი ცვლილება და ჰეგემონიის ამერიკის ხელში გადასვლა, ისე პროფესიონალურ დარგშიაც ადგილი აქვს არსებით ცვლილებებს.

ამჟამად ჩვენ ვამჩნევთ ორ მოპირდაპირე მოვლენას: იზრდება საბჭოთა კავშირების გავლენა მსოფლიო პროფესიონალურ მოძრაობაზე და ამასთანავე ერთად იზრდება აგრეთვე ამ მოძრაობაზე ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პროფკავშირების გავლენაც, რომ მსოფლიო პროფმოძრაობის ამ ორ ტენდენციის შეჯახების მთელი სიმწვავე გავიგოთ. საჭიროა გავითვალისწინოთ ის ძირითადი განსხვავება, რომელიც საბჭოთა კავშირისა და ამერიკის პროფკავშირების შორის არსებობს. ამ განსხვავებას ადგილი აქვს არა მარტო იდეოლოგიურ, არამედ თეორეტიულ ხაზზეც.

თუ საბჭოთა პროფკავშირები აერთიანებენ ს. ბ. კავშირ. არსებულ მთელი პროლეტარიატის 90 პროც., შეერთებულ შტატებში კი ადგილი აქვს სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას—მუშების 90 პროც. პროფესიონალური ორგანიზაციების გარეშეა დარჩენილი.

ამერიკის პროფკავშირების დამახასიათებელ თვისებებს შეადგენს: რევოლიუციისადმი ზიზღი, კლასობრივი ბრძოლის სრული უარყოფა, კაპიტალის ინტერესებისადმი სრული დამორჩილება და ისეთი საწარმოთა მოწყობისაკენ ყურადღების მიპყრობა, როგორიცაა ბანკები, საზოგადოებები და სხვ.

უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ დროს ეს იდეოლოგია ევროპაშიაც თანდათან ვრცელდება. ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებშიაც პროფკავშირების ზედაფენები სულ უფრო და უფრო იმსჭვალებიან ამერიკის პროფკავშირების ანტირევოლიუციონური იდეოლოგიით და ცდილობენ ევროპის პროფმოძრაობის პრაქტიკაში შეიტანონ ამერიკის პროფესიონალური მოძრაობის მეთოდები. მაგრამ ცდას ერთგვარი დადებითი ელემენტები შეაქვს ევროპის კავშირების პროფმოძრაობაში, რომლებიც უწინარეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ პროფკავშირებში გაერთიანებული მასები სულ უფრო და უფრო შორდებიან თავისი ორგანიზაციების ზედაფენებს.

ამ პირობებში პროფინტერნის მუშაობა არაჩვეულებრივად რთულია და მისი ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოიპოვოს გავლენა მუშათა იმ მასებზე, რომლებიც შედიან პროფკავშირებში და გაანთავისუფლოს ეს მასები ამსტერდამის ინტერნაციონალის გავლენისაგან.

ამხ. ტეპლოვი

ამხ. ტეპლოვი კონფერენციის ყურადღებას იქცევს იმ გარემოებაზე, რომ ამ ბოლო დროს პროფესიონალური დისციპლინა თანდათან სუსტდება. ზოგიერთ ფაბრიკა - ქარხნებში ადგილი აქვს მუშაობის გაცდენის ძალიან დიდ პროცენტს, რომელიც ხშირად 15 პროც. აღწევს. მუშაობის გაცდენის ასეთი დიდი პროცენტი ჩვენ წარმოებას აძლევს არა მარტო საგრძნობ ზარალს, არამედ შეაქვს მასში დეზორგანიზაცია.

მეორე მტკივანი საკითხი შეეხება ახალი ადმინისტრატიული კადრის შექმნას ფაბრიკებში და ქარხნებში. ამ მხრით ჩვენ არა გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ადგილებზე. მართალია საწარმოო თათბირები აყენებენ ამ აუცილებელ ძირითად ადმინისტრატიულ კადრს, მაგრამ დისციპლინის უქონლობას მუშათა ზოგიერთ ჯგუფებში ხელს უშლის ამ პერსონალის სწორ მუშაობას.

ტეპლოვი წინააღმდეგია ტომსკის თეზისების იმ ადგილისა, რომელიც ფაბრიკა - ქარხნებში მუშათა საკონტროლო კომისიების დაარსებას მოითხოვს. თუ მივიღებთ მხედველობაში, ამბობს ამხ. ტეპლოვი, იმ გარემოებას, რომ ფაბრიკის დირექტორს ამჟამად კონტროლს უწევენ პროფესიონალური, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციები, მაშინ სრულიად გაუგებარი ხდება ამხ. ტომსკის წინადადება კონტროლის კიდევ დამატებითი ფორმის შექმნის შესახებ.

ძირითადი ამოცანა ამჟამად იმაში კი არ მდგომარეობს, რომ დამატებითი საკონტროლო ინსტანციები შეიქმნას, არამედ იმაში, რომ დირექტორს და ადმინისტრატიულ პერსონალს მიეცეს მუშაობისათვის საჭირო აუცილებელი პირობების მინიმუმი და დაეკისროს მათ პასუხისმგებლობის მაქსიმუმი იმ საქმისათვის, რომელსაც ისინი ასრულებენ.

ამხ. მელნიჩანსკი

ამხ. მელნიჩანსკი ფიქრობს, რომ უმთავრეს საკითხს, რომელიც ჩვენი პროფმოძრაობისა და კავშირების წინაშე სდგას, წარმოადგენს საკითხი წევრობის შესახებ. პროფკავშირების წევრების რიცხვის არაჩვეულებრივი ზრდა, რაც ინდუსტრიალური პროლეტარიატის კადრში გლეხურ და ნახევრად გლეხურ ელემენტების შესვლით არის გამოწვეული, გვაიძულებს დავსვათ ეს საკითხი მთელი მისი სიგრძე სიგანით.

მეორე საკითხი, რომელსაც ვერ აუვლის გვერდს ჩვენი პროფესიონალური მოძრაობა, არის საკითხი უმუშევრობის შესახებ.

საკმარისია დავასახელოთ 1 ივლისისათვის არსებული უმუშევართა ციფრი 1.150.000, რომ სავსებით დავაფასოთ მისი მნიშვნელობა, სავსებით შევიგნოთ ამ საკითხის სერიოზულობა. ჩვენი პროფმოძრაობის დღის წესრიგში უმუშევრობის საკითხის დასმა მით უფრო აუცილებელია, რომ უმუშევართა რიცხვში საკმაოდ ბევრია დიდი საწარმოო სტაჟის მქონე მუშათა კადრები.

მელნიჩანსკი აღნიშნავს, რომ „სამკუთხედი“ (დირექტორი, ფაბქარხკომის თავმჯდომარე და უჯრედის მდივანი) ამჟამად მოითხოვს ერთგვარ შესწორებას იმ მხრით, რომ ამ სამი პირის ურთიერთობაში შეტანილი იქნეს რაც შეიძლება მეტი გარკვეულობა.

ყოველდღიური პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ „სამკუთხედში“ უმთავრეს როლს თამაშობს დირექტორი. ეს იწვევს მთელ რიგ გაუგებრობებს, რომლებიც გვაქვს ადგილებზე და რომელთა თავიდან აცილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ჩვენ მოვახერხებთ ამ „სამკუთხედში“ არსებულ ურთიერთობათა შეცვლას. ეკამათება და ტეპლოვს, რომელიც აქცევდა ყურადღებას მუშაობის გაცდენის დიდ პროცენტს, მელნიჩანსკი ამბობს, რომ მას პირველად ესმის მუშაობის გაცდენის ისეთი დიდი პროცენტი, რომელიც ტეპლოვს მოჰყავდა. მელნიჩანსკის ეჭვი ეპარება ტეპლოვის მიერ დასახელებულ ციფრების სისწორეში, ვინაიდან პროფესიონალურმა კავშირებმა მუშაობის გაცდენის მხოლოდ ორსი - სამი პროცენტი იციან.

შემდეგ ამხ. მელნიჩანსკი შეეხო ფაბრიკა-ქარხნებში სპეციალური საკონტროლო კომისიების მოწყობას.

ამხ. ბელენკი

(ჩრდილოეთ კავკასია)

ამხ. ბელენკი აცხადებს, რომ ჩვენი პროფმოძრაობის ძირითად ნაკლს შეადგენს პროფკავშირების ორგანიზაციული სტრუქტურის შეუსაბამობა მუშათა მასების გაზრდილ თვითშეგნებასთან.

პროფკავშირების არსებული სტრუქტურა წარმოადგენს რამდენიმე სამხედრო კომუნიზმის ნაშთს, როცა ჩვენ პროფკავშირების მოწყობას საფუძვლად ვუდებდით, და სავსებით სამართლიანადაც, საწარმოო პრინციპს და ვახდენდით პროფესიონალური მუშაობის ნიველირებას, იმით, რომ ათეული პროფესიები დავრაზმეთ 23 პროფესიონალურ კავშირში. უნდა ითქვას, რომ სამხედრო კომუნიზმის შემდეგ ჩვენ მრეწველობას დიდი წარმატება ეჩინევა. ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა მუშათა კლასის თვითშეგნება, გაიზარდა სხვადასხვა პროფესიების ყოფა - ცხოვრების თავისებურებანი და ყოველივე ეს ჩვენ გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ პროფკავშირების ის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შეეფერებოდა სამხედრო კომუნიზმის ხანას, ამჟამად არ ეგუება პროფესიონალური მოძრაობის ინტერესებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირი, რომელიც აერთიანებს სულ სხვადასხვა პროფესიებს, რომლებსაც არსებითად არაფერი აქვს საერთო. რამდენად უნდა შეიცვალოს ჩვენი კავშირების ორგანიზაციული სტრუქტურა? პირველყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს სექციური მუშაობის სწორად მოწყობას, ვინაიდან არსებული სექციები არსებითად არიან არასექციური მუშაობის სექციები, არამედ ისეთი სექციები, რომლებიც იმიტომ არსებობენ, რომ ეს სექციური მუშაობა არ იყოს. გარდა ამისა, საჭიროა დავფიქრდეთ ზოგიერთი კავშირების დაყოფის საკითხზედაც. პროფკავშირების ორგანიზაციის სტრუქტურა უნდა შეიცვალოს ისე რომ საწარმოო პრინციპის ხელუხლებლად დატოვებით ის სავსებით შეეფერებოდეს საბჭოთა კავშირის ეკონომიკის არსებულ დონეს და პროფმოძრაობის არსებულ ინტერესებს.

ამხ. ჩაპლინი

ამხ. ჩაპლინი ამბობს: „მე-14 პარტყრილობამ ჩვენს წინაშე დააყენა მთელი რიგი ამოცანები მუშათა ახალგაზრდობის კლასობრივი აღზრდის საქმეში. მარტო კავშირში ამ ამოცანებს ვერ გადასჭრის. ახალგაზრდობის საწარმოო აღზრდისა და კულტურული დონის აწევას აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციონ პროფორგანიზაციებმაც. მუშაობის პრაქტიკა კი გვაჩვენებს, რომ პროფმუშაკები და პროფორგანოები ამ საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ამ ამოცანების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებათა შორის ამხ. ჩაპლინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს საფაბრიკო-საქარხნო სკოლის ხვედრითი წონის აწევას. მოზარდთა სამუშაო ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დღის გადიდების ყოველგვარ ცდებს სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ პროფორგანიზაციებმა.

ამხ. დოგადოვი

ამხ. დოგადოვი აღნიშნავს, რომ პროფკავშირებმა უკვე დაასრულეს ის შავი სამუშაო, რომელიც აუცილებელია პროფესიონალური მოძრაობის განვითარებისათვის.

დოგადოვი მხარს უჭერს საკონტროლო კომისიების შემოღების წინადადებას და ფიქრობს, რომ ისინი წარმოადგენენ იმ საწარმოო მუშაობის სისტემის დასრულებას, რომელსაც აწარმოებენ საწარმოო თათბირები და კომისიები.

უპასუხებს რა ჩაპლინს, დოგადოვი აღნიშნავს, რომ მთელი რიგი აღძრული საკითხები უკვე გადაჭრილია პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ და ამ საკითხების გარშემო არავითარი უთანხმოება არ არსებობს. რაც შეეხება კომკავშირის ეკონომიურ მუშაობას, უნდა ითქვას, რომ კომკავშირს ვიწროდ ესმის მუშათა ახალგაზრდობის ინტერესების დაცვა სამუშაო ხელფასის საკითხებში, იცავს რა უმთავრესად კომკავშირის წევრთა ინტერესებს. პროფკავშირები კი საქმეს სხვანაირად უყურებენ — ისინი იცავენ საერთოდ მუშათა ახალგაზრდობის ინტერესებს.

დასასრულ ამხ. დოგადოვი ამბობს, რომ კოლექტიური ხელშეკრულებების დადების საქმეს ამ უკანასკნელ დროს ართულებს ის გარემოება, რომ მეურნეობაში გეგმიანობის გაძლიერებასთან ერთად სამუშაო ხელფასის საკითხებიც მოქცეულია საერთო გეგმიანობის ორბიტაში. რამდენადმე ბუნებრივად ვიწროვდება ადგილობრივ პროფორგანიზაციების როლი.

ამხ. გინსბურგი

ამხ. გინსბურგი აღნიშნავს, რომ სამუშაო ხელფასის მოწესრიგება ხშირად სერიოზულ სიძნელეს წარმოადგენს. ზოგიერთ წარმოებებში ადგილი აქვს სხვადასხვა კატეგორიების სამუშაო ხელფასის განაკვეთებისა და ნორმების დიდ სიჭრელეს. აუცილებლად საჭიროა თავიდან ავიცილოთ ეს სირთულე და სიჭრელე.

საკონტროლო კომისიების შესახებ გინსბურგი აღნიშნავს, რომ თუ ისინი ჩაუნერგავენ რწმენას მუშებს, რომ მათი წინადადებები საწარმოო თათბირებზე გატარდება ცხოვრებაში, მაშინ საკონტროლო კომისიები უნდა შემოვიღოთ.

ამხ. მიხაილოვი

(ლენინგრადი)

ამხ. მიხაილოვი ამბობს, რომ ზოგიერთი პროფმუშაკი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კამათში, უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ სამეურნეო მუშაკების შეცდომებს. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ სამეურნეო მუშაკებსა და პროფმუშაკებს შორის ურთიერთობა არ არის სათანადოთ მოწესრიგებული. ამას აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთნიც და მეორენიც იმ ერთი და იმავე დისციპლინის მქონე კომუნისტური პარტიის წევრებია, რომელიც ერთნაირად იცავს მუშათა კლასის ინტერესებს.

მიხაილოვი წინააღმდეგია საკონტროლო კომისიების შექმნის, ვინაიდან წარმოებებში ისედაც ბევრი ორგანიზაციებია, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ მუშებს მიიღონ მონაწილეობა წარმოების მართვის კანტროლში.

ამხ. მატვეევი

უპასუხებს რა დოგადოვს, ამხ. მატვეევი აღნიშნავს, რომ თავის ყოველდღიურ მუშაობაში კომკავშირი იცავს არა მარტო თავისი წევრების ინტერესებს, არამედ მთელი მუშათა ახალგაზრდობის მასის ინტერესებსაც.

რაც შეეხება საფაბრიკო-საქარხნო სკოლის საკითხებს, მატვეევი ამბობს, რომ მის როლს და მნიშვნელობას ბევრი სათანადოთ ვერ აფასებს. უნდა გვახსოვდეს, რომ მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის გაფართოებასთან ერთად გადიდდება კვალიფიციური მუშა ხელის მოთხოვნილებაც. ამიტომ კვალიფიციური მუშათა კადრის მომზადების პრობლემა წინასწარ უნდა გადაიჭრას. საფაბრიკო - საქარხნო სკოლის როლი ამ საქმეში მეტად დიდია და ამიტომ საფაბრიკო - საქარხნო სკოლები უნდა გაფართოვდეს და გაძლიერდეს. ამ დებულებამ თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს თეზისებში, რომლებიც შეეხება პროფკავშირების ამოცანებს, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან იზრუნონ კვალიფიციური მუშების კადრის მომზადების შესახებ.

ეხება რა ფიზკულტურის საკითხებს, მატვეევი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ფიზკულტურაში მონაწილეობას იღებს მოზრდილი მუშების მხოლოდ 5 პროც.. საჭიროა დაისვას საკითხი ფიზკულტურის ახალი ორგანიზაციული ფორმების შესახებ და მაშინ ამ არანორმალურ მდგომარეობას ადგილი აღარ ექნება.

ამხ. რიაზანოვი

ამხ. რიაზანოვი ფიქრობს, რომ „სამკუთხედში“ არ არის საქმე თავის რიგზე. მთელი რიგი ფაქტები მოწმობს იმას, რომ ამ „სამკუთხედში“ ხშირად ჰეგემონია ეკუთვნის ქარხნის დირექტორს და მხოლოდ ამით აიხსნება, რომ ამ უკანასკნელ დროს დირექტორების მხრით ადგილი აქვს ისეთ მოქმედებას, რომელიც საზიანოა პროფმუშაობისათვის, რათა „სამკუთხედში“ კვლავ აღსდგეს წონასწორობა, ამხ. რიაზანოვის აზრით ამისათვის საჭიროა დაისვას საკითხი პროფესიონალური ორგანიზაციების ავტორიტეტის აწევის შესახებ. ეხება რა საკონტროლო კომისიების საკითხს, რიაზანოვი წინააღმდეგია ასეთი კომისიების შექმნის. ის ფიქრობს, რომ ის ამხანაგები, რომლებიც იცავენ საკონტროლო კომისიების მოწყობის აუცილებლობას, რამდენათმე უბრუნდებიან პროფესიონალური მუშაობის იმ მეთოდებს, რომლებსაც ჩვენ ვხმარობდით ოქტომბრის რევოლიუციის პირველ ხანებში და რომელიც ამჟამად არამც თუ ზედმეტია, არამედ საზიანოცაა. კონტროლის მოწყობა რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ამ საქმეში უნდა გამოვიყენოთ მუშათა და გლეხთა ინსპექცია. ამხ. რიაზანოვს სრულიად შემცდარად მიაჩნია იმ პროფმუშაკების შეხედულება, რომლებიც მოითხოვენ ახალი საკლუბო მუშაობის მოწყობას. რიაზანოვის აზრით გაცილებით უფრო მიზანშეწონილია სკოლების რიცხვის გადიდება და მუშათა სახლების გაძლიერება, ვინაიდან ამის საჭიროებას მუშათა კლასი გაცილებით უფრო მწვავედ გრძნობს, ვიდრე ახალი კლუბების საჭიროებას.

ამხ. არტიუხინა

ამხ. არტიუხინა სავსებით დროულად და სწორად სცნობს ყურადღების გაძლიერებას პროფკავშირის ორგანიზაციებისადმი იმ ნაკლთა აღმოსაფხვრელად, რომლებსაც ადგილი აქვს პროფკავშირის ყოველდღიურ მუშაობაში. თუ ამჟამად თავს იჩენს გაუგებრობა ფაბრიკებსა და ქარხნებში, ეს უმეტეს შემთხვევაში ეხება ყოველ დღიური მუშაობის წვრილმანს, კერძოდ ყოფა - ცხოვრების საკითხებს. პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ერთ მორიგ ამოცანათაგანად უნდა დაისახონ წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია თავის წევრებს შორის. მაგრამ მუშაობა პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა დაანაწილონ ისე, რომ არაინდუსტრიალურ კავშირებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა ჩაატარონ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ინდუსტრიალურ კავშირებში კი, სადაც კავშირის წევრები დიდი უმრავლესობით წერა - კითხვის მცოდნეა, უნდა დაისახონ ამ ცოდნის გაფართოვების ამოცანა. ამხ. არტიუხინა აქცევს ყურადღებას აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ჩვენი პროფესიონალური ორგანიზაციები ნაკლებ ინტერესს იჩენენ შრომის კვალიფიკაციის აწევის საკითხებისადმი. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ნაკლი იმ კავშირებში, რომლებშიაც გაერთიანებულია პროლეტარ - ქალთა მნიშვნელოვანი კადრები. ამასთან ერთად პროფესიონალურ ორგანიზაციები უნდა ებრძოდენ მომჭირნეობის პრინციპის დამახინჯებას სამეურნეო მუშაკების მიერ და დაიცვან არსებული ბაგები.

ამხ. მიხაილოვი

ამხ. მიხაილოვი შეჩერდა სამუშაო ხელფასის საკითხზე. იგი ხაზს უსვამს, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენ გვაქვს საცალო ფასების ზრდის ტენდენცია, რაც თავის მხრივ ნიშნავს რეალური სამუშაო ხელფასის შემცირების ტენდენციას, რომ რეალური სამუშაო ხელფასი შევინარჩუნოთ და შეიძლება გავადიდოთ კიდეც, ამისათვის აუცილებელია მთელი სიგრძე - სიგანით დაისვას საკითხი ფასების შემცირების შესახებ, მით უფრო, რომ ამის შესახებ ჩვენ გვაქვს პარტიისა და მთავრობის სწორი და ნათელი დირექტივა.

შემდეგ ამხ. მიხაილოვი ეხება საწარმოო მუშაობას და ამტკიცებს, რომ ჩვენ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს საწარმოო თათბირების მუშაობის ხაზით. უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვმართავთ საწარმოო კონფერენციებს, რომელნიც პროფკავშირების მიერ საწარმოო მუშაობაში მონაწილეობის მიღების ახალ ფორმას წარმოადგენს და უდიდეს როლს თამაშობს საწარმოო პირობების გაჯანსაღების საქმეში. სრულიად გაუგებარია ის შიში, რომელსაც იჩენენ სამეურნეო მუშაკები საკონტროლო კომისიების მიმართ, ვინაიდან ეს კომისიებიც იქნებიან ერთი ფორმათაგანი პროფესიონალურ კავშირების მონაწილეობისა საწარმოო მუშაობაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ ამ საკონტროლო კომისიებს ვსცნობთ, როგორც დროებით, საცდელ ზომად.

შემდეგ ამხ. მიხაილოვი შეეხო რა ჩვენი საფაბრიკო - საქარხნო სასწავლებლების ნაკლს, შეჩერდა კულტურულ განმანათლებელი მუშაობის საკითხებზე.

ჩვენ გვაქვს — ამბობს იგი — მუშათა კლასის კულტურული დონის თვალსაჩინო უდიდესი ზრდა. მეორეს მხრით ჩვენ გვაქვს საკმაო საშუალებანი იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მუშათა მასის მოთხოვნილებანი. ასეთ პირობებში სავსებით სწორია ახალი საკლუბო აღმშენებლობის ამოცანა. რასაკვირველია, მუშისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო კლუბს. არა ნაკლებ ესაჭიროება მუშებს საღამოს სკოლები, უნივერსიტეტები, ტეხნიკუმები და სხვა სამოსწავლო დაწესებულებანი, რომლებსაც მიზნად აქვთ მუშათა მასის კულტურული დონის აწევა, მათი თეორეტიული და ტეხნიკური ცოდნის ამაღლება.

პარტიის მხარის დაჭერითა და ხელმძღვანელობით პროფესიონალური ორგანიზაციები გადალახავენ ყველა დაბრკოლებებს და გადასწყვეტენ ყველა მის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ამხ. რადჩენკო

ამხ. რადჩენკო კონფერენციის ყურადღებას აქცევს იმაზე, რომ პროფესიონალურ მუშაკთა შორის, ისევე როგორც სამეურნეო მუშათა შორის არის არაჯანსაღი გადახრანი. ადგილებზე აქა - იქ გვხვდება სინდიკალისტური მიდრეკილებანი, აქა - იქ არის განწყობილებანი, რომელნიც ტრედიუნიონების იდეოლოგიას უახლოვდებიან. სამეურნეო მუშაკებს შორის ჩვენ ვხვდებით ისეთ ფაქტებს, რომ ისინი ჯეროვანად ვერ აფასებენ მუშათა კლასის შემოქმედებითი ძალებს. ყველა ეს გადახრანი საკმაო დაბრკოლებას წარმოადგენს პროფკავშირის მუშაობის ზრდისა და განმტკიცებისათვის. რადჩენკო ფიქრობს, რომ პროფესიონალური მუშაობის დღის წესრიგში ამჟამად უნდა დაისვას მასიური მუშაობის საკითხი, ვინაიდან სწორ ნიადაგზე დაყენებული მასიური მუშაობით შეიძლება პროფესიონალური ორგანიზაციების ავტორიტეტის ამაღლება. არსებულ პროფაქტივი, რომელიც მრავალრიცხოვანი გახდა. აუცილებელია გაძლიერდეს პარტიული ხელმძღვანელობით და განახლდეს ზოგიერთ მის ნაწილებში. პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა გააფართოვონ თავიანთი მუშაობა მუშათა საწარმოო აღზრდის დარგშიაც. ამ მუშაობის აუცილებლობა გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენ გვაქვს ასეთი მოვლენა: წარმოებას აწყდებიან ნახევრად გლეხური ელემენტები, რომელთაც არავითარი საწარმოო აღზრდა არ აქვთ. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ კიდევ ერთი გარემოება. ოპოზიციამ, განიცადა რა მარცხი პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში შეეცადა ეს ბრძოლა გადაეტანოს პროფკავშირებში, რომელნიც უნდა იყვენ მზად იმისათვის, რომ გადამჭრელი პასუხი გასცენ ოპოზიციას ამ ფრონტზედაც.

ამხ. ენდაკოვი

ამხ. ენდაკოვი (ბელორუსია) შეჩერდა პროფესიონალური მუშაობის დამახასიათებელ მომენტებზე და თავისებურობაზე საბჭოთა ბელორუსიაში. იგი აღნიშნავს პროფესიონალური მუშაობის დიდ მნიშვნელობას სოფლად. ამ მუშაობის სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ბელორუსიის მოჯამაგირენი, რომელთა შორისაც გვიხდება მუშაობა, მეტად დაბალ კულტურულ დონეზე სდგას. ამ სიძნელეს თან ერთვის პროფესიონალური უჯრედებისა და კავშირის ცალკე წევრების უორგანიზაციობა. მაგრამ მიუხედავად ამ სიძნელეთა, ბელორუსიაში 5-7 ათასი მოჯამაგირე არის შეკავშირებული კავშირის საშუალებით. მუშაობის თავისებურობა ბელორუსიაში არის აგრეთვე ის, რომ ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე გვხვდება ეროვნებათა მთელი რიგი, რომლებმაც მხოლოდ თავისი ენა იციან. მუშების უმრავლესობა ქალაქებში რუსულ ენაზე ლაპარაკობს, მაშინ როდესაც გლეხობამ თითქმის სრულიად არ იცის რუსული ენა. დაბოლოს, საბჭოთა ბელორუსია იმით განსხვავდება კავშირის სხვა ნაწილებისაგან, რომ სოფლებში მიწის ნაკლებობაა, რაიც თავის მხრივ მნიშვნელოვანი უმუშევრობის მიზეზია.

ამხ. უგაროვი

ამხ. უგაროვი (ლენინგრადი) თავის სიტყვაში ყურადღებას აქცევს ურთიერთობას სამეურნეო მუშაკებსა და პროფესიონალურ ორგანიზაციებს შორის.

ორატორი ფიქრობს, რომ სამეურნეო მუშაკები მთელ რიგ შემთხვევებში საკმაო ყურადღებით ვერ ეკიდებიან იმ ამოცანებს, რომელნიც სდგანან პროფესიონალურ კავშირების წინაშე. შეფასებათა დაკლება, მუშათა კონტინგენტების შემცირება, პროფკავშირებთან შეუთანხმებლად, ახალი მუშების მიღება შრომის ბირჟის გარეშე და სხვა ასეთი ფაქტები, რომლებსაც უკანასკნელ ხანებში ხშირად აქვთ ადგილი და რომელნიც გაუგებრობას იწვევენ პროფესიონალურ ორგანიზაციებსა და სამეურნეო მუშაკებს შორის. უგაროვი ფიქრობს, რომ თუ სამეურნეო მუშაკები ამ მხრივ გამოასწორებენ ხაზს, მაშინ ის ატმოსფერა, რომელშიაც ეხლა მუშაობენ პროფესიონალური ორგანიზაციები, საგრძნობლად გაჯანსაღდება.

უგაროვი იცავს საკონტროლო კომისიის არსებობას, მისი აზრით, მუშათა მასა იმდენად გაიზარდა საწარმოოს მხრივ, რომ სავსებით გასაგები და სავსებით კანონიერია მისწრაფება დაუახლოვდეს წარმოების მდგომარეობას და დაეხმაროს მას ნაკლთა აღმოსაფხვრელად. საკონტროლო კომისიები იქნებიან ის ორგანოები, რომლის მეოხებით მუშათა მასა შესძლებს განახორციელოს თავისი ამოცანა—რაც შეიძლება დაუახლოვდეს წარმოებას.

პროფესიონალური ორგანიზაციის ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის მაქსიმალური განვითარება, საკლუბო მუშაობისა, საღამოს სკოლების მოწყობისა და მუშათა კურსების დაარსების ხაზით ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ ის მოთხოვნილებანი, რომლებსაც მუშათა მასა გვიდგენს ჩვენ. კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა პირველ რიგში უნდა წამოვაყენოთ.

ამხ. ლეპსე

ამხ. ლეპსე (მელითონეთა ცეკა) ამბობს, რომ მართალი არ არის ზოგიერთი ამხანაგების მტკიცება, რომ თითქოს პროფკავშირებმა მხოლოდ მუშათა ინტერესები უნდა დაიცვან, სამეურნეო მუშაკებმა კი—მართონ წარმოება და არ დაუშვან ჩარევა პროფკავშირთა მხრივ. პროფკავშირებმა თავის მუშაობაში მუშათა მოთხოვნილებებს შორის უნდა გამონახონ ისეთები, რომელთა დაცვა შეუძლიათ პროფკავშირებს ამჟამინდელ პირობებში. ამასთანავე პროფკავშირებმა უნდა განუმარტონ მუშებს, თუ რამდენად შეეფერება ესა თუ ის მოთხოვნილებანი ჩვენს პირობებს. ამასთანავე სამეურნეო მუშაკები არ უნდა დაკმაყოფილდენ მხოლოდ მმართველობითი საკითხებით. ისინი უნდა დაინტერესდენ ასეთი საკითხებითაც: როგორ მუშაობენ მუშები, როგორია მათი ხელფასი, როგორია მათი შრომის დაცვის პირობები და სხვ.

წინადადება დროებითი საკონტროლო კომისიების მოწყობის შესახებ უნდა განხორციელდეს, როგორც ცდა რამოდენიმე წარმოებაში. განსაკუთრებით სასარგებლო იქნება ეს მსხვილ წარმოებებში, ვინაიდან საკონტროლო კომისიები საშუალებას მისცემს მუშებს, რომ გაეცნონ წარმოებას მთლიანად.

სამუშაო ხელფასის სისტემა უნდა გამარტივდეს. ეხლანდელი 17 განაკვეთიანი ქსელის და პრემიების ნაცვლად უნდა შეიქმნას მუშებისათვის გასაგები სამუშაო ხელფასის სისტემა. ეს გაადვილებს აგრეთვე მთანგარიშე აპარატის მუშაობას წარმოებებში.

ამხ. ლომინაძე

ამხ. ლომინაძე აღნიშნავს, რომ საკონტროლო კომისიებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. ეს კომისიები კონტროლის ახალი ფორმაა, ისეთი კონტროლისა, რომელიც ქვევიდან, მუშათა ფართო მასებიდან მოდის. მათი მოწყობა საშუალებას მოგვცემს გავაუქმოთ ყველაზე მეტი საკონტროლო ორგანოები და კონტროლის ფუნქცია დაუტოვოთ მხოლოდ მუშათა და გლეხთა ინსპექციას და საკონტროლო კომისიებს.

ამხ. ვეინბერგი

ამხ. ვეინბერგი აღნიშნავს, რომ ფართო მუშათა დემოკრატია არჩევნებში წარმატებით ჩატარდა. მორიგი ამოცანა არის საერთო სადელეგატო კრებების განმტკიცება, რომლებზედაც უნდა დაისვას ის საკითხები, რომელნიც ყველაზე მეტად აინტერესებს მუშებს. საწარმოო თათბირების მუშაობაში არის ნაკლი. აქ გამოვიდენ სამეურნეო მუშაკები და განაცხადეს, რომ ისინი საწარმოო თათბირების მომხრენი არიან. მაგრამ სამეურნეო თათბირის გადაწყვეტილებათა უმრავლესობა არ გატარდა ცხოვრებაში. შედეგი არის ის, რომ ეცემა იმ წინადადებათა რიცხვი, რომლებსაც მუშები აყენებენ. ეცემა აგრეთვე მუშა-გამომგონებელთა რიცხვიც.

საკონტროლო კომისიები საჭიროა, ვინაიდან ისინი საშუალებას მისცემენ მუშებს შეამოწმონ, თუ როგორ ატარებენ ცხოვრებაში სამეურნეო მუშაკები მათ წინადადებებს.

ამხ. ტომსკის საბოლოო სიტყვა

თავისი საბოლოო სიტყვის დასაწყისში ამხ. ტომსკი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პროფკავშირების საკითხმა, რომელსაც უაღრესად დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, კონფერენციაზე გაცხოველებული და საქმიანი კამათი გამოიწვია.

ეხება რა კამათის შინაარსს, ტომსკი აღნიშნავს, რომ მთელი რიგი მომენტებისა, რომელიც ამხანაგებმა წამოაყენეს, კიდევ საკმაოდ დამუშავებული არ არის და გადაჭრილი იქნება დამატებით. ასეთ საკითხებს წარმოადგენენ პროფკავშირების ორგანიზაციული პერსპექტივები, სამუშაო ხელფასის მოწესრიგების მეთოდები და სხვ.

ეხება რა სამუშაოს გაცდენის შემთხვევებს წარმოებებში, ტომსკი ლაპარაკობს, რომ მთელი რიგი ასეთი შემთხვევებისა გამოწვეულია მით, რომ ჩვენს სახელმწიფო აპარატს დეფექტები აქვს. მაგალითად, მუშა იძულებულია რამოდენიმე დღე მოანდომოს თავისი ბავშვის სკოლაში მოწყობას, ბინის მოძებნას და ყველა ამის შემდეგ ის საყვედურს ღებულობს, რომ დრო გააცდინა „არა საპატიო მიზეზების“ გამო. რაც შეეხება ბრძოლას შრომის დისციპლინის აღდგენისათვის, სამეურნეო მუშაკებს ამ ბრძოლაში პროფკავშირები ყოველთვის ფართოდ ეხმარებოდენ და დაეხმარებიან.

სამეურნეო დარგის მუშაკები კამათში აცხადებდენ, რომ არავინ არაფერს ლაპარაკობს პროფკავშირების შეცდომებზეო. ეს არ არის მართალი. პროფკავშირების ნაკლულოვანებათა შესახებ ბევრს ლაპარაკობენ და პირველყოვლისა ამაზე ჩვენ, პროფმუშაკები ვლაპარაკობთ. შემცდარი აზრია ისიც, თითქოს, პროფკავშირები არ ითვალისწინებენ მძიმე პირობებს, რომლებშიაც სამეურნეო მუშაკებს უხდებათ მუშაობა. ჩვენ არასოდეს არ გვავიწყდება სამეურნეო მუშაკის როლი და არც ვფიქრობთ მის დაჩრდილვას სამეურნეო მუშაკი, როგორც სახელმწიფოს თვალი, როგორც მუშათა კლასის ნოქარი, დაყენებულია გარკვეულ სამუშაოზე და ასრულებს უძნელეს ამოცანას. ამ მუშაობის სიძნელეს აღრმავებს ის რომ სამეურნეო მუშაკებს თავის მუშაობაში ჰყავთ თანაშემწეები, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ არიან გამსჭვალული პროლეტარული ფსიქოლოგიით—მათთან ერთად და მათი საშუალებით ხორციელდება ამოცანები, რომელნიც ჩვენმა პარტიამ დასვა სამეურნეო მუშაკების წინაშე. აქედან გამომდინარეობს სამეურნეო მუშაკების სახიფათო მდგომარეობა: ასეთ გარემოცვაში ყოფნისას, შესაძლოა გზას ასცდენ და ისეთი კილოთი ალაპარაკონ, რაც არ შეეფერება სამეურნეო დარგში მომუშავე კომუნისტს. მაგრამ თუ პროფმუშაკებს უხლიბათ მათი გამოსწორება ასეთ შემთხვევაში, სამეურნეო დარგის მუშაკები ამახინჯებენ პროფმუშაკების განზრახვებს და აცხადებენ, რომ მათ თავს ესხმიან. ეს არ არის მართალი: პროფკავშირებს სრულიადაც არ სურთ სამეურნეო მუშაკების ავტორიტეტის დაჩრდილვა.

ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა აგრეთვე საკონტროლო კომისიების საკითხის გარშემო გამართულ კამათში, ვინაიდან შემცდარად გაიგეს თვით საკითხის დაყენება. სამეურნეო მუშაკებმა ეს საკითხი მხოლოდ აპარატის საკითხად წარმოადგინეს და ამტკიცებენ, რომ ეწყობა კონტროლის ახალი აპარატი. ნამდვილად კი საქმე შეეხება არა ახალ საკონტროლო აპარატს, არამედ იმას, რომ მუშათა კლასმა, რომელიც მიდის სოციალიზმისაკენ და რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, უნდა აღზარდოს და უნდა გამოყოს თავისი წიაღიდან ათასობით, ათი ათასობით მუშები სახელმწიფო აპარატის დასაპყრობათ.

საწარმოო თათბირები წარმოადგენენ საუკეთესო ფორმას მუშების აღსაზრდელად და მათ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ჩასაბმელად. საკონტროლო კომისიები, რომელნიც მკვიდრ ნიადაგს უქმნიან მუშათა მასების ნდობას საწარმოო თათბირებისადმი, ხელს უწყობენ ლენინის ანდერძის განხორციელებას იმის შესახებ, რომ ათასობით, ათი ათასობით მუშებს უნდა ვასწავლოთ მეურნეობის მართვა.

შემდეგ ტომსკი უპასუხებს საკავშირო ახალგ. ლენინური კომკავშირის წარმომადგენლების სიტყვებს და აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა მუშების და ძველ მუშების სამუშაო ხელფასის ეხლანდელ და 1914 წლის დონის შეფარდება ვერ გამოდგება უტყუარ კრიტერიუმად. ახალგაზრდობის უაღრესად მაღალი ხელფასი 1914 წელს აიხსნება მუშა-ხელის დიდი მოთხოვნილებით, რომელიც გამოწვეული იყო კვალიფიციურ მუშების მობილიზაციით. თუ შევადარებთ ახალგაზრდა მუშების მდგომარეობას იმის წინანდელ ნორმალურ პირობებში და ეხლა ჩვენ დავინახავთ დიდ მიღწევებს, რომელნიც საფუძველს უსპობენ კომკავშირელთა საყვედურს.

ისინი შემცდარი არიან აგრეთვე იმ საკითხში, რომელიც შეეხება ახ. ლ. კომკავშირის წარმომადგენლობას პროფორგანიზაციებში. დღემდე წამოყენებული კომკავშირის წარმომადგენლობა სათანადოთ ვერ ართმევდენ თავს თავის მუშაობას.

— მე ვფიქრობ—ლაპარაკობს ამხ. ტომსკი თავის საბოლოო სიტყვის დასასრულს,—რომ კონფერენციამ ახალი, ცხოველმყოფელი ნაკადი შეიტანა ჩვენს მუშაობაში და იმას, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, ჩვენ შეთანხმებულად, ერთმანეთისათვის შეცდომების გამოსწორებით, ნელნელა და დაბეჯითებით განვახორციელებთ.

ამხ. ტომსკის უკანასკნელ სიტყვებს ფარავს ხანგრძლივი, მქუხარე ტაში.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა და პარტიის ამოცანები

ამხ. რიკოვის მოხსენების დასასრული *)

კერძო კაპიტალის საკითხი

იმ იერიშს გარდა, რომელსაც ოპოზიცია აწარმოებდა პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ სოფლად, იგი სცდილობდა, როგორც ვიცით, „პოლიტიკური კაპიტალი“ შეეძინა კერძო კაპიტალის საკითხში. უკანასკნელი დისკუსიის დროს ოპოზიციამ წამოაყენა პროგრამა, რომელიც „ასი პროცენტის სიცხადითა და სისწორით“ ჩამოაყალიბა ზინოვიევმა თავის გამოსვლაში „ავიაპრიბორის“ უჯრედის კრებაზე. აი, რა სთქვა მან იქ: „ნახევარი მილიარდით უნდა შემცირდეს გასავალი ბიუროკრატიზმის ხარჯზე. ნახევარი მილიარდი უნდა მრეწველობასა და სამუშაო ხელფასს შორის. აი, ორი სიტყვით ჩვენი სამეურნეო პროგრამა“.

მეორე სამეურნეო პროგრამა ვრცლად განავითარა ვიღაც მაიზლინმა („ბოლშევიკი“ № 18). მე მითხრეს, რომ ეს მაიზლინი ვ. სმირნოვისა და პიატაკოვის კარგი ნაცნობია. ამ მაიზლინმა კიდევ გამონახა ახალი მილიარდი საბითუმო ფასების 80%-ით აწევით ფართო მოხმარების საგნებზე. ამგვარად, ერთი მილიარდი გამონახა ზინოვიევმა, მეორე — მაიზლინმა. ორი მილიარდი — ცოტა არ არის ჩვენი ინდუსტრიისათვის (სიცილი).

ამ მაგალითიდან თქვენ ხედავთ, თუ როგორ გარემოებაში, როგორ უთანასწორო პირობებში მდგომარეობდა დისკუსია. ზინოვიევი მიდის უჯრედში და მაგიდაზე სდებს მილიარდს (სიცილი), მაიზლინს კი მეორე მილიარდი უჭირავს ხელში სალაროს გასამაგრებლად. ჩვენს მომხრეებს კი არ შეუძლიათ ასეთი აღმოჩენების მოხდენა. მაგრამ მიუხედავად ამ უთანასწორობისა, ამ ორ „მილიარდელს“ ტყავი გააძვრეს, სასტიკად დაამარცხეს პარტიის მორიგმა წევრებმა ყველა უჯრედებში. პარტიის მორიგი წევრები უფრო გათვითცნობიერებული აღმოჩნდენ ეკონომიურ საკითხებში, ვიდრე ოპოზიციის ბელადები (ტაში, სიცილი). მე სრულიად ანეკდოტიურად ვსცნობ ოპოზიციის მთელ არგუმენტაციას ამ მილიარდების სასარგებლოდ და არა მსურს დავამცირო კონფერენცია ამ წინადადებათა უსაფუძვლობის მტკიცებით (ტაში).

(მიქოიანი: არ საჭიროებს დამტკიცებას).

მაგრამ ვინაიდან ამ მილიარდების მიღება დაკავშირებულია კერძო კაპიტალის საკითხთან, ამიტომ მე მსურს რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ამ საკითხის შესახებ; ამასთანავე წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ არ არსებობს უდავო, საბოლოოდ გამორკვეული ციფრები კერძო კაპიტალის რაოდენობისა და მისი დაგროვების შესახებ.

ძერჟინსკიმ თავის დროზე გამოააშკარავა რომ პიატაკოვის გამოანგარიშებანი გადაჭარბებულია. მე სადავოდ მიმაჩნია ის ცნობები, რომელნიც მე მომაწოდეს სხვადასხვა უწყებებმა და ცალკე ამხანაგებმა კერძო კაპიტალის რაოდენობისა და, მისი დაგროვების შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, წლიური დაგროვების რაოდენობა დაახლოვებით ირყევა 100-დან 200 მილიარდამდე. კიდევ ვიმეორებ, რომ მე არა ვარ მტკიცედ დარწმუნებული იმაში, თუ რამდენად გამოხატავენ ეს ციფრები ნამდვილ მდგომარეობას. უდავოდ დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კერძო კაპიტალის როლი ჩვენს ეკონომიკაში უკანასკნელ წლებში თანდათან ეცემოდა. მე თქვენ ყურადღებას მივაქცევ შემდეგ ცნობებზე: 1923—24 წ. კერძო კაპიტალის ხვედრითი წონა საბითუმო ბრუნვაში უდრიდა 22%-ს. ამჟამად ეს პროცენტი შემცირდა 9-მდე. კერძო კაპიტალის როლი საცალო ვაჭრობაში 57%-დან 1923—24 წელში შემცირდა 39%-მდე 1925—26 წელში თქვენ ამ ციფრებიდან ხედავთ, თუ როგორ უთმობდა კერძო კაპიტალი ჩვენი მეურნეობის განსაზოგადოებრივებულ ელემენტებს პოზიციას პოზიციაზე ჩვენი ეკონომიკის იმ დარგში, რომელიც მისი მოქმედების უმთავრეს სარბიელს წარმოადგენს. წარმოებაში კერძო კაპიტალის როლი უმნიშვნელოა. კერძო კაპიტალის დაგროვების ერთი წყაროთაგანი იყო სპეკულიაცია ვალიუტით, შავი ბირჟა, რომელსაც ჩვენ ლიკვიდაცია მოუხდინეთ. კერძო კაპიტალის დაგროვება, თავის აბსოლიუტურ გამოხატულებაში ალბად იზრდება, მაგრამ უეჭველია, რომ ეცემა მისი შედარებითი მნიშვნელობა ჩვენი მეურნეობის განსაზოგადოებრივებულ ნაწილის გაცილებით მეტის სისწრაფით ზრდის გამო. დისკუსიის დროს 1923 წელში პრეობრაჟენსკი კერძო კაპიტალისტური სექტორის დაგროვებას განსაზღვრავდა 600 მილ. მან., ეხლა კი პიატაკოვი ამ დაგროვებას ანგარიშობს 400—500 მილ. მან. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციას ეშინია კერძო კაპიტალისა, მისი დაგროვების რაოდენობა ოპოზიციის ცნობებითაც ეცემა.

მაგრამ აუცილებელია დანახვა იმისა, რომ კერძო კაპიტალი ამჟამად უფრო აქტიური და დარაზმული გახდა, ვიდრე წინედ, უფრო შეეგუა თანამედროვე პირობებს და ამაგრებს თავის კავშირს სოფლის ზედაფენებთან, რომლის აქტიობაც აგრეთვე იზრდება. ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა ჩვენის მხრით, რომ ჩვენ არ დაგვენახა ის საფრთხე, რომელიც ამ მხრივ სდგება ჩვენს წინაშე.

ყველაზე უფრო დამახასიათებელი იმ ბრძოლაში, რომელიც ყოველთვის სწარმოებდა და ყოველთვის იწარმოებს კერძო კაპიტალთან, და რომელიც განვითარების ყოველი საფეხურის პირობების მიხედვით იცვლიდა თავის ფორმებს, უკანასკნელ ხანებში არის ის, რომ ჩვენ — სახელმწიფო და განსაზოგადოებრივებული მეურნეობა—ვაწარმოებთ შეტევას კერძო კაპიტალის წინააღმდეგ და არა იგი ჩვენს წინააღმდეგ.

კერძო კაპიტალთან ბრძოლაში ჩვენ მივაღწიეთ რეალურ შედეგებს საბითუმო ვაჭრობის დარგში. ჩვენ მნიშვნელოვნად წავიწიეთ წინ საცალო ვაჭრობის დაუფლების გზაზე. ჩვენ უკვე გვაქვს გამოცდილებით შემოწმებული მთელი რიგი საშუალებათა, რომლითაც ვაწესრიგებთ კერძო კაპიტალს. ამ ფორმებისა და მეთოდების ფარგლები, რომლითაც კერძო კაპიტალი უნდა მოწესრიგდეს იმგვარად, რომ იგი განდევნილ იქმნას იმ დარგებიდან, სადაც მისი მოქმედება ყველაზე ნაკლებ არის სასურველი, და მათი მიზიდვა ისეთი დარგებისაკენ, სადაც იგი შეიძლება იქმნას დაყენებული მეტი კონტროლის ქვეშ და სადაც მისი მოქმედება ამჟამად უფრო მიზანშეწონილია სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისით, — ეს ფარგლები შეიძლება გაფართოვდეს და უნდა გაფართოვდეს მნიშვნელოვნად.

ჩვენ წარმატებით გამოვიყენეთ ტრანსპორტზე კერძო გადაზიდვათა ეკონომიური მოწესრიგება. დადებითი შედეგები ზოგიერთ შემთხვევაში მოგვცა კერძო პირის მიერ პროდუქციის მიწოდებამ სახელმწიფო მრეწველობისათვის, მაშინ, როცა მტკიცე გარანტიით იყო განსაზღვრული ის პირობები, რომლის მიხედვით ხდებოდა პროდუქტების შესყიდვა. კანონმდებლობითი წესით მიღებულია ზომები კერ

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 249.

ძო კაპიტალის მოზიდვისათვის საბინაო აღმშენებლობის დარგში. პირველად ვაწესებთ სპეციალურ, რამდენადმე გადიდებულ ტარიფებს კერძო საქონლის გადაზიდვაზე, ამასთანავე, თუ ამ ცდამ დადებითი შედეგები მოგვცა, მაშინ აკრძალვითი ზომებს ზოგიერთ კერძო საქონლის გადაზიდვათა მიმართ, ჩვენ შევცვლით იმგვარად, რომ ამ კერძო საქონლის გადაზიდვის ტარიფებს გავადიდებთ.

თქვენ იცით აგრეთვე, რომ ჩვენ მთელი რიგი ცვლილებათა შევიტანეთ საგადასახადო კანონმდებლობაში იმ მიმართულებით, რომ გავადიდეთ მოსახლეობის არამშრომელი ფენების დაბეგვრა. ეს ჩვენ გავატარეთ შრომისა და თავდაცვის საბჭოს და ფინანსთა სახ. კომისარიატის შემადგენლობის შეცვლის შემდეგ. შემოსავლის კვალობაზე გადასახადის პროგრესიაც 1½-ჯერ არის გადიდებული ძველ კანონთან შედარებით.

აი, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს იმ კომისიის დასკვნა, რომელიც სპეციალურად მუშაობდა კერძო კაპიტალის საკითხებზე (ამასთანავე ვაცხადებ, რომ ეს აზრია კომისიისა, რომელიც ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებია სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს): შემოსავლის კვალობაზე გადასახადი გადიდებულია გადამხდელთა შემოსავლის 46%-მდე, გარდა იმ თანხისა, რომელიც ემატება ამ გადასახადს ადგილობრივ. რამდენადაც ძირითადი გადასახადის ადგილობრივ დამატებას ადგილები ადიდებენ 60%-მდე, შემოსავლის კვალობაზე გადასახადით დაბეგვრამ შეიძლება მიაღწიოს შემოსავლის 56—67%-ს. ზემოგების დაბეგვრამ ცალკე შემთხვევაში გადასახადის 60%-მდე და შემოსავლის 25.5% მდე, შეიძლება ცალკე შემთხვევებში 80%-მდე გაადიდოს შემოსავლის კვალობაზე დაბეგვრის რაოდენობა — მაგრამ შემოსავალთა გათანასწორების მეოხებით, მიუხედავად განაკვეთების მაღალი დონისა, შემოსავლის კვალობაზე გადასახადისაგან მიღებული შემოსავლის საშუალო პროცენტი იქნება სულ მხოლოდ 8,5%.

თუ ყველა ეს გამოანგარიშებანი დადასტურდა, მაშინ, ალბად გადასახადის გადამხდელთა ზოგიერთი ჯგუფების მიმართ მოგვიხდება ზომების მიღება არა დაბეგვრის პროგრესიის გადიდების, არამედ მისი შემცირების მხრივ.

უმთავრესი ნაკლი საგადასახადო პოლიტიკისა კერძო კაპიტალის მიმართ, დღემდე არის ის, რომ კერძო კაპიტალის შემოსავალთა მთელი რიგი რჩება აღრიცხვისა და დაბეგვრის გარეშე. პარტია დღემდე საკმაო ყურადღებას არ აქცევდა საგადასახადო აპარატის მუშაობას და არ უწევდა მას იმ დახმარებას, რომელიც აუცილებლად უნდა გაეწიოს მას, თუ ჩვენ გვსურს მივაღწიოთ უფრო გადამჭრელ შედეგებს კერძო კაპიტალის დაბეგვრის დარგში.

უმთავრესი საკითხი მდგომარეობს არ ჩვენი კანონების ნაკლში, არამედ მათ გამოყენებაში.

ჩვენი სამეურნეო, დამამზადებელი, სავაჭრო-სახალხო, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციების ზრდამ შესაძლო გახადა ის, რომ წარმატებით ფართო მასშტაბით ფართოდ იქნა გამოყენებული კერძო კაპიტალის მოქმედების მომწესრიგებელი ისეთი მეთოდები, რომელთა გამოყენება 3—4 წლის წინედ შეუძლებელი იყო.

ჩვენი უმთავრესი სისუსტე კერძო კაპიტალის მიმართ მდგომარეობს აღრიცხვისა და კონტროლის ნაკლში. ამიტომ აღრიცხვისა და კონტროლის საქმის გაუმჯობესება ჩვენი უმთავრესი უახლოესი პრაქტიკული ამოცანაა კერძო კაპიტალის საკითხში.

პურის დამზადების კამპანია

ჩემი მოხსენების გეგმაში შედიოდა დაწვრილებით დამახასიათებელი პურის ბალანსი, საქონლის ნაკლებობა, საგარეო ვაჭრობა, შრომისა და ხელფასის საკითხები. დროის უქონლობის გამო მე არ შემიძლია ვრცლად შევეხო ამ საკითხებს, ამიტომ დავკმაყოფილდები მოკლე შენიშვნებით.

ამ წლის მოსავალი რამდენადმე მეტია წარსული წლის მოსავალზე, დაახლოვებით 10%-ით. ეს გამომჟღავნდა ჩვენს საექსპორტო გეგმაში, რომელშიაც პურის ექსპორტი გაცილებით მეტს როლს თამაშობს, ვიდრე წარსულ წელში.

პურის დამზადების კამპანია ჩვენ უფრო უკეთეს პირობებში დავიწყეთ, ვიდრე შარშან. ჩვენ პურის ფასების უფრო ნაკლები დონე დავაწესეთ, ვიდრე შარშან იყო, მაგრამ საერთოდ და მთლიანად ეს ფასები აკმაყოფილებს გლეხობის ინტერესებს. საგრძნობლად გაუმჯობესდა თვით პურის დამამზადებელი აპარატი.

პურის დამზადების დაბრკოლებანი მიმდინარე წელში შეიძლება წარმოიშვას იმის გამო, რომ დიდი მოსავალი მივიღეთ ისეთ რაიონებში, როგორიცაა კაზაკისტანი, ბაშკირია, ორენბურგის რაიონი და სხ., რომლებშიაც პურის დამზადების პირობები მეტად ძნელია მიმოსვლის — გზების ნაკლები განვითარებისა, კოოპერაციისა და პურის დამამზადებელი აპარატის სისუსტის გამო.

საქონლის ნაკლებობა

თქვენს განსახილველად წარმოდგენილ თეზისებში აღნიშნულია, რომ საქონლის ნაკლებობას მიმდინარე წელშიაც ექნება ადგილი, მაგრამ არაა ნიშნები, რომ საქონლის კრიზისის გართულებას მოველოდეთ. დამახასიათებელი რამ საქონლის ბაზრისთვის მიმდინარე წელში არის ის, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილება წრეულს სამრეწველო საქონელზე შინაურ ბაზარზე სწარმოებს შინაური წარმოებით, მაშინ როდესაც შარშან 100 მილ. მან. ვალიუტა დაიხარჯა ჩითისა და სხვა ფართო მოხმარების საგნების საზღვარგარეთიდან შემოტანისათვის.

დამზადებული საქონლის შემოტანის მაგიერ ჩვენ გავადიდეთ ნედლეულის შემოზიდვა და მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენი მრეწველობის პროდუქციამ მოიმატა იმაზე უფრო, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

შემცირდა რაოდენობა იმ საქონლისა, რომელიც ჩვენ გვაკლდა, და ეხლა ეს რიცხვი განისაზღვრება მხოლოდ ბამბის ნაწარმოებით და ლითონის ნაწარმოების იმ ხარისხებით, რომლებსაც დიდი გასავალი აქვთ.

ეხლა ჩვენ გვაქვს პირობები იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ მდგომარეობა საქონლის ბაზარზე. ბამბის გასავალი თურქესტანში, უკანასკნელ თვეებში კარგი ამინდების გამო, რამდენადმე მეტია, ვიდრე შეიძლებოდა გვევარაუდნა. მეორეს მხრით, ბამბის ფასის დაცემა ამერიკის ბაზარზე საშუალებას მოგვცემს, რომ გავადიდოთ საზღვარგარეთის ბამბის იმპორტი.

ფასების პოლიტიკა

უმთავრესი გადამწყვეტი საკითხი საქონლის ბაზარზე არის ფასების შეფარდება. მე უკვე ვილაპარაკე, რომ სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასები წრეულს გაცილებით ნაკლებ დონეზეა შარშანდელთან შედარებით. მაისიდან დაწყებული სწრაფად ეცემა სასოფლო სამეურნეო საქონლის ფასების მრუდი. ამავე დროს, სამრეწველო საცალო ფასების ხაზი გვიჩვენებს ოდნავ შესამჩნევ შემცირებას — 1 მაისიდან 1 ოქტომბრამდე შემცირება მოხდა 2½%-ით, საბითუმო ფასები კი გვიჩვენებენ, თუმცა ოდნავ შესამჩნევ, მაგრამ მაინც გადიდებას. წარსულ წლებში მაისი — ოქტომბერი ფასების აწევის თვეები იყო. შარშან, მაგალითად, ამ დროის განმავლობაში საცალო სამრეწველო ფასები 6%-ზე მეტად გაიზარდა. ამგვარად, მეტად მნიშვნელოვანი მიღწევის ფაქტია ის, რომ სამრეწველო პროდუქციაზე მოთხოვნილების სეზონო გამწვავების თვეების განმავლობაში მივაღწიეთ გარდატეხას საშუალო სამრეწველო ფასების მოძრაობაში. მაგრამ საცალო ფასების დონე მეტად მაღალია წარსულ წელთან შედარებით. 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის, დაახლოვებით იგი 10%-ით მეტი იყო, 1925 წლის 1 ოქტომბერთან შედარებით. პირველი ბიძგი ფასების ზრდას, რომელიც შესამჩნევი იყო მთელი წარსული წლის განმავლობაში, მისცა შარშანდელი წლის დასაწყისისა და შარშანდელი წლის უკანასკნელი კვარტალის ემისიამ. ამ წლის კარგმა მოსავალმა მოგვცა შესაძლებლობა სასწრაფოდ გაგვეჯანსაღებინა სასოფლო-სამეურნეო საქონლის ბაზარი.

დიდ საფრთხეს წარმოადგენს ძალიან მაღალი საცალო ფასები სამრეწველო საქონელზე. ჩვენ არავითარ შემთხვევაში ვერ დავკმაყოფილდებით მიღწეული შედეგებით სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების დაკლების დარგში და მთელი ენერგიით უნდა განვაგრძოთ დაწყებული კამპანია მათი დაკლებისათვის. ერთობ დიდ განსხვავებას სასოფლო-სამეურნეო საქონლის და სამრეწველო ნაწარმოების ფასებს შორის შეუძლია გამოიწვიოს გლეხების სავსებით სამართლიანი უკმაყოფილება და აგრეთვე პურის ფასების მომატება. ამიტომ აუცილებელია პარტიის, კოოპერაციის და ყველა სამეურნეო ორგანოების უაღრესად ენერგიული ზომები სამრეწველო საქონელზე ფასების დასაკლებად.

ფასების პოლიტიკის შესახებ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ოპოზიციის შორის ძირითადი პრინციპიალური უთანხმოება არსებობს. როგორც უკვე ვსთქვით, მეორე მილიარდი, რომელიც ოპოზიციის სალაროში „მოიპოვება", ეს არის შედეგი ფასების მომატების, რომელსაც ის იცავს. ეს ფასების მომატების პოლიტიკა სავსებით ეწინააღმდეგება იმ პოლიტიკას, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა ატარებს. ოპოზიციის ამ პოლიტიკის საწინააღმდეგო არგუმენტები მოყვანილია იმ თეზისებში, რომელთაც თქვენ გაეცანით. ვიტყვი მხოლოდ, რომ უთანხმოება ფასების პოლიტიკის შესახებ წმინდა ეკონომიური ხასიათის უთანხმოებაზე უფრო შორს მიდის.

ამ უთანხმოებას ღრმა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. დაბალი ფასები, — ეს ისეთი ფასებია, რომელიც შეეფერება ღარიბ და ნაკლებ შეძლებულ მუშების და გლეხების ინტერესებს. მაღალი ფასები კი — ეს კულაკების, ნეპმანების და სოფლის შეძლებულ ფენების ფასებია. მაღალი ფასების პოლიტიკა, ეს არის კულაკისა და ნეპმანის კავშირის პოლიტიკა. დაბოლოს მაღალი ფასები მოასწავებენ მუშების და გლეხების კავშირის ჩაშლას.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რომელსაც ჩვენ უწევთ ფასების გადიდებას, მიუხედავად უდიდესი ზეგავლენისა, რომელსაც ვახდენთ ამ ფასებზე, ჩვენ ჯერ კიდევ საკმაო შედეგებს ვერ მივაღწიეთ იმის გამო, რომ ჩვენი ვაჭრობა ჯერ კიდევ ცუდადაა დაყენებული, სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ზედნადები ხარჯები ძალიან დიდია. რაღა იქნება მაშინ, რომ ოპოზიციის პლატფორმა მივიღოთ?

ამ საკითხში გასამართლებელი არაფერი აქვთ ოპოზიციის იმ წევრებს, რომელნიც თავის პლატფორმას ფასების დარგში დასძენენ ან დაუსრულებელ თავის გასამართლებელ შენიშვნებს, ან კიდევ მიუთითებენ იმაზე, რომ ოპოზიციის შიგნით ამ საკითხში ერთსულოვნება არ არის.

თუ განზე დავტოვებთ ყველა ამ ხალისუსიო შენიშვნებს, რომელნიც ოპოზიციის ესაჭიროება თავისი პოზიციის უფრო განსამტკიცებლად, ნათელი გახდება, რომ ოპოზიციის მაღალი ფასების პლატფორმას საფუძვლად უდევს შემდეგი ძირითადი წინაპირობა — მისი შეხედულება გლეხობაზე, როგორც თავისებურ კოლონიაზე და ფასებზე, როგორც გლეხთა მასების გადასახადით დაბეგვრის ერთგვარ სისტემაზე. საბოლოოდ ამ მაღალი ფასების პოლიტიკას უნდა მივეყვანეთ უდიდეს პოლიტიკურ დაბრკოლებებამდე.

საგარეო ვაჭრობა

ორიოდე სიტყვა საგარეო ვაჭრობაზე იმისთვის რომ, განსაკუთრებით ხაზი გაუსვათ აქტიურ სავაჭრო ბალანსის მიღწევის აუცილებლობას, რაც არ უნდა დაგვიჯდეს. საგარეო ვაჭრობის გეგმის პროექტი გულისხმობს, რომ წრეულს ბალანსში აქტიური სალდო უნდა აღემატებოდეს 100 მილ. მანეთს, ეს აუცილებლად მიღწეული უნდა იქნეს განსაკუთრებით იმიტომ, რომ გასული ორი წლის მანძილზე ჩვენ გვქონდა პასიური ბალანსი და ადგილი ჰქონდა სავალიუტო რესურსების საგრძნობ შემცირებას.

იმპორტის ხასიათი წრეულს არსებითად განსხვავდება გასული წლის იმპორტის ხასიათისაგან: 50 პროცენტზე მეტით გაიზარდა საქარხნო მოწყობილობის შემოზიდვა გასულ წელთან შედარებით. აგრეთვე საგრძნობლად იზრდება ნედლეულის შემოზიდვა, რაც საშუალებას მოგვცემს გავაფართოვოთ იმ მრეწველობის მუშაობა, რომლის პროდუქცია ფართო ბაზარზე გამოდის. იმპორტის გეგმის შესრულება სავსებით უნდა დაუკავშირდეს საექსპორტო გეგმის შესრულებას იმ ანგარიშით, რომ მთელი წლის მანძილზე უზრუნველყოფილ იქნეს სავალიუტო რეზერვთა თანდათანობით დაგროვება. მე საჭიროდ არ მიმაჩნია ვამტკიცო ამ კონფერენციაზე საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შეურყევლობა, რაც ხაზგასმულია თეზისებში.

იმის დასამტკიცებლად, რომ აუცილებელია ყოველმხრივი ბრძოლა მაღალ ზედნართ ხარჯებთან, რომელიც კვლავ ძალიან მაღალი რჩება, როგორც ეს თეზისებშია ნათქვამი, მე მოვიყვან შემდეგ ციფრებს, რომელიც მე ვაჭრობის სახალხო კომისარიატიდან მივიღე: ხორბლის დამამზადებელ სავაჭრო აპარატის შესანახი ხარჯები ომამდე 12—15 კაპ. შეადგენდა ფუთზე, ეხლა კი 48—50 კაპეიკს უდრის. ასეთსავე მაღალ ზედნართ ხარჯებს აქვს ადგილი ვაჭრობის ზოგიერთ სხვა დარგებშიაც.

შრომის საკითხები

კონფერენციის დღის წესრიგშია ტომსკის მოხსენება: „პროფესიონალურ კავშირების მუშაობის შედეგები და მორიგი ამოცანები", რომელშიაც დაწვრილებით იქნება გაშუქებული სამუშაო ხელფასის, უმუშევრის შრომის ნაყოფიერების, საწარმოო თათბირების მუშაობის და სხვ. საკითხები. სოციალისტური მშენებლობის თვითეულ მონაწილეს საუცხოვოდ ესმის, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ამ საკითხებს. მე მინდა აღვნიშნო მხოლოდ პარტიის მუშაობის უახლოეს ამოცანების ძირითადი მომენტები ამ დარგში.

პირველ ყოვლისა, საჭიროა გადაჭრით გაესვას ხაზი, რომ, თუმცა საწარმოო თათბირების მუშაობა უკანასკნელ დროს საგრძნობლად გამოცოცხლდა, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამ ორგანიზაციების უფრო მეტს მონაწილეობას სამეურნეო მშენებლობის საქმეში. ყოველი პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა მუშაკი უნდა განიმსჭვალოს იმის შეგნებით, რომ ინდუსტრიალიზაციის განხორციელება შესაძლოა წარმატებით მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამასთან ერთად ხდება მუშათა კლასის აქტივობის და დარაზმულობის ზრდა, მისი კულტურული დონის ამაღლება. სამეურნეო მშენებლობის საქმეში მუშათა ორგანიზაციების როლის გადიდებასთან ერთად, ურომლისოდაც თვით ინდუსტრიალიზაციის იდეა აუცილებლად ბიუროკრატიული შინაარსით აღივსება, აღმოფხვრილი უნდა იქნეს მუშათა კლასის საარსებო ინტერესების ხარჯზე მომჭირნეობის რეჟიმის გატარების ყველა ცდები. პარტიამ უნდა აწარმოოს ისეთი პოლიტიკა, — რომ მთელი მეურნეობის ზრდასთან შეფარდებით შეურყევლად უმჯობესდებოდეს მდგომარეობა მუშათა კლასის, განსაკუთრებით, მის იმ ფენების, რომელნიც ყველაზე ნაკლებ ხელფასს იღებენ.

უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა დისციპლინის შესუსტების და დროს გაცდენის შემთხვევებს წარმოებებში. მუშათა ორგანიზაციების და პარტიის ძალებით ეს მოვლენები აღმოფხვრილი უნდა იქნენ.

მუშების სოციალური დაზღვევის საქმის გაუმჯობესებასთან ერთად, პარტიამ უნდა მიაღწიოს უფრო გადამჭრელ წარმატებებს მუშების საბინაო პირობების გაუმჯობესების საქმეშიაც, ვინაიდან ამჟამად სამეურნეო განვითარება, მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება და მუშათა კლასის კულტურული ზრდა დიდათაა დამოკიდებული მისი საბინაო პირობების გაუმჯობესებაზე.

ამავე დროს პარტიამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს უმუშევრობასთან ბრძოლის ზომებს. უმუშევრობა ჩვენს პირობებში უმთავრესად სულ სხვა მიზეზებით არის გამოწვეული, ვინემ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მას ვამჩნევთ წარმოებაში მომუშავე მუშაობის, რიცხვის ზრდის დროს, მას მეტ წილად კავშირი აქვს სოფლად მუშა ხელის სიჭარბესთან და ის ხანგრძლივი ხასიათის მატარებელი იქნება. უმუშევრობის აღმოფხვრისაკენ მიმართული ზომები უნდა ტარდებოდეს არა მარტო ინდუსტრიის განვითარების და საზოგადოებრივ სამუშაოების მოწყობის ხაზით, არამედ აგრეთვე მთელი რიგ ღონისძიებათა ხაზით სოფლად. იმ ზომებმა, რომელნიც მიღებული იქნენ, მაგალითად, ცენტრალურ-სამიწათმოქმ. ოლქისა და მოუსავლობით დაზარალებულ რაიონებისადმი, უკვე მოგვცეს საგრძნობი შედეგები. წრეულს აუცილებლად უნდა შევქმნათ პირობები გადასახლების საქმის გასაუმჯობესებლად, უნდა გავითვალისწინოთ ბიუჯეტში გადასახლების საქმისათვის ასიგნობების გადიდება შარშანდელთან შედარებით.

ოპოზიციის „პარაჟენცული" პლატფორმა

თეზისებში, რომელიც წარმოდგენილ იქნა კონფერენციაზე განსახილველად, ოპოზიციის პლატფორმას ეწოდება „პარაჟენცული". ამ ტერმინმა, როცა პოლიტბიუროს სხდომაზე ირჩეოდა ეს თეზისები, განსაკუთრებული მკაცრი წინააღმდეგობა გამოიწვია ოპოზიციის მხრივ. რადგან, ეჭვს გარეშეა, ოპოზიციის მომხრეები კონფერენციაზედაც შეეცდებიან ამ ტერმინის უსაფუძვლობის დამტკიცებას, მე რამოდენიმე სიტყვა მინდა ვსთქვა მის დასაცავად.

რევოლუციის ძალებისადმი, მუშათა კლასის ძლიერებისადმი იმედის უქონლობა აიძულებს ოპოზიციას განუწყვეტლივ ილაპარაკოს პროლეტარული დიქტატურის მომავალ შესაძლებელ დამარცხებაზე. მოვაგონებთ ტროცკის წერილს პოლიტბიუროში 1923 წ. 8 ოქტომბრის თარიღით და 46-ის დოკუმენტს, რომელიც იმავე დროს ეკუთვნის. ტროცკი მაშინ სწერდა, რომ „შესაძლოა პარტია მოულოდნელად წააწყდეს განსაკუთრებულ მწვავე კრიზისს და ამ შემთხვევაში პარტიას უფლება ექნება თვითეულს, ვინც ხედავდა საფრთხეს, მაგრამ მას აშკარად თავის სახელს არ არქმევდა, ბრალი დასდოს იმაში, რომ ის ფორმას შინაარსზე მაღლა აყენებდა". რომელ კრიზისზე იყო ლაპარაკი ტროცკის დოკუმენტში? 46-ის დოკუმენტში ეს კრიზისი ასეა დახასიათებული: „თუ დაუყოვნებლივ არ იქნა მიღებული ფართო, მოფიქრებული, გეგმაშეწონილი, ენერგიული ზომები, თუ კვლავ გაგრძელდა ხელმძღვანელობის უქონლობა, რასაც ეხლა აქვს ადგილი, ჩვენ ვდგევართ არაჩვეულებრივ მწვავე სამეურნეო გართულების შესაძლებლობის წინაშე, რომელსაც აუცილებელი კავშირი ექნება შიგაგან პოლიტიკურ გართულებებთან და ჩვენი საგარეო აქტივობის და უნარიანობის სრულ დაცემასთან. ხოლო ეს აქტივობა, როგორც ყველასათვის აშკარაა, ჩვენთვის ეხლა უფრო აუცილებელია, ვინემ ოდესმე იყო, ვინაიდან მასზედ დამოკიდებული მსოფლიო რევოლუციის და ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ბედი. განვაგრძოთ: „სამეურნეო კრიზისი საბჭოთა რუსეთში და ფრაქციონული დიქტატურის კრიზისი პარტიაში დიდ ზიანს მიაყენებს მუშათა დიქტატურას და მუშათა პარტიას, თუ ახლო მომავალში არსებული მდგომარეობა რადიკალურად არ შეიცვლება. თუ პროლეტარიატის დიქტატურას და მის [illegible], რუსეთის კომპარტიას, ასეთი ტვირთი დააწვა, ისინი მოახლოებულ მსოფლიო ქარიშხლის ზოლში ისე შევლენ, რომ ყოველ წუთში მარცხს უნდა ელოდდნენ". ასე სწერდა და ასე სცდებოდა ოპოზიცია 1923 წელს.

ასეთი რწმენის უქონლობა რევოლუციის ძალებისადმი გამოსჭვივის ახალი გაერთიანებული ოპოზიციის გამოსვლებში. მე წაგიკითხავთ რამდენიმე ციტატას ტროცკისა და კამენევის შესწორებებიდან აპრილის პლენუმის რეზოლუციისადმი. ტროცკი სწერს: „როგორც ფაქტიური მასალებიდან სჩანს ჩვენი მრეწველობა 1926 წლის მოსავალს საქონლის მოუმარაგებლად შეხვდება, რამაც შეიძლება ახლანდელი სიძნელეების გართულებული სახით აღდგენა გამოიწვიოს . ასეთ პირობებში კარგი მოსავალი ე. ი. პოტენციალურად გაზრდილი რიცხვი სასოფლო მეურნეობის საქონლის ერთეულებისა შეიძლება ისეთ ფაქტორად გადაიქცეს, რომელიც კი არ აჩქარებს სამეურნეო განვითარების ტემპს სოციალიზმისაკენ, არამედ, პირიქით, ეკონომიკის დეზორგანიზაციას ახდენს და ამწვავებს სოფლისა და ქალაქის ურთიერთობას, ხოლო თვით ქალაქში მომხმარებლისა და სახელმწიფოს დამოკიდებულებას აუარესებს". იმავე „ახლანდელი სიძნელეების გართულებული სახით აღდგენას" და შემოდგომის კრიზისის წინასწარმეტყველებას ვხვდებით კამენევის მიერ აპრილის რეზოლუციაში შეტანილ შესწორებებში. ის ამბობდა: „იმ სამეურნეო პერიოდს, რომელშიაც ეხლა შევდივართ, შეუძლია, თუ კარგი მოსავალი იქნა. მეურნეობის საერთო ზრდასთან ერთად გაამწვავოს კიდეც აღნიშნული სიძნელეები". ჩვენ მაშინ აპრილის პლენუმზე ვამბობდით, რომ ამ ამხანაგებს ვერაფრით ვასიამოვნებთ:—მოსავლიანობა ცუდია, მოსავალი კიდევ უარესია. მოუსავლიანობის დროს კრიზისი იქნება, მოსავლის დროსაც კრიზისი. განა ეს პანიკიორობა არ არის, განა ეს ურწმუნოება არ არის? არა მარტო ყოველ მცირედ დაბრკოლებას, არამედ ისეთ დადებით ფაქტებს, როგორიცაა კარგი მოსავალი, ოპოზიცია შიშით და საერთო კრიზისის აუცილებლობის მოლოდინით უდგება.

სულ ერთია ცუდი რამ ხდება ჩვენს მეურნეობაში თუ კარგი, ისინი მაინც მხოლოდ დამარცხებაზე ლაპარაკობენ. დამარცხებით გვაშინებდნენ ისინი 1923 წელს, დამარცხებით გვაშინებენ 1926 წელსაც. ყველა ამ გამოსვლებში წითელი ზოლივით გადის რწმენის უქონლობა მუშათა კლასის ძალისა, პარტიისა და რევოლუციის ძალებისადმი, ოპოზიციის იდეოლოგია „პორაჟენცულია" კიდევ იმ მხრივ, რომ თუ პარტიას თავისი მოქმედების საფუძვლად მისი პოლიტიკური პლატფორმა, მისი ფასების პოლიტიკა, მისი გლეხობისადმი დამოკიდებულება, მისი ორმილიარდიანი პროგრამა მიეღო, რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამარცხება მართლაც სავსებით უზრუნველყოფილი იქნებოდა.

რასაკვირველია, ახლანდელ „პორაჟენცობასა" და იმპერიალისტურ ომის დროინდელ „პორაჟენცობას" შორის უდიდესი განსხვავებაა. იმ დროს პორაჟენცები შეგნებულად მისწრაფოდნენ მეფის ჯარების დამარცხებისაკენ იმპერიალისტურ ომში და მემამულეთა და კაპიტალისტთა რეჟიმის დამხობისაკენ. რასაკვირველია, უდიერობა იქნებოდა, რომ ოპოზიციისათვის დაგვეწამებინა, ის შეგნებულად მისწრაფვის პროლეტარიატის დიქტატურის დამხობისაკენ საბჭოთა კავშირშიო. მაგრამ მისი რწმენის უქონლობა რევოლუციისა და მუშათა კლასის შემოქმედებითი ძალებისადმი, წინდაუხედავად, მის პლატფორმას „პორაჟენცულად" აქცევს. ნუთუ ტროცკის არ ესმის, რომ ძალიან კარგი რამ იყო „პორაჟენცობა" იმპერიალისტური ომის დროს, როცა სამეფო რუსეთი მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო ჟლეტაში: ეს მაშინ ნამდვილ რევოლუციონერობის, ბოლშევიკობის, კომუნისტობის ნიშანი იყო. სულ სხვა რამაა პორაჟენცობა იმ პერიოდში, როცა პროლეტარიატის დიქტატურის ძლევამოსილი ბრძოლა სწარმოებს სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციისათვის.

ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 1 ნოემბერი. მთელ რიგ შეკითხვებსა და ორატორების გამოსვლებში წამოყენებული იყო წინადადებები, ამ წინადადებებს ჩემი შეხედულებით, შეუძლიათ გააუმჯობესონ თეზისების პროექტი, რომელიც წარმოდგენილი იყო თქვენდა საყურადღებოთ. ამიტომ—ჩემის ფიქრით კონფერენციამ უნდა აირჩიოს კომისია წარმოდგენილი შესწორებებისა და დამატებების წინასწარ განსახილველად და რეზოლუციის საბოლოო პროექტის შესამუშავებლად.

ზოგიერთ წერილობით შეკითხვაში აღნიშნულია, რომ არ არის სწორი ჩვენი კავშირის სამეურნეო აღდგენის ტემპის შედარება დასავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარების ტემპთან. აქ, როგორც სჩანს, რაღაც გაუგებრობაა. მე მოვიყვანე კაპიტალისტური ქვეყნების ზრდის მაგალითები ომის წინა პერიოდისათვის, როცა კაპიტალიზმი აყვავებული იყო, იმიტომ რომ მინდოდა საზომი მიმეღო ჩვენი შემდგომი ზრდის ტემპის შესაფასებლად. მე ვამტკიცებდი, რომ შემდეგში არ უნდა მოველოდეთ ისეთ ზრდას, ისეთივე მასშტაბით წინსვლას, როგორიც ჩვენ გვქონდა უკანასკნელი წლების განმავლობაში, როცა მრეწველობა თავის პროდუქციას ადიდებდა 60 და 40 პროც. ყოველ წლიურად. ასეთი ტემპი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სამეურნეო განვითარების ნორმად ან საზომად მივიღოთ ახალი აღმშენებლობის პერიოდში. ამიტომ მე მომყავდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის გამოცდილების მაგალითები მათი განვითარების პერიოდში, როცა ისინი უდიდესი წარმატებით აფართოვებდენ თავიანთ ძირითად კაპიტალს. სხვა წერილობით შეკითხვებში მე მთხოვენ მოვიყვანო მეურნეობის აღდგენის ტემპის შედარებითი მასალები უკანასკნელი დროისათვის ჩვენში და საზღვარგარეთ. დასავლეთ ევროპის ქვეყნების აღდგენის დახასიათება საკმაოდ მოცემული იყო ამხ. ბუხარინის მოხსენებაში. აქედან თქვენ შეგეძლოთ დაგენახათ, რომ ამერიკას გარდა არ არის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ქვეყანა, რომელსაც გადაელახოს ომის წინა დროის დონე. ის ქვეყნები, რომლებიც უფრო კარგ პირობებში იყვნენ, ან უახლოვდებიან ომის წინა ხანის დონეს, ან მხოლოდ მრეწველობის ზოგიერთ დარგებში გადააჭარბეს მას. მაგრამ აღდგენითი პროცესის ტემპის შედარების დროს ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნები უფრო ნაკლებად დაზარალდენ იმპერიალისტური ომისაგან და მათ არც სამოქალაქო ომი განუცდიათ.

ჩვენს მეურნეობაში აღდგენითი პროცესი დაიწყო სულ 4—5 წლის წინეთ, რადგან სამოქალაქო ომის წლები—დენიკინთან და კოლჩაკთან ბრძოლის პერიოდი არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება ჩვენი მეურნეობის აღდგენის პერიოდად—პირიქით—ეს იყო უდიდესი ნგრევის პერიოდი. თუ ყველაფერს ამას გავითვალისწინებთ, აუცილებლად უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ აღდგენითი ტემპით ჩვენ წინ გაუსწრეთ დასავ. ევროპის ქვეყნებს. კამათის დროს სავსებით მოწონებულ იქნა მოხსენების თეზისების ის ნაწილი, რომელიც ლაპარაკობს მეურნეობის მმართველობის, მთელი აპარატის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ამხანაგებმა ადგილებიდან კერძო საუბარში მითხრეს, რომ მათ შეეძლოთ მოეყვანათ უამრავი მაგალითი ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურებისა და უნაყოფო წყლის ნაყვის შესახებ, ეს მაგალითები სრულიად საკმაო საფუძველს წარმოადგენს იმ დირექტივისათვის, რაც მოყვანილია თეზისებში. მმართველობის სისტემის მოწესრიგება, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა და ახალ ამოცანებთან შეგუება ჩვენი აღმშენებლობის ერთ ძირითად პრობლემას შეადგენს. იგივე ითქმის დაგეგმვის სისტემაზე. მე სრულიად სწორად მიმაჩნია ამხანაგების განცხადება, რომ შემდეგში შეუძლებელია დაგეგმვის მუშაობის წარმოება ისეთი სისტემით, რომლის დროს საკავშირო სამეურნეო სახკომების ორგანოები იხილავენ არა მარტო გეგმებს და დირექტივებს, რაიც მათ მოვალეობას შეადგენს, არამედ იმუშავებენ სხვადასხვა დეტალებს და ზედმიწევნით ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებასაც ასრულებენ. ასეთი გეგმიანი მუშაობის დროს ჩვენ აუცილებლად დავწვრილმანდებით და მხედველობიდან გაუშვებთ მთავარ მომენტებს. საჭიროა მივაღწიოთ რაიონების მიხედვით გეგმების შედგენას. სახელმწიფო საგეგმო კომისია მხოლოდ ეხლა იწყებს გეგმების შედგენას სამრეწველო ხაზისა, რაიონებისა და ოლქების მიხედვით. ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ ის ეკონომიური გეოგრაფია, სამრეწველო ცენტრებისა და სამრეწველო რაიონების განაწილება, რომელიც დღემდე გვქონდა—ბატონყმობისა, მეფის დროისა და ხშირად აზნაურებისა და მემამულეების ინტერესების შედეგი იყო.

ჩვენი მატყლის მრეწველობა თავმოყრილია სიმბირსკის გუბერნიაში. სიმბირსკის გუბერნიაში არ მოიძებნება არც სათბობი მასალა და არც ნედლეული მასალა, ამ მრეწველობის განვითარებისათვის, მაგრამ თუ შევისწავლით სიმბირსკის გუბერნიის აზნაურთა ისტორიას, მათ კავშირს საინტენდანტოებთან და ჯარისათვის საჭირო საგნების მიწოდების საქმესთან—მაშინ შეგვიძლია გამოვარკვიოთ, თუ რატომ გადაიქცა ეს გუბერნია მატყლის მრეწველობის რაიონად. ხელოვნური ხლართების მოსპობამ, რომელიც კაპიტალიზმმა, აზნაურობამ და თვითმპყრობელობამ დაადგა ჩვენი კავშირის მეურნეობის განვითარებას, უნდა გამოიწვიოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური გეოგრაფიის შეცვლა, ახალი რაიონებისა და ახალი სამრეწველო ცენტრების შექმნა. ინდუსტრიალიზაციის პროცესმა უნდა გამოიწვიოს თვითეული რაიონის ბუნებრივი სიმდიდრის უდიდესი გამოყენება. რაიონებათ დაყოფის მუშაობამ უნდა გამოააშკარაოს თვითეული რაიონის ნაწარმოების სახე. სამეურნეო აღმშენებლობისა და საგეგმო მუშაობის ამ ნაწილში ჩვენ მხოლოდ ეხლა ვიწყებთ წინ სვლას. დღემდე სათანადო სისწორით გამორკვეული არ არის თვითეული რაიონის სამეურნეო განვითარების უახლოესი პერსპექტივები და მთელი კავშირის გეგმების განხორციელებას თვითეულ წარმოებაში ხშირად მივყევართ იქამდე, რომ ეს გეგმები საკმაოდ დაკავშირებული არ არის მეურნეობის განვითარების საერთო მდგომარეობასა და პერსპექტივებთან ცალ-ცალკე რაიონებში.

ადგილების წარმომადგენლებმა თავის გამოსვლების დროს წამოაყენეს უდიდესი მოთხოვნილებანი კაპიტალური აღმშენებლობის დარგში. უკრაინა მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს უდიდესი ჰიდრო-სადგურის აგება დნეპრზე; ხამისოდ მან საშვალების შეგროვებაც კი დაიწყო მოსახლეობას შორის. ლენინგრადი მოითხოვს „სვირსტროის", ხოლო ვოლგის სანაპირო რაიონი რაიონი მოითხოვს ვოლგა-დონის არხის აგებას. წარმოებისა და სასოფლო მეურნეობის ინტერესები მოითხოვს სარკინისგზო ხაზების დაჩქარებით გაყვანას იმ რაიონში, რომელიც შეაერთებდა შუა აზიის ბამბის რაიონს სიმბირსკის პურის რაიონთან. სათბობი მასალის მიწოდების ინტერესი აუცილებელს ხდის, რომ გაკეთებულ იქნეს ახალი მაგისტრალი, რომელიც შეაერთებდა დონის სანახშირო რაიონს სამრეწველო ცენტრთან; მაგრამ ამ სამუშაოების მიზანშეწონილობა მე დამტკიცებულად მიმაჩნია. მე ვფიქრობ, რომ კონფერენციას ჯერ კიდევ არ შეუძლია გადაჭრას, თუ რომელ სამუშაოს მისცეს უპირატესობა, არ შეუძლია გადასჭრას ან განსაზღვროს ამა თუ იმ სამუშაოს დაწყების ვადა. სახსარი საკმაოთ გვქონოდა უმჯობესი ვადა. რომ სახსარი საკმაოთ გვქონოდა უმჯობესი იქნებოდა დაგვეწყო ორი დიდი სამუშაო, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ხამისოდ წრეულს ვერ შევსძლებთ საკმაო სახსრის გამოძებნას. ის აკითხი, თუ ამ სამუშაოებიდან რომელი უნდა დავიწყოთ უფრო ადრე, შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო საგეგმო კომისია თავის დასკვნას მოგვცემს. ჩემი შეხედულებით მორიგ სამუშაოდ უნდა ჩაითვალოს რკინის გზის გაყვანა თურქესტან-სიმბირსკს შორის, დნეპრსტროის აგება და კაპიტალური სამუშაოების სანავთო რაიონში. მე საჭიროდ მიმაჩნია კონფერენციის ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ რაიონში შენიშნულია თავისებური „კუთხური" განწყობა. ეს განწყობა იმაში მდგომარეობს, რომ ცალკე რაიონებს ინდუსტრიალიზაცია ესმის როგორც ისეთი სამეურნეო სისტემა, რომლის დროს თვითეული რაიონი უნდა გახდეს თვითკმარ დამოუკიდებელ რაიონად, ე. ი. მას თავისათვის ექნეს საფეიქრო ფაბრიკა, ტყავის ქარხანა, ლითონის ქარხანაც და რაიონის ყოველგვარი მოთხოვნილება თავისი საშუალებებით დაკმაყოფილოს; ან კიდევ მთელი ნედლეული მასალა იმ რაიონში გადამუშავდეს, სადაც ის მოიპოვება, მე არ ვფიქრობ, რომ ეს ტენდენცია სწორი იყოს. არ შეიძლება მთელი ნედლეულის გადამუშავება ადგილობრივ, იმიტომ რომ ჩვენი კურსი მიმართულია მსხვილი ინდუსტრიისაკენ. მსხვილი ინდუსტრიის მოწყობა კი მოითხოვს, რომ რამდენიმე რაიონის ნედლეული გადამუშავდეს რიცხვით მცირე მსხვილ წარმოებებში, რომელთა მოწყობის დროს საჭიროა არა მარტო ნედლეულის მიწოდების მოგვარება, არამედ სათბობი მასალის, გზისა და მუშა ძალის მოწესრიგებაც.

მე ერთხელ ვსთქვი, რომ ჩვენ გვყავს ისეთი ეკონომისტები, რომლებსაც ინდუსტრიალიზაცია ისე ესმის, თითქო თვითეული დესეტინა მიწაზე ფაბრიკა უნდა აშენდეს. ეს არის ინდუსტრიალიზაციის ახირებული გაგება. ძნელი წარმოსადგენია, რომ მრეწველობის უაღრესად განვითარების დროსაც კი ჩვენში სავსებით გაქრეს ტიპიური სამიწათმოქმედო რაიონები; მაგალითად ჩვენ არ შეგვიძლია მიზნად დავისახოთ, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში ციმბირი ინდუსტრიალურ რაიონად გარდავქმნათ. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია იმას ნიშნავს, რომ კავშირის მთელ მეურნეობაში მრეწველობას უნდა ექნეს სახელმძღვანელო და უპირატესი მნიშვნელობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითეული გუბერნიის, მაზრის და თუ გინდ თვითეული რესპუბლიკის მეურნეობაში მრეწველობას უნდა ექნეს უპირატესი მნიშვნელობა. სამრეწველო აღმშენებლობის დარგში ეს სეპარატისტული ტენდენცია ძირ-ფესვიანად უნდა აღმოიფხვრას.

ჩუბარსა და რუხიმოვიჩს შორის დავა ატყდა ცენტრალიზაციაა საჭირო თუ დეცენტრალიზაცია. ჩემის აზრით—საჭიროა ცენტრალიზაციაქმნილი გეგმა და დისციპლინა ამ გეგმის განხორციელებისათვის. ამასთან ერთად გეგმის განხორციელება უნდა მოხდეს დეცენტრალისტურად. საჭიროა კაპიტალური აღმშენებლობის გეგმის მთლიანობის შენარჩუნება, კავშირის მთელი მეურნეობის ინტერესების გათანაბრება, როგორც მთლიანი ერთეულის და შექმნა გეგმის განხორციელების ისეთი პირობებისა, რომელიც რესპუბლიკებს, ოლქებსა და გუბერნიებს განვითარების და ინიციატივის სრულ შესაძლებლობას მისცემდა. აი რაში მდგომარეობს ჩვენი გეგმიანი ხელმძღვანელობის შეცვლის მორიგი ამოცანა.

ამხ. ლუნაჩარსკი გვსაყვედურობდა, რომ საკმაო არ არის განათლების საქმისათვის გადადებული თანხა, მაგრამ მას არ დაუსახელებია არც ერთი ციფრობრივი მასალა. ამიტომ მე მინდა გამოვაქვეყნო ცნობები განათლების საქმეზე გადადებულ თანხების შესახებ, თუნდაც მარტო საბჭოთა რუსეთში. ფინანსთა სახალხო კომისარიატიდან მიღებული ცნობების მიხედვით საბჭოთა რუსეთის 1923—24 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების სახალხო კომისარიატზე გადაცემული იყო 56,5 მილ. მანეთის თანხა, 1926—27 წელში კი განზრახულია ვადიდოთ 124,8 მილ. მანეთი; ე. ი. ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა რუსეთში სწავლა-განათლებისათვის გადადებული თანხა გაიზარდა 2½-ჯერ. სკოლების მდგომარეობა და სახალხო განათლების ორგანიზაცია ამჟამად ისეთი არ არის, რომ ის სავსებით აკმაყოფილებდეს ხალხის კულტურულ მოთხოვნილებას, რომელიც სწრაფი ნაბიჯით ვითარდება, ამიტომ განათლების საქმისთვის გადადებული ხარჯები უეჭველად უნდა გაიზარდოს. წრეულს მისი გადიდება უნდა მოხდეს ბიუჯეტის საერთო გადიდებასთან შეფარდებით.

განათლების საქმის სწრაფად გაუმჯობესების სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ის დიდ ხარჯებს მოითხოვს. გან. სახ. კომისარიატის ცნობით სახალხო მასწავლებელთა რიცხვი საბჭოთა რუსეთში უდრის დაახლოებით 200.000. ისინი დღემდე თავისი შრომისათვის არ იღებენ საკმაო გასამრჯელოს; მაგრამ მათი ჯამაგირება, რომ მაგალითად 10 მანეთით გავადიდოთ თვეში, რაც სამართლიანი იქნებოდა ჩვენი კავშირის ერთი ნაწილისა საბჭოთა რუსეთისათვის—ჩვენ დაგვჭირდებოდა 23 მილ. მანეთი. ამიტომ განათლების მუშაკთა შრომის ხელფასის გადიდება ხდება წლიდან წლამდე, მაგრამ არა ისეთი სიჩქარით, როგორიც ეს ჩვენთვის არის სასურველი.

ყოველ შემთხვევაში განათლების მუშაკების შესახებ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მათი სამუშაო ხელფასის ფონდის არა შემცირებაზე, არამედ გადიდებაზე. ხარჯთ-აღრიცხვათა და ხარჯების ცალკე მუხლების განაწილება ჯერ კიდევ არ განუხილავს სახალხო კომისართა საბჭოს და მომავალი წლისათვის ბიუჯეტის ვარაუდი მხოლოდ სახალხო კომისარიატების, მათ შორის განათლების სახალხო კომისარიატის წინასწარ მუშაობის შედეგია. მე ვფიქრობ, რომ ყველა იქიდან უნდა გამოდიოდეს, რომ ხარჯები განათლებაზე, განსაკუთრებით ტეხნიკურ განათლებაზე და სამეცნიერო მუშაობაზე, ამავე დროს საინდუსტრიალიზაციო ხარჯებია.

მე-14-ე ყრილობის შემდეგ კამათი სამეურნეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხების გარშემო პირველად ჩატარდა ისე, რომ ადგილი არ ჰქონია პარალელურ პლატფორმებს, წერილობით დეკლარაციებს და თვით ზეპირ განცხადებებსაც ოპოზიციის მხრივ. მე არ ვიცი, შეიძლება თუ არა ეს ისე გავიგოთ, რომ ოპოზიცია ეთანხმება ჩვენს თეზისებს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თავისი „განცხადების" შემდეგ ოპოზიცია ვალდებული იყო გამოსულიყო ამ ტრიბუნაზე და გარკვევით განემარტა იმ უთანხმოებათა შინაარსი, რომელიც მას ჰყოფს პარტიისაგან. ეს საჭირო იყო არა მარტო ოპოზიციისათვის, არამედ აგრეთვე მთელი პარტიისათვისაც. ერთი საქმეა, როცა ოპოზიცია ოფიციალურად უარს ამბობს თავის პლატფორმაზე „მილიარდებით", გადასახადებით და სხვ. მეორე საქმეა, თუ ის განაგრძობს თავის ძველ პლატფორმაზე დგომას. უკანასკნელი მთლიანად იყო არა თუ ყალბი და უაღრესად უბადრუკი, არამედ აგრეთვე სახიფათო პარტიისათვის თავის დემაგოგიით. თავის წინადადებებს გადასახადის გადიდების, ორი მილიარდის შესახებ ოპოზიცია თან დასძენდა უპარტიო მუშების გამოქომაგებას სამუშაო ხელფასის უფრო გადიდების შესახებ, აგრეთვე გლეხობის გამოქომაგებას გლეხობის 40 პროცენტის სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ. ოპოზიცია ცილს სწამებდა პარტიას, რომ მისი პოლიტიკა არაპროლეტარულია და ის ხელს უწყობს ბურჟუაზიის სწრაფ ზრდას როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

ძირითადათ ყალბი და ანტილენინური პროლეტარიატისა და გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხში, ეს პლატფორმა ემუქრებოდა მუშებისა და გლეხების კავშირის სიმტკიცეს. ის ისეთი სახით იყო ჩამოყალიბებული და ისეთი დემაგოგიური ლოზუნგებით იყო შელამაზებული, რომ სტოვებდა შთაბეჭდილებას, თითქოს ის უფრო ეწყობა საერთო პროლეტარულ ბრძოლას ქვეყანაში, ვიდრე დისკუსია პარტიის შიგნით. ოპოზიცია უნდა გამოსულიყო ამ ტრიბუნაზე და ეთქვა: განაგრძობს თუ არა ის ამ პლატფორმაზე დგომას. თუ უარს აცხადებს მასზე. მოვიყვან ერთ მაგალითს, რომლიდანაც სჩანს, თუ რის იმედი ჰქონდა ოპოზიციას, როცა დისკუსია გამოიწვია.

დისკუსიის დროს ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა აშკარად განაცხადა კრებაზე, რომ ის ყოველგვარ კავშირს სწყვეტს ოპოზიციასთან. თავის საჯარო განცხადებაში კავშირის გაწყვეტის შესახებ, მან მოიყვანა თავისი საუბარი ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერთან, რომელმაც უთხრა მას, რომ ოპოზიციის დამარცხების მიზეზია ჯერ ერთი მუშათა კლასის ჩამორჩენილობა, და მეორე „ანგარიშის შეშლა" (მე არ ვლაპარაკობ გაცრუებულ „იმედებზე") მიმდინარე სამეურნეო კრიზისის გაძლიერებაში.

ამ განმარტებაში სრულის სიცხადით გამოაშკარავდა ოპოზიციის პორაჟენცული იდეოლოგია. ზოგიერთმა ამხანაგმა კერძო საუბარში მითხრა, რომ „დაცემულს არ სცემენ". ჩვენ ყველანი სიამოვნებით შევიბრალებდით ამ ხალხს, რომ ჩვენ არ გვეკისრებოდეს პასუხისმგებლობა მუშათა კლასისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე ოპოზიციის გამოსვლების გამო, რომ ამ უკანასკნელის პლატფორმა ფართოდ არ იყოს გავრცელებული უპარტიო მუშებს შორის და არ შეჭრილიყო სოფელშიაც კი. ოპოზიციის გამოსვლა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტია. ამიტომ ჩვენ პარტიას, რომელიც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობის პასუხისმგებლობა, მომხდარი დისკუსიიდან არ გამოიყვანოს პოლიტიკური დასკვნები, არ შეუძლია შეფასება არ მისცეს ოპოზიციის იდეურ პლატფორმას, მას არ შეუძლია ყოველგვარი ზომები არ მიიღოს იმისათვის, რომ უზრუნველყოს პარტიის მთლიანობა და პარტიული ხაზის იდეური გამძლეობა. ყოველივე ეს აუცილებელია იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის სოცი[illegible]

კანტონის არმიის შეტევა რეაქციის წინააღმდეგ

რეაქციის არმია უკან იხევს ჩან-ჩოუს მიდამოებში

საფრანგეთის მემარჯვენე პრესა წინააღმდეგია გერმანია-საფრანგეთის დაახლოვების

რომში მეხუთეჯერ თავდასხმა მოახდინეს მუსოლინიზე; თავდასხმა უშედეგოთ დამთავრდა

ბრძოლა ჩინეთში

ძალთა გადაჯგუფება

პეკინი, 31 ოქტომბერი. პრესის ცნობები ცზიან-სის და ხუ-ბეის პროვინციებში მომხდარ ამბების შესახებ ერთობ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

თუმცა სუნ-ჩუან-ფანი ხმებს ავრცელებს ხუნ-ჩოუს მიმართულებით (ხუბეის პროვინციის აღმოსავლეთით) მისი გამარჯვების შესახებ, მაგრამ უფრო სარწმუნოა მეორე ცნობა, რომ ცზიანსიში ხდება როგორც სუნ-ჩუან-ფანის ისე კანტონელების ძალთა გადაჯგუფება.

გრძელდება ცზიან-სიში კანტონის ჯარების თავის მოყრა.

კანტონის შეტევა

პეკინი, 31 ოქტომბერი. კანტონის დივიზია განაგრძობს წარმატებით წინსვლას, მან უკვე მიაღწია ჩან-ჩოუს.

კანტონის ცალკე დივიზიის ნაწილებმა ჩინ-ჩუნის სარდლობით უკვე მიაღწიეს შან-ჩენს.

რეაქციის შურისძიება

პეკინი, 1 ნოემბერი. სუნ-ჩუან-ფანმა ბრძანება გასცა აწამონ ის პირები, რომელნიც დაპატიმრებულ იქნენ შანხაიში 24 ოქტომბერს აჯანყების მოწყობის ცდისათვის.

შანხაის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ სუნ-ჩუან-ფანს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ითხოვეს, რომ დაპატიმრებულებს შეუმსუბუქონ სასჯელი.

მისი შუამდგომლობა უნაყოფოდ დარჩა.

ნან-ჩანში, სუნ-ჩუან-ფანის განკარგულებით, როგორც კი მან უკანვე დაიბრუნა ქალაქი, აწამეს სინ-იუანის უნივერსიტეტის 3 პროფესორი, მათ შორის უნივერსიტეტის რექტორი, რომელსაც დააბრალეს კანტონელების მომხრეობა.

სუნ-ჩუან-ფანმა გასცა ბრძანება გომინდანის ყველა ორგანიზაციების და მუშათა კავშირების დახურვის შესახებ, რომელნიც მის განკარგულებაში არსებულ ტერიტორიაზე მოიპოვებიან.

გომინდანის კონფერენცია

კანტონი, 30 ოქტომბერი. გომინდანის კონფერენციაზე განხილულ იქმნა საკითხი მუშა, გლეხთა და ჯარისკაცთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მიღებული რეზოლუცია ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: გლეხობისათვის—მიწის გადასახადის შემცირებას 25 %-ით მიწაზე საიჯარო გადასახადის შეწყვეტას, შიმშილობის დროს, სასოფლო-სამეურნეო ბანკებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული კავშირების გაფართოებას, გადასახადების ავანსად აღების აკრძალვას და სხ.; მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს მიეცათ წინადადება, რომ ცხოვრებაში გაატარონ შრომის დაცვისა და მუშათა უფლების დაცვის კანონი, მათ შორის გაფიცვის თავისუფლების კანონი. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს ჯარისკაცთა ცხოვრების გაუმჯობესებასა, მათი დონის ამაღლებას, პენსიების შემოღებას და სხვა.

თავდასხმა მუსოლინიზე

ლონდონი. 1 ნოემბერი. კვირას, 17 საათსა და 40 წ. ბოლონიში, როდესაც მუსოლინი გამოვიდა დარბაზიდან, სადაც მან გახსნა სამეცნიერო კონგრესი, და მიდიოდა სადგურზე ფორლიში გასამგზავრებლად, მასზე თავდასხმა მოახდინა ვიღაც 18 წლის ახალგაზრდამ, თავდამსხმელს მივარდა ბრბო და ლინჩის წესით გაასამართლა. თავდამსხმელის გვამი ჯერ კიდევ გამოუცნობია. მუსოლინი მივიდა სადგურზე და დამსწრეებთან საუბრის შემდეგ გაემგზავრა ფორლიში.

ეს არის მეხუთე თავდასხმა მუსოლინიზე

ერთ-ერთი თავდასხმის დროს მუსოლინიმა თავის მეგობრებს განუცხადა,—რომ, როგორც მისთვის უწინასწარმეტყველებია, იგი არ მოკვდება ძალადობის ხელით და მას სჯერა ამ წინასწარმეტყველების.

„ჩემი თავდამსხმელნი უნდა აღიჭურვონ დიდი მოთმინებით,—დასძინა მან.

ბერლინი, 16 ნოემბერი. თავდასხმის შემდეგ მუსოლინი სრულიად აუღელვებლად მოუწოდებდა ბრბოს დამშვიდებულიყო. მხედრების რაზმმა ის იყო დაიჭირა თავდამსხმელი შავპერანგიანებმა გამოგლიჯეს მხედრებს იგი ხელიდან და სიკვდილის პირამდე სცემეს.

ბრბოს უნდოდა გვამის ჩამოკიდება, მაგრამ გენერალმა ბალბომ განაცხადა: ფაშისტები მკვდრებს არ ახრჩობენ.

პარიზი, 1 ნოემბერი. ბრიანმა მიულოცა მუსოლინის სიკვდილისაგან გადარჩენა.

საკო და ვანცეტი

პარიზი, 31 ოქტომბერი. პარიზში შესდგა საპროტესტო მიტინგი იმის გამო, რომ ამერიკის სასამართლომ უარი განაცხადა საკოსა და ვანცეტის საქმის გადასინჯვაზე

2.000 მუშამ, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ მიტინგზე, დაადგინეს აირჩიონ დელეგაცია და მიანდონ მას პროტესტის განცხადება შეერთებული შტატების ელჩისათვის პარიზში.

გარდა ამისა, კრებამ დაადგინა, წინადადება მისცეს შრომის საყოველთაო კონფედერაციას (რეფორმისტულს), რომ შეუერთდეს პროტესტს.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი მხრივ პროტესტის რეზოლუცია გაუგზავნა შეერთებული შტატების საელჩოს.

გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა

ბრიანის განცხადება

ბერლინი, 31 ოქტომბერი. „ფორვერტს"-ის პარიზელი კორესპონდენტი აქვეყნებს ბოლდუნის განცხადებას „ტუარის პოლიტიკის" გაგრძელების შესახებ.

„რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო უკვე მიღწეულია. საფრანგეთი და გერმანია თანამშრომლობენ ერთა ლიგაში თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ორთავე მხარე იჩენს უდიდეს სურვილს, რომ სძლიონ ყველა დაბრკოლებანი, რომელნიც საფრანგეთს ხელს უშლიან გერმანიასთან დაახლოებას. თუ ჩვენ ვერ მივაღწევთ მიზანს, ერთი გზით მაშინ გამოვნახავთ მეორე გზას და მეცდელობიდან არ გაუშვებთ საბოლოო მიზანს".

„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" სწერს: „საფრანგეთის წყაროების ცნობამ, რომ სცდილობენ გამონახონ „ახალი საფუძველი საფრანგეთ-გერმანიის დაახლოებისათვის, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინის პოლიტიკურ წრეებში.

მემარჯვენეთა კამპანია

პარიზი, 31 ოქტომბერი. საფრანგეთის მემარჯვენე პრესა გაძლიერებულ კამპანიას აწარმოებს „ტუარის პოლიტიკის" წინააღმდეგ და აყენებს საფრანგეთ-იტალიის დაახლოების საკითხს.

პოლონეთის სეიმი

ვარშავა, 30 ოქტომბერი. 30 ოქტომბრისათვის დანიშნული სეიმის სესიის გახსნა, არ შესდგა იმის გამო, რომ სეიმის ფრაქციებმა უარი განაცხადეს, ფეხზე ადგომით მოესმინათ პრეზიდენტის დეკრეტი სეიმის გახსნის შესახებ. დეკრეტი უნდა წაეკითხა პილსუდსკის.

სეიმის გახსნა გადაიდო 3 ნოემბრისათვის.

ქრისტიანულ-ეროვნულ პარტიის ბელადი სტრონსკი „ვარშავიანკის" მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ საოპერეტო ბრძოლა ცერემონიალისათვის, რომელმაც სერიოზული სახელმწიფოებრივი ბრძოლის ხასიათი მიიღო, პოლონეთის კომიკური სახით ადგენს დასავლეთი ევროპის წინაშე".

მეცნიერთა ყრილობა

ტოკიო, 31 ოქტომბერი. შიმბუნრენგოს სააგენტო იუწყება: ტოკიოში გაიხსნა წყნარ-ოკიანეს ქვეყნების მეცნიერთა მესამე ყრილობა. ყრილობას ესწრება 450 მასწავლებელი, რომელნიც 20 ქვეყანას წარმოადგენენ. მათ შორის 150 უცხოელია. იმ ორატორთა შორის, რომელნიც კონგრესს, მიესალმენ გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის წევრი კომაროვი და კონგრესს სალამი გადასცა საკავშირო მეცნიერთა აკადემიის სახელით. კომაროვმა განაცხადა, წყნარ-ოკეანეს მეცნიერული ექსპლოატაციის პრობლემის გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის.

პროფესორი კომაროვი გამოვიდა მოხსენებით: მცენარეულობის გავრცელება საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთში ბერგი კი—მოხსენებით: ბიოლოგიური ინსტიტუტი ვლადივოსტოკში.

„ჩვენ გვწამს თქვენი გამარჯვება"

მოსკოვი, 1 ნოემბ. საკავშირო პროფსაბჭომ ამხ. ტომსკისა და დოგადოვის ხელის მოწერით ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის მისამართზე გაგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენ გვწამს თქვენი გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მძიმე პირობებში აწარმოებთ ბრძოლას, მძლავრი და საშიში მტრის გაერთიანებულ ძალთა წინააღმდეგ. თქვენ გარს გარტყიათ აგრეთვე უფრო საშიში ცრუ მეგობრები, რომლებიც სცდილობენ თქვენი მებრძოლი რიგების დასუსტებას და დაშლას. საბჭოთა კავშირის მუშები ბოლომდე იქნებიან თქვენთან ერთად. ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რომ შემდეგშიაც ყოველმხრივ დაგეხმარონ თქვენ და შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ თქვენი გამარჯვება, რომლის იმედიც აქვთ და რომელიც გულით და სულით სურთ.

დაგვიდასტურეთ 1 მილიონი მანეთის მიღება, რომელიც გამოგიგზავნეთ თქვენ 30 ოქტომბერს.".

პირველი საჩუქარი

ბერლინი, 1 ნოემბერი. ხვალ პრუსიის მთავრობა პრუსიის ლანდტაგის დეკრეტის ძალით შეიტანს პირველ ანაბარს 5 მილიონი მარკის რაოდენობით ჰოჰენცოლლერნების სასარგებლოდ.

რენოდელის განცხადება

პარიზი, 1 ნოემბერი. ნაციონალურ საბჭოში რენოდელმა სოციალისტურ პარტიას წინადადება მისცა არ წარადგინონ მხოლოდ პარტიული სიები იმ მოსაზრებით, რომ არჩევნების დროს პარტიამ ადგილები არ დაჰკარგოს. რენოდელმა განაცხადა, რომ მას შესაძლებლად მიაჩნია კოალიცია კომუნისტებთან.

გაფიცვა ბერლინში

ბერლინი, 1 ნოემბერი. ბერლინის მიწისქვეშა რკინისგზის ვაგონების კონდუქტორებმა დაადგინეს გამოაცხადონ გაფიცვა. მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას. დღეს გაფიცვის საკითხს იხილავს ავტობუსების შოფერთა კავშირი.

ბეტლენის ზრახვები

ვენა, 31 ოქტომბერი. პრესაში გავრცელდა ხმები, რომ ბეტლენს ზრახვა აქვს, ზედა-პალატის აღდგენის შესახებ კანონ-პროექტის გატარების შემდეგ მოახდინოს პარლამენტის დაშლა და ახალი არჩევნების დანიშვნა.

იტალიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია თბილისში

ზაჰესში

კვირას იტალიის მუშა - ახალგაზრდობის დელეგაცია გაიყო ორ ჯგუფად: ერთი ჯგუფი გაემგზავრა კახეთში სახელმწიფო მამულების დასათვალიერებლად, მეორე კი — ზაჰესში.

ზაჰესში დელეგატებმა დაათვალიერეს სამუშაოთა ყველა უბნები. მათ ახსნა - განმარტებას აძლევდნენ სამუშაოთა ხელმძღვანელები.

ზაჰესის დათვალიერებამ დელეგატებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

გამასწორებელ სახლში

ზაჰესიდან დელეგატები გაემგზავრენ მეორე გამასწორებელ სახლში, სადაც დაათვალიერეს სხვადასხვა სახელოსნოები, კბილის საექიმო კაბინეტი და სხვა.

პატიმრებმა დელეგატებს უძღვნეს სხვადასხვა საჩუქრები.

გამასწორებელ სახლიდან გამოსვლისას დელეგატებმა საპატიო სტუმართა წიგნში ჩასწერეს შემდეგი „პატიმართათვის შემოღებული რეჟიმი მეტად ჰუმანიურია. ძალიან კარგია ის შრომითი და კულტურული აღზრდის სისტემა, რომელიც შემოღებულია გამასწორებელ სახლში".

მთავარ სახელოსნოებში

გუშინ დილით დელეგაცია ესტუმრა რკინისგზის მთავარ სახელოსნოებს.

დელეგატებმა დაწვრილებით დაათვალიერეს ყველა ცეხები და ესაუბრნენ მუშებს: გამოკითხეს მათ, როგორია შრომის პირობები, რამდენს იღებენ ხელფასს, კმაყოფილი არიან თუ არა თავისი მდგომარეობით და სხვა.

მუშებთან საუბარით და სახელოსნოების დათვალიერებით დელეგატები მეტად კმაყოფილნი დარჩნენ.

მუშკოოპში

მთავარ სახელოსნოებიდან დელეგატები გაემგზავრენ მუშკოოპის მთავარ შენობაში, სადაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ გამგეობის წევრებთან.

საუბრის დროს დელეგატებს აინტერესებდათ, თუ რამდენ წევრს აერთიანებს მუშკოოპი, რა უპირატესობა ენიჭება წევრებს სხვებთან შედარებით, რამდენი სავაჭრო პუნქტი აქვს მუშკოოპს, როგორ არის დაყენებული საკუთარი წარმოების საქმე და სხვა.

მუშკოოპიდან დელეგატები გაემგზავრენ საქართველოს სამხატვრო აკადემიაში, სადაც ჰქონდათ საუბარი პროფ. გრინევსკისთან.

საუბრის შემდეგ დელეგატებმა დაათვალიერეს აკადემიის სხვადასხვა განყოფილებები, რითაც ძალიან კმაყოფილი დარჩნენ.

საღამოს დელეგატები ესტუმრენ მუშათა ცენტრალურ კლუბს.

კახეთში

კახეთიდან დელეგაციის მეორე ჯგუფი დაბრუნდა გუშინ საღამოს.

კახეთში მათ დაათვალიერეს საგარეჯოს რაიონი, სადაც გაეცნენ რადიო - სადგურის, კოოპერატივის და სკოლის მუშაობას. დელეგატებმა დაათვალიერეს აგრეთვე სახელმწიფო ვენახები და ღარიბ გლეხთა მეურნეობანი.

დღეს დილით დელეგაცია მთელი შემადგენლობით საქართველოს სამხედრო გზით მიემგზავრება კავკავში, საიდანაც ჩავა მოსკოვში.

ტრამვაის ტარიფი

კომუნალურ სექციის 25 ოქტომბრის სხდომაზე დასმული იყო საკითხი ტრამვაის ტარიფის შემცირების შესახებ.

ტრამვაის შემოსავლიანობის გადიდების მიზნით, მომხსენებელი ამხ. ფარნიევი საჭიროდ სცნობდა ტრამვაის შემდეგი ტარიფის დაწესებას: ერთი უბნის გავლისათვის 10 კაპ. სულ სამი უბნის გავლისათვის 10 კაპ. მომხსენებლის აზრით ასეთი დაწესება გაადიდებდა ტრამვაით მოსიარულეთა რიცხვს, რასაც მისი დასკვნით მოჰყვებოდა ტრამვაის შემოსავლის გადიდება. სექციის წევრებმა წამოაყენეს ტარიფის შემცირების სხვა პროექტებიც. საერთოდ კი სექცია ორად გაიყო: წევრების ერთი ნაწილი მოითხოვდა, რომ შემცირებულიყო ტარიფი, ხოლო მეორე ნაწილი კი ტრამვაის ტარიფის შემცირებას არსებულ პირობებში. როცა ტრამვაის მეურნეობას მრავალი შეკეთებები აქვს მიცემული, მიზანშეუწონლად სცნობდა.

საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად და შესასწავლად არჩეულ იქნა საგანგებო კომისია, რომელმაც დაამუშავა ტრამვაის ტარიფის შემცირების საკითხი და გუშინდელ სხდომაზე მოხსენებით წარუდგა სექციას. კომისიის დასკვნით ტრამვაის მეურნეობის მდგომარეობა დღეს ისეთია, რომ ტრამვაის ტარიფის შემცირება გამოიწვევდა ტრამვაის მდგომარეობის გაუარესებასო. სექციამ დაადგინა—ტრამვაის ტარიფის შემცირების საკითხის დადებითად გადაწყვეტა დღევანდელ პირობებში ცნობილ იქნას დროის შეუფერებლად.

მშრომელნი ეხმარებიან მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

„კომუნისტი"-ს კანტორაში

(რუსთაველის პროსპ. № 34) მიიღება შემოწირულებები მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

ამ.-კავკ. ცაკის კომისია

ლენინაკანი, 1 ნოემბერი. გუშინ თბილისიდან ჩამოვიდნენ ამიერ - კავკასიის ცაკის კომისიის წევრები ამხ. მუსეიბოვი, ხანოიანი, იაკუბოვი, ბეკზადიანი და ბოგდატიევი. ქალაქის დანგრეულ სახლების ზედმიწევნითი დათვალიერების შემდეგ კომისიის წევრები გაემგზავრენ დაზარალებულ სოფლებში.

დახმარება საქართველოდან

ლენინაკანი, 1 ნოემბერი. დღეს ლენინაკანში ახალციხიდან ჩამოვიდა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე შაბანოვი და სამაზრო კომიტეტის მდივანი ცხაძე. ახალქალაქიდან— სამაზრო კომიტეტის მდივანი სტეპანიანი. ჩამოსულებმა ჩამოიტანეს სამაზრო აღმასკომის შემოწირულება ათას-ათასი მანეთი. ქალაქის დათვალიერების შემდეგ ისინი გაემგზავრენ დაზარალებულ სოფლებში.

ბაქოს დახმარება

ბაქო, 1 ნოემბერი. ბაქოს საბჭოსთან არსებული დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კაიბოვი იუწყება, რომ ლენინაკანში გაიგზავნა ორი ვაგონი ხე - ტყის მასალა.

ბაქო, 1 ნოემბერი. მიწის ძვრით დაზარალებულთა ბაქოს დამხმარე კომიტეტმა დამატებით გადაგზავნა 10.000 მან., ბაქოს საბჭოს მიერ გაღებული.

ლტოლვილები ლენინაკანიდან

ბაქო, 1 ნოემბერი. ბაქოში უკვე ჩამოვიდა ლენინაკანიდან ლტოლვილთა პირველი პარტია.

დროებით ისინი მოთავსებული არიან შესაკრებ პუნქტში.

ერზინკიანი ერევანში

ერევანი, 1 ნოემბერი. ამხ. ერზინკიანი დაბრუნდა ერევანში. საგანგებო კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამსოგლიანი.

წითელ ნახევარ მთვარის რაზმი

ლენინაკანი, 1 ნოემბერი. დღეს აზერბეიჯანში ჩამოვიდა წითელ ნახევარ მთვარის რაზმი ექ. ალიევის მეთაურობით. რაზმი ჯერჯერობით იმუშავებს ლენინაკანში.

უცხოეთში მყოფ ამიერ - კავკასიელთა მიმართვა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ბერლინიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„ლენინაკანში და მის მიდამოებში მომხდარმა უბედურებამ თავზარი დაგვცა ჩვენ, ბერლინში მცხოვრებ ამიერ-კავკასიელთ. გამოვსთქვამთ რა ჩვენს მწუხარებას, იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა ამიერ - კავკასიის და სომხეთის ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელი მასები მათთვის ჩვეული სიმტკიცით და გამძლეობით აღადგენენ დანგრეულს და მოაშუშებენ საბჭოთა სომხეთის შრომელი ხალხის ამ ჭრილობას.

ხვანიძე, იდანიშვილი, კარაპეტიანი, ლომიძე, სოლოვიანი, მიკაელიანი, ალიევი, ატაბეკიანი, მეგრელიძე.

დახმარება დაზარალებულთ

ამიერ-კავკასიის შინა - ვაჭრობის კომისარიატმა ცნობა მიიღო ლითონის ტრესტისა, შაქრის ტრესტისა, „ხლებოპროდუქტისა" და სახელმწიფო ბანკის განყოფილებისაგან, რომ შესრულებულია ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის განკარგულება ლენინაკანში საქონლის გაგზავნის შესახებ.

—:—

ხე-ტყის სინდიკატის რწმუნებულმა კავკასიაში აცნობა, რომ სტალინგრადიდან უკვე გაიგზავნა ლენინაკანში 16 ვაგონი დახერხილი ხე-ტყის მასალა. ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ხე-ტყის სინდიკატის განკარგულებით სტალინგრადიდან სულ გაიგზავნება 80 ვაგონი დახერხილი ხე-ტყის მასალა.

—:—

სრ. საკავშირო საფეიქრო სინდიკატის სოლოქო კანტორამ მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის კარვების დასამზადებლად შესწირა 64.000 მეტრი ბრეზენტი.

—:—

თბ. ვაჭრობა ლენინაკანში გზავნის 2 ვაგონ მინებს ფანჯრებისათვის.

—:—

ამიერ - კავკასიის შინა-ვაჭრობის კომისარიატმა წინადადება მისცა „პროდსინდიკატის" განყოფილებას ბაქოში, რომ ლენინაკანში გაგზავნოს 1 ვაგონი ფეფშები და ჭიქები.

ვიწვევ დასახმარებლად

შემომაქვს 3 მანეთი ლენინაკანის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: არაბიძე ალ., პავლე მინდიაშვილს, ბოლქვაძე ვ., კოხრეიძე ალ., მაჭავარიანი პ., მარკოზაშვილი ვანო, გოცოლაშვილი შალვა, მეგრელაძე ალ., შუბაშვილი ვ., მახვილაძე ვ., არჩვაძე ნიკო, ცინცაძე მ., კურჩუკიანცი არტ., კაზაროვი ა., კომახიძე ვ., კაკოევი ი., ოქრომპირიძე ვ.

ვ. კაიტანჯიანცი.

ამხ. ვ. ზერაძის გამოწვევით შემომაქვს 3 მ. ლენინაკანში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ამხ. თედო ღლონტს (ათ მანეთზე). პროფ. კორნელი კეკელიძეს (10 მანეთზე). პროფ. შ. ნუცუბიძეს (ათ მანეთ.). ქ: სულაქველიძეს (ათ მანეთზე). ირ. სურგულაძეს დამს. პროფ. მელიქიშვილს პროფ. ანდრ. რაზმაძეს, ალექს. ერქომაიშვილს (ათ მანეთზე). ის. თალაკვაძეს (ათ მანეთზე). ივ. ყიფშიძეს, პროფ. მუ[illegible]ძეს, პროფ. ალ. ნათიშვილს, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილს, მიხ. შავთელიშვილს, პრო. მოსეშვილს, პროფ. ი. მოსეშვილს, პრ. გ. ახვლედიანს, დ. იოსელიანს, პროფ. გეხტმანს, ალ. ინწკირველს, პრო. ქუთათელაძეს, ს. მრევლიშვილს, სავალიშვილს, დ. გოგიჩაშვილს, პროფ. ალ. დიდებულიძეს, პროფ. თვალჭრელიძეს, პროფ. ღლონტს, მელქისედ ბექაიას (სურვილისამებრ).

ალ ცინცაძე.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში განყოფილებაში — „დაეხმარეთ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ",—სადაც შეცდომით დაბეჭდილია რომ „შესდგა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა „მწყემსის" მუშა-მოსამსახურეთა კრება", უნდა იყოს—„მდელოსის მუშა - მოსამსახურეთა კრება."

ქრონიკა

იტალიის სამხედრო ატაშეს ჩამოსვლა

გუშინ თავრიზიდან თბილისში ჩამოვიდა სამხედრო ატაშე იტალიის საელჩოსთან მოსკოვში, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი **ბერჯელი.**

გუშინვე ბერჯელი მიიღო ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ—ამხ. გუსეინოვმა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ—ამხ. ჯუღელმა, რომლებთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა.

საექიმო დახმარება

მოსახლეობისათვის საექიმო დახმარების მიზნით, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა დაავალოს ყველა სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებებს, რომ სხვა მაზრებიდან მოსულ ავადმყოფებს აღმოუჩინონ უფასო სასწრაფო ამბულატორიული დახმარება, როდესაც ამას მოითხოვს საჭიროება.

ფიზიო - თერაპევტიული ინსტიტუტის გახსნა

კვირას, 31 ოქტომბერს, დიდის ზეიმით გაიხსნა ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი, გახსნას დაესწრნენ ხელისუფლების და სხვადასხვა დაწესებულებების წარმომადგენლები.

ინსტიტუტთან გახსნილია შემდეგი კაბინეტები: ელექტრო-სამკურნალო, წყალით-სამკურნალო რენტგენო-დიაგნოსტიური და რენტგენო თერაპევტიული, სინათლით-სამკურნალო, ფინზენი და რადიი-თერაპევტიული კაბინეტი კიბოს სამკურნალოდ.

ინსტიტუტი ყოველდღე უექიმებს 500 კაცს. სახლის გადაკეთება და ინსტიტუტის მოწყობა დაჯდა 180.000 მანეთი.

შავი ქვის ექსპორტი

ოქტომბრის განმავლობაში სააქციო საზ-ბა „საქართველოს მარგანეცი“-ს მიერ საზღვარგარეთ გატანილი იქნა 6.761 ტონა ჩვეულებრივი მადანი, 9.157 ტონა გარეცხილი მადანი და 2.228 ტონა პიროქსიტი.

სულ ოქტომბრის განმავლობაში გატანილია 18.140 ტონა შავი ქვა.

ჯანსახკომის ბიუჯეტი

ჯანსახკომმა გადასწყვიტა გამოიმუშაოს ხარჯთ-აღრიცხვა მაზრებში ჯანმრთელობის საქმის მოსაგვარებლად. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი იქნება მაზრაში არსებულ საავადმყოფოს, საექიმო პუნქტების, მედიკამენტების უფასოდ გაცემის, დისპანსერიზაციის, მალარიასთან და ვენერიულ სენებთან ბრძოლის ხარჯები და სხ.

ყოველ ცალკე მაზრას მიეცემა მხოლოდ ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა.

განათლების ფრონტზე

◆ **საბავშვო ბაღები თბილისში.** შარშან არსებობდა 24 საბავშვო ბაღი, რომლებშიაც ითვლებოდა 1623 ბავშვი, აქედან 814 ქალი იყო; ეროვნების მიხედვით: ქართველი—730, სომეხი—643, თურქი—94, რუსი—260, სხვადასხვა ეროვნების—76.

◆ **მზრუნველობა ბავშვებზე.** გასულ წელს სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ მთელ რესპუბლიკაში იმყოფებოდა 10.000 უპატრონოთ დარჩენილი ბავშვი, 7—12 წლამდე. მათ შორის ყრუ-მუნჯი—97 ბავშვი, ბრმა—103 ბავშვი.

◆ **დამსახურებული ხელოვანნი.** განათლების კომისარიატიდან ამჟამად თვიურ პენსიას ღებულობენ 83 დამსახურებული ხელოვანნი და საზოგადო მოღვაწე.

მუშკოოპში

◆ **ფასების დაკლება.** მუშკოოპის გამგეობამ დაადგინა დაუკლოს ფასები პირველ მოთხოვნილებისადმი. ფასების დაკლება უკვე გავრცელდა ერბოზე, შაქარზე, კონსერვებზე და სხ.

◆ **ახალი მაღაზიები.** ახლო ხანში თბილისის სხვადასხვა რაიონებში გაიხსნება მუშკოოპის სპეციალური მაღაზიები: საგასტრონომიო, ჭურჭეულობის, შეკერილი ტანისამოსის, საშაქარლამო და სხ.

◆ **ფარდულები წარმოებებთან.** მუშკოოპის გამგეობის დადგენილებით, თბილისის სხვადასხვა წარმოებებთან გაიხსნება სხვადასხვა ნივთებით სავაჭრო ღია ფარდულები. ფარდულების გახსნა განზრახულია „კომუნისტის“ სტამბასთან, სახ. ბანკთან, თამბაქოს ქარხნებთან და სხ.

◆ **ახალი პასაჟი.** უკვე დამთავრდა მუშაობა სალგუროთან მუშკოოპის პასაჟის გასახსნელად. პასაჟის გახსნა მოხდება ახლო ხანში.

სოციალური დაზღვევა

◆ **ბრძოლა სიმულიაციასთან.** რესპუბლიკის სოც. დაზღვევის სამმართველო იმუშავებს მტკიცე ღონისძიებებს სიმულიაციის საწინააღმდეგოდ.

◆ **საზამთრო სანატორიუმებში 16 ნოემბერს** გაიგზავნება დაზღვეულ ავადმყოფების პირველი წყება.

◆ **დაზღვევის კამპანია.** სოც. დაზღვევის სამმართველო შეუდგა გეგმის გამომუშავებას სოც. დაზღვევის კამპანიის ჩასატარებლად.

◆ **თბ. დამზღვევი სალარო** არაზინდოში ავადმყოფების პირველ წყებას გზავნის დღეს.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში მოთავსებულ წერილში „ბორჯომის მინერალური წყლები“ შეცდომით აკლია ხელმოწერა—S—Ili.

შემთხვევები

◆ **გვამის პოვნა.** სოფ. ვერძისის ბოლოში მტკვრის პირას იპოვეს მამაკაცის გვამი.

◆ **რუსთაველის თეატრში 31 ოქტ.** ისონ მგალობლიშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 470 მანეთი.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** ჭავჭავაძის ქ. № 9 ნინა ლომთაძის ბინიდან მოიპარეს 700 მან. ნივთები.

◆ **ჯიბგირობა თეატრში.** 29 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში ვლადისლავ ნეპოკოიჩს ამოაცალეს საფულე.

◆ **დაჭრა.** ალექსანდროპოლის ქ. ღამით უცნობმა პირებმა დანით დასჭრეს ამბარცუმ ხაჩატურიანცი.

◆ ვანქის საყდარის გადაღმა აკოფ მოსესოვმა დანით მძიმეთ დასჭრა სედრაკ მარტიროზოვი და მიიმალა.

◆ ამავე დღეს წალკის შესახვევში უცნობმა პირმა დანით დასჭრა დავით პეტროსოვი.

◆ **გაძარცვა.** მნაცაკანოვის ხიდის ახლოს დოლაბაურის ხევში ყაჩაღებმა გაძარცვეს გიორგი შუბაშვილი და ჯავახიშვილი.

◆ **თბ. რკ. გზის სადგურზე** რეზინო-ტრესტის თავმჯდომარეს ხაჩატურ ნახაპეტოვს მოპარეს ჩემოდანი.

◆ ამავე დღეს სადგურზე ივანე ედონცის მოპარეს 180 მან. ნივთები.

◆ **შეპყრობა.** ქურდობისათვის შეიპყრეს ვინმე ქურხული.

◆ ამავე დღეს ნაქურდალი ნივთებით შეიპყრეს აზნეიპარაშვილი.

◆ ამავე დღეს დააპატიმრეს იაკობ კირაკოზოვი, რომელმაც მიკირტიჩ მარქაროვის ბინიდან (დიდი ვანქის ქუჩა № 3) მოიპარა 700 მ. ნივთები.

◆ **ქურდი ქალი.** ქურდობისათვის დააპატიმრეს ანნა ქოროღლიშვილი, რომელმაც მარიამ დალაქიშვილს მოპარა 400 მ. ნივთები.

◆ **ჯიბგირობა.** ივანე სპეტიშვილს ამოაცალეს ბაზარში საფულე საბუთებით და ფულით.

◆ **ქურდობა.** კომ. შესახ. № 5 გაქურდეს მუსეინ აბაზ-ოღლის ბინა.

◆ **ბოქლომის გატეხის საშუალებით** ტაბტრესტის სასადილოდან მოიპარეს 604 მანეთის ნივთები.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** პეტრე-პავლეს ქ. № 1 გაქურდეს ივანე გოგინაშვილის ღვინის სარდაფი.

◆ ამავე დღეს ვანის ქ. მარიამ ბერიშვილის ბინიდან მოიპარეს 300 მან. ნივთები.

◆ ამავე დღეს ელისაბედის ქუჩა № 144 გაქურდეს ილია ჯორჯიკაშვილის ბინა.

◆ **თავდასხმა საბაძურის ტყეში.** გუშინ საღამოს საბაძურის ტყეში (ერწოს რაიონში) თბილისიდან მიმავალ დიტო წიკლაურს თავს დაესხა ორი ბოროტმოქმედი.

ხელოვნება

„დეზერტირკა“

მუსიკა ვახვახიშვილის.
დადგმა მარჯანიშვილის.

„დეზერტირკა“ საკმაოდ ცოცხალი, მხიარული პოლიტიკური სატირაა. კინო-ლენტის სისწრაფით იშლება ჩვენ წინ ახლო წარსულის სურათები. ავტორის დაკვირვებული თვალი იჭრება ცხოვრების მიმალულ კუნჭულებში, ულმობლად სწვდება და აშიშვლებს ყველა სისუსტეს და სიმახინჯეს გავლილ პერიოდებისა. ბევრი გუშინდელი და თითქოს დავიწყებული ამბავი მზის სინათლეზე ამოდის. ალაგ-ალაგ კომედიაში მოსჩანს მახვილ საზოგადოებრივ ალღოს ნაპერწკლები, ხშირად კი ეს არის ისტორიის ჩარხის ბრუნვაში ფარისულ, სამასხარაო ელემენტების დაჭერა. ხშირად ეს არის თეთრი პურის სადარაჯოზე მდგომ „ობივატელის“ თავში გარდატეხილი სურათი ამ ჩარხის ბრუნვისა.

კომედიის ერთი სცენიური ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედება საკმაოდ ვრძელ პერიოდზეა გაშლილი, ავტორს სურს დეტალებში ამოსწუროს ეპოქა. ეს ხელს უშლის მოქმედების თავმოყრას ერთ წერტილში. პიესის ეს რაფსოდიული ხასიათი მიზეზია იმის, რომ მომქმედ პირთა დახასიათება მხოლოდ მათ მიერ გამოთქმულ მსჯელობაში და შეხედულებებში ხერხდება. ზოგი სცენა კი, მაგ. სცენა მინისტრის აუდიენციისა, გვიმტკიცებს, რომ იუმორი გაცილებით უფრო ძლიერია, როდესაც ის თვით მოქმედებაში მჟღავნდება.

კომედია საყურადღებოა არა მარტო, როგორც პოლიტიკური სატირა, არამედ როგორც ყოფაცხოვრების ამსახველი მხატვრობა. კნეინების ქართული, ჩვენი თავად-აზნაურობის ძველი და ახალი თაობის დაპირისპირება, თუმცა არ ახალი, მაგრამ მაინც მხატვრულად ათვისებული და ორგანიულად გადაყვანილი კომედიაში.

დადგმა პიესის ერთი საუკეთესოთაგანია ჩვენს სცენაზე. კარგადაა გამოყენებული კომედიისათვის ასე მიუცილებელი გროტესკი, სახეების გამახვილება, ბუფონადა. მაგალითად პირველ სცენის მასიური მასკა, გვარდია ერთ ფიგურაში თავმოყრილი, შარჟამდის დამძიმებული სახეები, პორტრეტები საუცხოვოდ გადმოგვცემს გარემოს. სხვადასხვა პერიოდები ასე მხატვრულადაა დაჭერილი არიებში, მენშევიკების ერა თავისი „გოცაძე“-ს ჰიმნით, მეფის რეჟიმი „Боже царя храни“-თ და სხვ..

დეკორაციები სწორად გამოხატავენ ფსიქოლოგიურ გარემოს. დეზერტირკა 1921 წელში ამ დაცალიერებულ ბაზრიდან რაღაც სიცივე მოდის. ვაჭრები პროტესტით, ვაჭრები მდგომარეობით, ქუჩის ბიჭები შეხატკბილებულად თამაშობენ; მსახიობებმა როლები კარგად იციან, დიქციაც ამ პიესაში თითქმის ყველას კარგი აქვს, ოღონდ ზოგიერთი რუსულში მოიკოჭლებს.

შემსრულებლები იმდენად შესაფერისი არიან თავიანთი როლების, რომ კაცს ეგონება ავტორს პიესის დაწერისას მხედველობაში მიუღია [illegible] ჩვენი დრამის ძალებიო.

პეტრუშა (გოცირიძე) ეს ამპლუა მისი მონოპოლიაა ჩვენს სცენაზე. მან ეს სახე შეუდარებლად გადმოგვცა ახალ „რევოლიუციონურ“ სიტუაციაში. მსახიობს ახასიათებს საუცხოვოდ გამომუშავებული, გამოკვეთილი დიქცია, კოლორიტული, დამარწმუნებელი ჟესტები და მიმიკა. სულ უმნიშვნელო რამეც კი მის სცენიურ გამუქებაში საინტერესო ხდება.

გალაქტიონ (ქორქოლიანი) ისიც საკუთარ სტიქიაში გრძნობს თავის თავს. აქ ერთ პირში თავმოყრილია მთელი გარემო, მთელი იმერეთი, თავისი შინაურული მამიდაშვილური ხლართებით. აქ არაფერია მოფიქრებული აფერისტობის და ავანტიურიზმის. კაცი ვერ არჩევს სამინისტროს თავის ოჯახიდან. კარგია. ივლიტე (დავითაშვილი) მისი დამახასიათებელი ქაქანი, მორთულობა, მოცეკვავე სიარული, ნაივი მსჯელობა ავტონომიაზე, პენსიაზე და არშიყობაზე. მეორე მოქმედებაში (ქართულის გაკვეთილი) თავწაკრული ცოტა ათინელ გეტერას მოგვაგონებს.

სალომეს (ბეჟანიშვილი) როლი კარგად აქვს დამუშავებული, ბანქოს გაშლა და ქათმის ანალოგიით თავად-აზნაურობის უპირატესობის გატაცება არ ატარებს ხელოვნურობის ნიშანსაც კი. კარგია ლამბაშიძე, მეავია, კედია და გოძიაშვილი.

P. S. წარმოდგენა 45 წუთის დაგვიანებით დაიწყო. არ შეიძლება მწუხარებით არ აღინიშნოს „დურუჯი“-ს ნაქებ დისციპლინის შესუსტება. თანამედროვე მაყურებლის ნერვები ანტრაქტების სიცალიერესაც ვერ უძლებს. ასეთი დაგვიანება კი გულს აუცრუებს თეატრზე მაყურებელს.

შ.

რუზოს სურათი

ამას წინეთ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ შენიშვნის შესახებ სურათ „რუსის ჯარის პირველი შემოსვლა თბილისში“—დამატებით გვაცნობებს შემდეგი:

აღნიშნული სურათი ომიანობის დროს გადატანილი ყოფილა მეფის მთავრობის მიერ სტავროპოლში. იგი კვლავ ჩამოტანილი ყოფილა თბილისში, 1922 წელს საქართველოს ისტორიულ ძეგლთა რეევაკუაციის დროს.

თბილისში სურათი ჩამოიტანეს ძლიერ დაზიანებული და ეხლა მას ესაჭიროება რესტავრაცია. სურათი გადაეცა ქალაქის მუზეუმს.

◆ **რუსთაველის თეატრში დღეს მეორედ** წარმოდგენილი იქნება „ზაგმუკ“.

◆ **„ტოსკა“** დღეს საოპერო თეატრში მიდის ოპერა „ტოსკა“.

◆ **წითელ თეატრში** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება: „ბელუგინის ქორწინება“.

ფეხბურთი

ამიერ - კავკასია—თბილისი

კვირას ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა ამიერ-კავკასიის და თბილისის ნაკრები გუნდების შეჯიბრი.

ამიერ - კავკასიის გუნდი ამ შეჯიბრში არ გამოსულა თავისი ძირითადი შემადგენლობით ფაქტიურად ეს იყო საქართველოს ნაკრები გუნდი (ისიც მეტად სუსტი), რამდენათაც მასში შედიოდენ თბილისის და ბათომის მოთამაშეები.

გუნდი თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: **პაპკოვი, ფრუიძე, ხევსურიანი, პანდელოვი, მდივანი, გასპაროვი, ნიკო ამბოკაძე, გუნია, ჟორდანია, ფაჩულია და აბაშიძე.**

თბილისის მხრიდან თამაშობდენ: **დ. ცომაია, ფოჩხუა, ბლანკმანი, ფეოდოროვი, ანიკინი, იმნაძე, ქოიავა, ვლ. ცომაია, გალპერინი, სალტანი და ქებაძე.**

შეჯიბრის დასაწყისში ბრძოლის ინიციატივა რამოდენიმე ხნის განმავლობაში ამიერკავკასიელების ხელშია. მათ ლამაზათ მიაქვთ ბურთი მოწინააღმდეგის კარებისაკენ, მაგრამ მათი მოწინავეები ვერ სარგებლობენ შექმნილი მდგომარეობით და ბურთი ისევ ცენტრისკენ ბრუნდება.

ჩქარა შეტევაზე თბილისელები გადადიან. ისინიც ხშირად ქმნიან მოპირდაპირის კარებთან საინტერესო მომენტებს; ერთერთ ასეთი მომენტის დროს თბილისელმა **სოლტანმა** მარჯვე დარტყმით პირველი ბურთი მოაქცია ამიერ-კავკასიის ბადეში.

თამაშის შემდგომ პროცესში ამიერ-კავკასიელები ცდილობდენ გაექვითებიათ ანგარიში, მაგრამ ჰავტაიმის ბოლომდე მათ იერიშს ნაყოფი არ გამოუღია.

მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში თამაში, უმთავრესად, ამიერ - კავკასიის კარებთან სწარმოებდა. ამიერ - კავკასიელებიც დროგამოშვებით ახერხებდენ მოწინააღმდეგის ფრონტის გარღვევას და ერთერთ ასეთ შემთხვევაში შესძლეს კიდეც ანგარიშის გაქვითება, მაგრამ შემდეგში მათ უმეტესად თავდაცვის წარმოება უხდებოდათ, რადგან მეტად მძლავრი და ერთსულოვანი იყო თბილისელების შეტევა.

და თუ ამიერ - კავკასია ამ დღეს გადარჩა დამარცხებას, ეს მხოლოდ პაპკოვის და ფრუიძის მოხდენილ თამაშს უნდა მიეწეროს.

მატჩი დამთავრდა 1:1.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ორთვენახევრის მოგზაურობას გუნდისთვის მაინცადამაინც დიდი სარგებლობა არ მოუტანია, ზოგიერთების თამაშს კი გაუმჯობესების მაგიერ გაუარესება ემჩნევა.

ზ.

ა.-კ. ნაკრები გუნდის დაბრუნება

გუშინ ფინეთში და საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან თბილისში დაბრუნდა ამიერ-კავკასიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

სასამართლო

აბრამიშვილის საქმე

სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებული რუბენ აბრამიშვილი ხშირად სესხულობდა ფულს სასადილოების მეპატრონეებისაგან და ვალებს არ ისტუმრებდა, რისთვისაც მიუსაჯა მას 6 თვით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

ვ. პაპავაძის საქმე

სასამართლომ ბრალდებული ვასილ პაპავაძე დამნაშავედ სცნო მოქ. არჩილ მინდიაშვილის მოკვლაში, რისთვისაც მიუსაჯა მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

მკვლელობა

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ხარაბაძის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **ცაკვაიანცის** და **ხოშაბაიას, პროკურორ ტატიშვილის** და **მდივან ხითარიშვილის** მონაწილეობით გაარჩია **ასკარ** და **იბრაგიმ-ოღლების** საქმე.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებოდათ **ალი ეიდარ-ოღლის** მოკვლა შურისძიების ნიადაგზე.

საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით ასკარ და იბრაგიმ ოღლები 1926 წელს 16 აგვისტოს ჩაუსაფრდენ ეიდარ-ოღლის და დანით რამოდენიმე ჭრილობა მიაყენეს მას. ამ ჭრილობისაგან ეიდარ ოღლი გარდაიცვალა.

სასამართლოს კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ 1919 წელს სახლში არ ყოფნის დროს ასკარ იბრაგიმ-ოღლიმ ალი ეიდარ-ოღლის მოსტაცა ცოლი და რამოდენიმე ხნის განმავლობაში მასთან სცხოვრობდა.

შემდეგ იბრაგიმ-ოღლიმ ინახულა თავისი ცოლი; ცოლმა მას განუცხადა, რომ ის ძალით მოიტაცა ეიდარ-ოღლიმ. ამის შემდეგ ბრალდებულმა განაგრძო თავის ცოლთან ცხოვრება. არ გასულა დიდი ხანი, რომ გარდაცვალებულმა მოკვლის მიზნით რამოდენიმე ჭრილობა მიაყენა იბრაგიმ-ოღლის.

ამის შემდეგ შურისძიების გრძნობა იბრაგიმ-ოღლსა და ეიდარ-ოღლს შორის კიდევ უფრო გაძლიერდა. ერთ დღეს იბრაგიმ-ოღლიმ თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა და მოჰკლა ეიდარ-ოღლი.

სასამართლომ ბრალდებული იბრაგიმ-ოღლი დამნაშავედ სცნო ეიდარ-ოღლის წინასწარი განზრახვით მოკვლაში, რისთვისაც მიუსაჯა მას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ბრალდებული ასკარ-ოღლი სასამართლომ გაამართლა.

ყაჩაღების საქმე

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ხარაბაძის** თავმჯდომარეობით ფასანაურში გაარჩია გიორგი, გიგა, პეტრე და სიმონ წიკლაურების საქმე.

ყველა ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ ყაჩაღობა.

სასამართლომ სცნო, რომ გიორგი და გიგა წიკლაურები ხშირად ეწეოდენ გლეხების ოჯახების აწიოკებას და დარბევას.

პეტრე და სიმონ წიკლაურები დამნაშავეთ იქნენ ცნობილი ნაძარცვი ნივთების შენახვაში.

სასამართლომ გიორგი და გიგა წიკლაურებს მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და უფლებების შეზღუდვა სამი წლის ვადით.

პეტრე წიკლაურს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და უფლებების შეზღუდვა ერთი წლის ვადით.

სიმონ წიკლაურს მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

„ქეიფის მოყვარულნი“

ნაზარო ასკაროვი და **მიხეილ მირზოიანცი** დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. ერთ დღეს შეხვედრისას მათ გაცხოველებული სჯა-ბაასი გამართეს „საჭირბოროტო“ საკითხებზე. ასკაროვი თავგამოდებით იცავდა იმ აზრს, რომ უფულოდ ცხოვრება არ ღირს. მირზოიანცი უფრო ოპტიმისტურად უყურებდა ცხოვრებას და ამტკიცებდა, რომ უფულოთაც შეიძლება კარგათ ცხოვრებაო,—აგრე შევადგინოთ ჩვენებურ მხიარული ვაჟკაცთა გუნდი და რაც ვიშოვოთ სულ ღვინოში ვხარჯოთ—„სწრაფია ვით ტალღა ცხოვრება ჩვენი“—დაუმატა მიხეილმა.

მეგობრებმა სიტყვა საქმეთ აქციეს და დაარსეს მემუშტი-კრივეთა გუნდი, სახელწოდებით „გოლიათი“.

ამ ჯგუფის წევრები ხშირი სტუმრები იყვნენ თბილისის მუშათა კლუბების. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ანგარიშების გასწორების დროს აყალ-მაყალს ასტეხდენ. ამათში პირველობას „გოლიათის“ წინამძღოლები ნაზარო და მიხეილი იჩენდენ.

ერთ დღეს შეზარხოშებული „ძმა ბიჭები“ საბჭოთა მუშაკების კლუბს ესტუმრენ.

მიხეილ კლუბის ეზოში იდგა და ღრიალებდა:

— ვინ ხართ ვაჟკაცი, გამოდით მეჭიდეთ, გაიძახოდა ის. მიხეილთან ჭიდაობა არავინ არ ისურვა. ძალზედ ნაწყენი „ძმა-ბიჭები“ წავიდენ და, რადგანაც ცუდ ხასიათზე იყვნენ, გადასწყვიტეს ქეიფის გაგრძელება.

სასადილო „არმაზ“-ში ღვინოც გადაჰკრეს და სუფრას მადიანათ შეექცეოდენ.

სუფრაზე „ძმა-ბიჭებმა“ ერთი მეორეს მეგობრობა შეფიცეს.

—გენაცვალე მიხეილ-ჯან, მოდი ერთი ეტლში ჩავსხდეთ ვაჟკაცურად—უთხრა ასკაროვმა.

მეგობრები ჩასხდენ ეტლში. ასკაროვი ძალზე მთვრალი იყო. იგი ჩააცივდა მირზოიანცს; ეფიცებოდა „მზის მზეს“, „მის სიყრმეს“ და არწმუნებდა, რომ მას იგი უყვარდა გაგიჟებით და, თუ საჭირო იქნებოდა, მისთვის 4—5 ბოთლს კიდევ დალევდა.

ღამის პირველი საათი იქნებოდა მეგობრები განაგრძობდენ ეტლით სეირნობას. ასკაროვის დათქმულ ადგილას მეეტლემ გააჩერა ეტლი. მაგრამ მოქეიფე მეგობრები უკვე გადამხტარიყვნენ და საფასურის მაგიერ ქუდები დაეტოვებიათ.

რუსთაველის პროსპექტზე „ძმა-ბიჭებმა“ ჩხუბი გაუმართეს მილიციელს და მეეზოვეს. დიდის ვაივაგლახით ისინი კომისარიატში მიაბრძანეს.

გუშინ სახალხო სასამართლოს მეორე კამერაში გაირჩა ასკაროვის და მირზოიანცის საქმე.

სასამართლოში ბრალდებულებმა ერთხმად განაცხადეს:—ღვინის სმის უფლება ყველას მინიჭებული აქვთ, ხოლო ვერ ვითმენდი, როცა გვიშლიან სმას. იმედია ეხლა გაგვანთავისუფლებთ—დასძინეს ბოლოს.

სასამართლომ ასკაროვს და მირზოიანცს მიუსაჯა ექვს-ექვსი თვით გამსახლში დაპატიმრება.

ძ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 2 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია აგრონომიული და პედაგოგიური ფაკულტეტთა კომ. უჯრედის კრება.**

— დღეს, სამშაბათს, 2 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგა საქართვ. კომუნისტ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის **სააგიტ. საპროპ. განყოფილების კოლეგიის სხდომა.**

— საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საალრიცხვო განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდენ საალრიცხვო განყოფილებაში ამხ. ეგოროვთან. კვაჭაძე ნიკოლოზ კონსტანტინესძე, დეშევი ნიკოლოზ ალექსისძე, გაგლოევი ლუარსაბ ვასილისძე, დახსაღოვი მკრტიჩ ნიკოლოზისძე და კალანოვი გიორგი გიორგისძე.

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მე-8-ე რაიკომი** იუწყება, რომ ოთხშაბათს 3 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მე-3-ე რაიკომის შენობაში შესდგება **მე-8-ე რაიონის ქალთა ორგანიზატორების თათბირი.**

— საქართველოს კომუნისტ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-8-ე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, სამშაბათს 2 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება **მე-8-ე რაიკომის გაფართოებული პლენუმი, მე-3-ე რაიონის უჯრედთა მდივნების, უჯრედების ბიუროების წევრების და საფაბრიკო ადგილკომების ფრაქციების წევრთა თანდასწრებით.**

დღის წესრიგი: 1) მე-3-ე რაიონის უჯრედთა ბიუროების გადარჩევების შედეგები.

2) კოლექტიურ ხელშეკრულებათა გამოცვლის შესახებ.

3) მიმდინარე საკითხები.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ლიდა, დედა მაკრინე, შვილები: ელენა, მიხეილ, თინა, ნიკოლოზ, ბაბუა და სხ. სიმამრი იაგორ [illegible], ცოლისძმები—დავით, კოლია, ლუარსაბ და სერგო მდივნები, [illegible] შალვა ბობოხიძე და სვიმონ ჩაჩიბაია აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს

სვიმონ ამირაჯიბის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალაქ ქუთაისში, სამშაბათს, 2 ნოემბერს, საფირჩხიის სასაფლაოზე. 408

გაუბედურებული მეუღლე ზინაიდა და შვილები: გოგი და ანიკო მწუხარებით აუწყებენ ყველა მახლობელთ, რომ დღეს, 2 ნოემბერს, შესრულდა ორი წელიწ.-დი, რაც გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი პირველის მეუღლე და მეორეთა მამა

ალექსანდრე სპირიდონის-ძე ლომთათიძე

400

ძმა არსენი, დები; მართა, ბასიო და ლისა, რძალი თამარი ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ დღეს, ორ ნოემბერს, შესრულდა ორი წელიწადი რაც გარდაიცვალა პირველთა საყვარელი ძმა და მეორეთა საყვარელი მაზლი

ალექსანდრე სპირიდონის-ძე ლომთათიძე

400

გულმოკლულნი: მამა იასონ (სულიკო) საბას-ძე ჭოხონელიძე, დედა ალისა ნიკოლოზის ასული ფრუიძე, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ 31 ოქტომბერს, დილის 5 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პაწია საიმედო შვილი

თამუკი იასონის-ძე ჭოხონელიძე

გამოსვენება ქალაქის 1-ლ საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცის) 2 ნოემბერს, 12 საათზე, დაკრძალვა პეტრე პავლოვის სასაფლაოზე 2 ნოემბერს, დღის 2 საათზე. 395

გულდათუთქულნი და ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები სამსონ ალექსის ძე და ფაქიზო გიორგის ასული, მეუღლე კატუშა ვასილის ასული, შვილებით, ლუტუ, თათუშა, ქეთინო, ეთერიკო, დები მაშო, ნადია, თამარა, ბაბუცა, მილიკა, ნინა, სიძეები ივანე ანტონის ძე ყუფარაძე, გერასიმე, პავლეს ძე კოხრეიძე, ლადო პეტრეს ძე ნორაკიძე, მიტრო ანტონის ძე მაჭარაძე, კოლია ეფრემისძე ბრეგვაძე, სიმამრი ვასილი და სიდედრი საშა შვილებით ნიფა სისიკო, თამარა, ლევანი აბაშიძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი

ალექსანდრე სამსონის ძე პეთილაძე

რომლის დასაფლავება მოხდება 4 ნოემბერს, დღით, ხუთშაბათს 4 საათზე ქალ. ხონში 413

სახელმწ. დრამა
დღეს, სამშაბათს, 2 ნოემბერს,
მეორეთ ან. გლებოვის
ზაგმუკ
ისტ. დრ. 4 მოქ. თარ. ალ. შანშიაშვილის
დადგმა ალ. ახმეტელის.
ნ. 143 3—3
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 2 ნოემბერს მეორე აბონემენტის მესამე სპექტაკლი
ტოსკა
მონაწილეობს ბოგოლეპოვა, კანცბურგი, გორელოვი
მეორე აბონემენტის ფულის შემოტანის ვადა
დარჩენილი ბილეთები იყიდება.
ნ. 161

აპოლო არფასტო სოლეი
სეზონის ახალი სურათი
მილტონ სილსის მონაწილეობით
დაკრძალებათა წინააღმდეგ
ვიოლონჩელზე სოლოს შეასრულებს მალუნცევი
მერი პიკფორდი საუკეთესო სურათში
მთების გული
(ქალი კენტუკიდან)
ბრძოლდება
რობინ გუდი-ს ჩვენება
მთავარ როლში დუგლას ფერბენქსი
ანონსი: ამ დღეებში კაპიტალური შეკეთების შემდეგ გაიხსნება კინო დარბაზი (ყოფილი გლობუსი)
მალე—გაფლანგვა—პერესტიანის დადგმა
ნ. 157 0—1

სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო ორგანიზაციების საყურადღებოდ
საქართვ. სამკერვალო მრეწველობის სააქციო საზოგადოება
„მკერვალი“
მიმდინარე წლის პირველ ნოემბრიდან შეუდგა ყოველგვარ შეკვეთების მიღებას:
მასსიური ხასიათის შეკვეთები, შეკვეთები სპეც-ტანსაცმელზე, საწარმოო ტანსაცმელზე და სხვა მიიღება საზ-ბის ფაბრიკაში
რენიგერის ქუჩა (ყოფილი მელიქოვის) № 5.
საზოგადოებას აქვს აგრეთვე მზა-ტანსაცმელის მაღაზია რუსთაველის პროსპექტზე № 11, სადაც მიიღება ყოველგვარი შეკვეთები,
როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ტანსაცმელზე
შეკვეთების შესრულება ხდება სწრაფად და თავის დროზე, საუკეთესო ხელოსნების მიერ ცნობილი გამომჭრელი ყუფარაძის ხელმძღვანელობით, ნ. 159

გამოვიდა და იყიდება
„წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“
თარგმანი ფრანგულით
გერონტი ქიქოძისა
ფასი 1 მან. 50 კაპ.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 54825 —1

ორშაბათ,
8 ნოემბრიდან
კინო-თეატრებში
აპოლო,
სოლეი,
არფასტო
დარბაზი (ყ. გლობუსი)
საქართველოს
სახკინმრეწვის
ახალი სურათი
გაფლანგვა
რეჟ. ივ. პერესტიანი
ოპერატ. ა. დიგმელოვი
მთავარ როლებში: ჟოზეფი, ტენაზი, პრივალოვი, ესიკოვსკი, კრუჩინინი, მორსკოი, იაკობინი.
ნ. 163

ნიგოითის თემის აღმასკომი
ამით აცხადებს, რომ 14 ნოემბერს, დილის 10 საათ. აღმასკომის შენობაში შესდგება
საჯარო ვაჭრობა
სოფ. ჯაპანაში „ნარიონალის“ წყლის სათევზაოს გაცემის შესახებ.
ნიგოითის თემ აღმასკომის თავმჯდომარე: **ნარსია.**
ნ. 158. მდივანი: კ. ფირცხალაიშვილი.

მუშკოოპის საკომისიო
პუნქტში
(მუხრანის ბაზარი)
მიღებულია კერჩის
სელდი და ხამსა
იყიდება ბითუმათ ყველაზე.
ნ. 160 3—1. მუშკოოპი.

თბილისის საქონლის ბირჟის კომიტეტი
აცხადებს, რომ შინავაჭრობის რწმუნებულის საქართველოში ნებართვით დანიშნულია
საგანგებო რწმუნებული ქალ. ფოთში
ბირჟის გარეშე მომხდარ გარიგებათა რეგისტრაციაში გასატარებლად, თანახმად საკავშირო შრომის და თავდაცვის საბჭოს 24 თებერვლის 1926 წ. დადგენილებისა.
რეგისტრაციაში აუცილებლად უნდა გატარდეს ყველა გარიგებები დაწყებული 200 მან. და ზევით.
რეგისტრაციაში გარიგების გატარება ადგილობრივ რწმუნებულთან, ანთავისუფლებს დაწესებულებებს და პირთ გარიგებების თბილისის ბირჟაზე წარდგენისასაგან.
რწმუნებულად დანიშნულია ამხ. ემელიანე ნოდია, რომლის კანცელარია მოთავსებულია ფოთის აღმასკომის სავაჭრო განყოფილებასთან. ნ. 164

მოწინავეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

მედსანშრომის პ | კავშირის საქართველოს ცენტრალური გამგეობა
ამით აუწყებს კავშირის ყველა უმუშევარ წევრს და იმ მოუშავეთა კავშირის წევრებს, რომელნიც მუშაობენ არა სამკურნალო-სასანიტარო დაწესებულებებში და არც არიან მიმაგრებულნი რომელიმე ჩ | კავშირის ადგილკომთან, რომ ა. წ. 1-ლ ნოემბრიდან 6—ნოემბრამდე (ჩათვლით) კავშირის შენობაში იწარმოებს ზემოხსენებულ **კავშირის წევრების აღრიცხვა,** საღამოს სრულ 6 საათიდან 8 საათამდე, აღნიშნულ დღეებში.
გამოცხადება სავალდებულოა.
ნ. 162. ცენტრალური გამგეობა:

ს.ს.მ.უ.ს.
ლითონტრესტი
აუწყებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომ 1926 წ. 1-ლ ოქტომბრიდან საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონტრესტის **ბაქოს კანტორა გაუქმებულია.** კანტორის გამგის მოქ. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე გრაბიანსკის სახელზე გაცემული რწმუნების ქაღალდი, შემოწმებული 1926 წ. მარტში თბილისის მეოთხე სახელმწიფო ნოტარიალურ კანტორაში **გაუქმებულათ ითვლება.**
ყველა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ბაქოს კანტორასთან, დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და პირებმა აზერბეიჯანში უნდა მიმართონ ს.ს.მ.უ.ს. ტრესტების კანტორას ბაქოში, ფიოლეტოვის ქ. № 3, სხვა საკითხების შესახებ კი—ს.ს.მ.უ.ს. ლითონტრესტის სამმართველოს, თბილისი, საბჭოთა ქ. № 115.
ს.ს.მ.უ.ს. ლითონტრესტის მმართველი **ავატკოვი.**
საქმეთა მმართველი **მაილოვი.**
ნ. 150 2—1

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძის ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—2

ქუთაისში
ექიმი ჩეჩელაშვილი
იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ჭილტებს, ჰავგაძის ქუჩა № 9
მიღება დილის 8—12 საათ.
საღამოს 6—8 საათ. 25—2

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59, 6. ლ

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ზუსაილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
13—21

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა
25—1 ქვ. 379

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1-

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 348. 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 12

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ოროქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.
25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დილით 1—2 საღამოზე 4—6 საათამდე.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარ-ა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—1
358

ექ. ქ. ტყეშელაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1
52—1

ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

დაკარგვა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 315, გაცემული დუშეთის პროფბიუროდან, ადამ ლევანის-ძე მარხვაიძეს სახელზე, ჩ. გ. 397

დაკარგვა პირადობის მოწმობა, „პროვიზიონკის“ კნიშკა და გადასახადის ქვითარი, ექვთიმე გლახას-ძე კვირიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 396

დაკარგვა სამხედრო საალრიცხვო ბარათი ფორმა № 4, ალექსანდრე გრიგოლის-ძე კენჭაძის სახელზე, ჩ. გ. 394

დაკარგვა ხანგრძლივ-ვადიან შვებულ წითელ-არმიელის სამსახურის წიგნაკი № 6815, მოსე ივანეს-ძე ბისეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 393

დაკარგვა ა.ლ.კ.კ. საწევრო ბარათი, № 7653, პირადი საქმე, ჩამოსვლის ტალონი, გაცემული თბილ. კომიტ. და რემედასის წიგნაკი ვლადიმერ მელიტონის-ძე ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ. 392

დაკარგვა ღვინის გადასატანი ორი მოწმობა № 13766, 288 ვედროს და № 16203—291 ვედროს, ნასყიდი სოფელ გურჯაანში, მოქ. შაქრო უტიაშვილისაგან ლავრენტი ზაალიშვილის სახელზე, ჩ. გ. 391

დაკარგვა სალექციო წიგნაკი № 2445 და პირადობის მოწმობა № 946 მავრო პატარაიას სახელზე, ჩ. გ. 401

დაკარგვა საპენსიო წიგნაკი № 888 სოფია ქორიძეს სახელზე, ჩ. გ. 399

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 721, სერგო მათეს-ძე გოგატაძეს სახელზე, ჩ. გ. 398

დაკარგვა კომპარტიის წევრობის ბილეთი № 490378, პარმენ ელიავას სახელზე, ჩ. გ. 406

დაკარგვა პირადობის მოწმობა და სამხედრო საალრიცხვო ფურცელი მელიტონ ნეფარიძეს სახელზე, ჩ. გ. 402

დაკარგვა სამხედრო მაგიდის მიერ მოცემული რეგისტრაციის პირადობის წიგნაკი № 1601, ამბარცუმ მიხეილისძე ხუციევის სახელზე, ჩ. გ. 409

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 132, მოცემული ს. კარბონსიდან (ერევნის მაზ.) გაბრო ხოდოს-ძე ალიევის სახელზე, ჩ. გ. 410

დაკარგვა უვადო პასპორტი და კავშირის წიგნაკი № 801, ნატალია ვაჩნაძიშვილის სახელზე, ჩ. გ. 407

დაკარგვა 54 სულის პირუტყვის მოწმობა № 478, ფილიპე მალაშხიას სახელზე, ჩ. გ. 406

დაკარგვა კავშირის წიგნაკი გალაქტიონ ხუჩუას სახელზე, ჩ. გ. 406

დაკარგვა პირადობის წიგნაკი № 28, გაცემული სოროს რაი-სამხედრო მაგიდის მიერ, პლატონ ერაძის სახელზე, ჩ. გ. 405

დაკარგვა აკეთის თემის აღმასკომიდან მოცემული პირადობის მოწმობა № 827, სილოვან ფიფიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 406

დაკარგვა მეტრიკული ამონაწერი თამარ ნიკოლოზის ასული ხორიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 403

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68